ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 დეკემბერი 2001 №231 (1504) | ფასი 50 თეთრი

# ფეხბურთის სიკვდილი გადაარჩენს


სვენ გორან ერიქსონი

## ფიფას საჩუქარი: არგენტინა — ინგლისი

ჯერ შესარჩევი ეტაპის წილისყრას ველოდით, მერე ეტაპის დაწყებას, მერე დამთავრებას, მერე პლეი ოფებს, შაბათამდე ფინალური ტურნირის წილისყრას, ახლა 31 მაისს, ბოლოს ფინალსაც დაველოდებით და მოლოდინის ახალი ციკლიც დაიწყება. შიგადაშიგ სხვა ამბების მოლოდინიც გვექნება, ოღონდ სხვა შეჯიბრებებისა, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრის მოლოდინს კი გავცდით.

ახლა ვამბობთ, რომ ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ფავორიტთა ერთად მოხვედრა და იმავდროულად უინტერესო ჯგუფთა სიმრავლე უსამართლობა და განთესვის უხეირო წესის შედეგია.

მაგრამ, მოდით, გულახდილნიც ვიყოთ. ყოველი წილისყრისას ხომ სწორედ სასიკვდილო დაჯგუფებებს ველით? რა გაიფიქრეთ, როდესაც ერთ ჯგუფში იაპონიის, ბელგიის, რუსეთისა და ტუნისის თავშეყრის ამბავი გაიგეთ? მგონი, არაფერი, მაგრამ არგენტინასთან ინგლისის დაწყვილების შემდეგ ალბათ ხელები მოიფშვნიტეთ — მაგარ ბრძოლას ვნახავთ!

მოკლედ, ყოველგვარი შეჯიბრი იმით არის საინტერესო, რომ ერთი ბობოლა მეორეს უნდა გადაეყაროს. ცხადია, ასეა მსოფლიოს ჩემპიონატზეც. უარს ვიტყვით ბრაზილია — არგენტინის, საფრანგეთ — ბრაზილიის, ინგლის — გერმანიის თამაშების ყურებაზე?! რა თქმა უნდა, არა. თუმც ეგებ ისეც მოხდეს, რომ ეს გუნდები ერთმანეთს ასცდნენ. სამაგიეროდ, არგენტინა — ინგლისი გარანტირებული გვაქვს და ერთი არგენტინული გაზეთისა არ იყოს, მადლობა ფიფას ასეთი საჩუქრისთვის.

კორეაში გამართული წილისყრის შედეგები და კომენტარები იხილეთ მეათე-მეთერთმეტე გვერდებზე


ლუიშ ფელიპე სკოლარი


ჯოვანი ტრაპატონი


პელე და ფიფას გენერალური მდივანი მიშელ ზენ-რუფინენი


რუდი ფიოლერი

# მერაბ ჟორდანიამ გოლი გაიტანა

გუშინ სამსახურში გავიდა და საქმიანობას შეუდგა ფეხბურთის ფედერაციის შვებულებამოლეული პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია, რომლის უცხოეთიდან ჩამოსვლასაც გამორჩეული ინტერესით შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლები ელოდნენ. ორშაბათი ერთობ დატვირთული გამოდგა ჟორდანიასთვის, ჯერ იყო და, დილომში მწვრთნელთა სემინარის გახსნას დაესწრო, მერე ეროვნული ნაკრების ახალი ბაზისთვის შერჩეული ადგილი მოინახულა. ფიფას პროგრამა „გოლის“ 400 ათას დოლარიანი პროექტით წელგამართულმა ბაზის მშენებლობას საძირკველი ჩაუყარა. ვაკეში მშენებარე ფედერაციის ოფისსაც ეწვია, ბოლოს საპრესკონფერენციოდაც მოიცალა და მისი საქმიანობით პოლიციის დაინტერესებაზე თქვა: გახმაურებული 28 მილიონის საქმეში სუფთა ვარ და ეს არაერთხელ დამიმტკიცებიაო.

იხილეთ მეოთხე გვერდი


მერაბ ჟორდანია მშენებარე ოფისის სახურავზე

ბადრი ქეთილაძის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი პირველი ეტაპი

# მიმოხილვა

# ალიანსები და მარტოსულები

## ზოგის დაკრული და შემოკრული

ქრთამი, სკანდალი, ორიოდ მოულოდნელობა და დღენიადაგ გაჭირვებულთა გოდება — ოთხი თვეა, წვალობს მეცამეტე ეროვნული და ამათ გარდა სხვას სახეიროსაც ვერაფერს გამორჩა.

ამ ოთხი თვის მანძილზე კიდევ უფრო დაეცა ჩემპიონატის დონე. ცხადია, არსებულ დაძაბულობას ფეხბურთის ფედერაციის მოგონილი სისტემაც ლაუწყობს ხელს, თორემ ყველა დანარჩენ კომპონენტში აუტანელი ვითარებაა. ამას ქომაგზე უკეთ ვერავინ შეიგრძნობს და ამიტომაც აქცია ზურგი გულშემატკივარმა მეცამეტე ეროვნულს.

წლეულს ბოლო ტურში საძილედ გამზადებული შინაური ბურთაობა თითქოს ბოლნისელებმა გამოაღვიძეს, მაგრამ ვაკეში მათი გამარჯვება მეორე დღეს ბევრსაც აღარ ახსოვდა.

დროა, მეცამეტე ჩემპიონატს ძილი ნებისა და დროულად გამოღვიძება ვუსურვოთ. მანამდე კი არასრული პირველი ეტაპის ძველ-ახალი ამბები გავიხსენოთ.





ანატოლი მილჩენკომ ალექსანდრე კრიჭაშვილს წითელი აუფრიალა

### მიზანი, რომელიც ბდღვნად არ ღირს

საპრიზო ექვსეული, ზეექვსეული... დიდი გაწევ-გამოწევაა იქ მოსახვედრად გაჩაღებული. და ეს ყველაფერი იმისთვის, რომ თორმეტგუნდა ჩემპიონატში ნახევარმა მშვიდი ცხოვრება მოიწყოს. მერე ყველაფერი პატრონის ჯიბეზე, მადაზე და გუნდის პერსონალის გაქნილობაზეა დამოკიდებული. იძებნება მოკავშირეები, ყალიბდება ალიანსები და სპორტული პრინციპიც მივიწყებულივით სადღაც კუთხეში აგდია.

რაც შეეხება მძაფრ ექვსეულს, იქაც მალევე ირკვევა ყველაფერი. ორი განწირული ბრძოლას დასაწყისშივე თავს ანებებს, ორი შედარებით მძლავრი იოლად გადის ფონს და მხოლოდ ორი ცდილობს ბოლომდე თავის გადარჩენას. ესაა საქართველოს ჩემპიონატი, რომელიც საოცრად ჰგავს ქვეყნის პარლამენტს. მთავარია, რაღაც გააკეთდეს, ხოლო შედეგი, დაგლუპავს თუ აგაყვავებს, გამკეთებელს დიდად არც ანაღვლებს.

...ჩემპიონობისთვის თავიდანვე ორი გუნდი იბრძოდა — „ტორპედო“ და „ლოკომოტივი“. ეს იცის ყველამ და ამათ დავაში, ალბათ, ვერც ვერავინ ჩაერევა. რკინიგზელებს მოტივაცია მეტი აქვთ. სხვა თუ არაფერი, გაპირველება თავმოყვარეობის ამბავია, მაგრამ საქმეები ისე აეწყო, რომ „ლოკომოტივის“ ჩემპიონობა კლუბის თავკაცებისთვის აუხდენელ ოცნებად გადაიქცა.

მიზეზი ორია და ისიც ყველასთვის ცნობილი — პირველი ის არის, რომ „ტორპედო“ „ლოკომოტივზე“ უკეთესი გუნდია. ამის დაუნახაობა არ შეიძლება და საპირისპიროსაც ვერავინ დაამტკიცებს. მეორე და ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ რიონისპირელებს მოკავშირეები უმაგრებენ ზურგს. „ტორპედო“ დასავლეთის ალიანსის მოთავეა, რომელსაც მომხრეები აღმოსავლეთშიც მოეძებნება და „ლოკომოტივის“ ყველა იმედი, ყველა მცდელობა იმ კავშირს შეემსხვრევა.

რკინიგზელებს რჩებათ მხოლოდ ერთი შეხედვით ჩინებული სტადიონი, რომელიც გარკვეულ სარემონტო სამუშაოებს თითქმის ყოველდღე საჭიროებს და კიდევ ერთი ცდის საშუალება.

ერთმა ღმერთმა უწყის, რა მოხდება გაზაფხულზე, მაგრამ „მერანმა“ რომ ბევრს პირი დაალებინა, ფაქტია. ოთარ გაბელიას საშუალო დონის (იგულისხმება მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატი) ფეხბურთელებით დაკომპლექტებულმა გუნდმა გზადაგზა ფინანსურ შეჭირვებასაც გაუძლო და რამდენიმე თავმომწონე კონკურენტიც გვარიანად გაამწარა. პირველი ეტაპის საუკეთესო მწვრთნელის ნომინაცია რომ არსებობდეს, იქ ოთარ გაბელია გაიმარჯვებდა, თუმცა ავჭალელთა თავკაცს და მის გუნდს ცოტა მეტი თავდაჭერილობა არ აწყენდა.

თუ მეტოქემ ლადო ბურდულისა და ვიტალი დარასელიას გაუვნებლება შეძლო, ჩათვალეთ, „დინამოც“ გაჩერებულია. ათგზის ჩემპიონმა მრავალმხრივი ცვლილებები განიცადა. განახლებული ბაზა, კიდევ ერთი ახალი მეპატრონე, ახალი სამწვრთნელო კორპუსი და ასე შემდეგ. ყველაფერმა ამან უარყოფითად იმოქმედა გუნდზე, სადაც ბევრის გასაკვირად უთანხმოებაც სუფევს თურმე.

„დინამომ“ პირველ ეტაპზე ორიოდ ანტირეკორდის დამყარებაც მოასწრო. ერთ-ერთ მათგანს „ვიტ ჯორჯიამ“ დაუდო სათავე, როცა „ეროვნულზე“ 5:2 დასცა უშუალო კონკურენტი. ყველა გააკვირვეს ახალგაზრდა ვიტელებმა, მაგრამ... ვეტერინართა მთავარი ნაკლი მათ ახალგაზრდობაშია საძიებელი. გამოუცდელობამ არასტაბილურობა იცის. ეს ერთ კვირაში „არმაზზე“ „მერანმა“ ყველას დაუმტკიცა. და კიდევ, ზოგჯერ მოთმინება ღალატობდა „ვიტ ჯორჯიას“ და, ალბათ, ამიტომაც მიეკერათ უდისციპლინო გუნდის იარლიყი, თუმცა ეროვნულ ჩემპიონატში მათზე ცოდვიანიც მოიძებნება.

„კოლხეთმა“ სადაც იბრძოლა, თითქმის ყველგან აისრულა წადილი. იყო შემთხვევები, როცა უბრძოლველად მოდიოდა ნანატრი სამი ქულა. 27 ოქტომბრის „კოლხეთი“ — „ტორპედოს“ საეჭვო თამაში გაგახსენდება კაცს, რომლის გარჩევასაც არ დაადგა საშველი. სწორედ მაშინ გაცხადდა ალიანსის არსებობაც. რიონისპირელთა თავკაცმა რევაზ ძოძუაშვილმა მაშინ საჯაროდ განაცხადა, მეორე ეტაპზე აღმოსავლეთში წინ და უკან სიარულს, დასავლეთში გვირჩევნია ურთიერთობების გარკვევაო.

გადაჭრით ვერავინ იტყვის, „ბათუმი“ დასავლეთის ალიანსის სრულუფლებიანი წევრიაო. აბა, უმაგათოდ რა ფასი აქვს იმ წამოწყებასო, ამტკიცებენ ზოგიერთები. გამოუაშკარავებელი და უთქმელი აქამდეც არაფერი დარჩენილა ქართულ ფეხბურთში. მანამდე კი ისიც სათქმელია, რომ ასლან ბალაძის გუნდი პროგრესს განიცდის. ჩემპიონატის აღმოჩენაზეც თუ შეიძლება ლაპარაკი, მაშინ ბათუმელი ვიტალი დარჩიძეც უნდა მოვიხსენიოთ.

დიდხანს ეხსომება „ლოკომოტივს“ „სიონის“ ლაზათიანად შემოკრული. ბოლნისელებს ის გუნდი ჰყავთ, რომელიც უმაღლეს ლიგაში უპრობლემოდ შეინარჩუნებს ადგილს. ქვემოქართლელებმა სეზონის დასაწყისში სტადიონიც გააკოხტავეს, ბაზასაც ვაშენებთო და მერე ცოტა მეტზეც შეიძლება ფიქრი.

„გურია“, „გორდა“, „სამგურალი“, „მეტალურგი“... მათი ბედი იმაზეა დამოკიდებული, ვის შეიმატებენ და რამდენად ნაყოფიერ მოსამზადებელ ეტაპს გაივლიან.

ჩემპიონობა, პრიზიორობა, თასი ყველაფერი ადრე თუ გვიან გაირკვევა. პრინციპი კი ისევ უცვლელი დარჩება — ჩვენი გუნდები ისევ სამარცხვინოდ, ერთმანეთის მიყოლებით პანტაპუნტით გამოვარდებიან ევროთასებიდან. ისევ გვექნება დაძაბულობა, სკანდალები, ორიოდ მოულოდნელობა ეროვნულ ჩემპიონატში. ქართული ფეხბურთი კი... თუმცა სადღაა ქართული ფეხბურთი.

### სახელგატეხილები

ფეხბურთთან ერთად მსაჯებმაც დაისვენეს. ფინიშის სწორზე გვარიანი

### სიმბოლური ნაკრები

პაატა მაჭუტაძე (3) — ბათუმი
გიორგი ადამია (3) — ვიტ ჯორჯია
გიორგი ანჩაბაძე (7) — ლოკომოტივი
შალვა ისიანი (4) — სიონი
ალექსანდრე გოგობერიშვილი (4) — ვიტ ჯორჯია
ალეკო ამისულაშვილი (6) — დინამო
გიგი დიდავა (6) — ტორპედო
გელა ფანჩულიძე (3) — კოლხეთი
თენგიზ კობიაშვილი (3) — ვიტ ჯორჯია
გიორგი ბალაშვილი (6) — ლოკომოტივი
რევაზ ნაჭყებია (3) — მერანი

გუნდი: ვიტ ჯორჯია (5)

მწვრთნელი: ოთარ გაბელია (3)

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 18 | 14 | 2 | 2 | 44:11 | 33 | 44 | 9 | 8 | 1 | 0 | 26:5 | 21 | 25 | 9 | 6 | 1 | 2 | 18:6 | 12 | 19 |
| 2 ლოკომოტივი | 18 | 12 | 3 | 3 | 33:10 | 23 | 39 | 9 | 7 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 22 | 9 | 5 | 2 | 2 | 15:5 | 10 | 17 |
| 3 მერანი | 18 | 10 | 2 | 6 | 32:24 | 8 | 32 | 9 | 7 | 1 | 1 | 20:6 | 14 | 22 | 9 | 3 | 1 | 5 | 12:18 | -6 | 10 |
| 4 ბათუმი | 18 | 9 | 4 | 5 | 24:15 | 9 | 31 | 9 | 8 | 0 | 1 | 17:5 | 12 | 24 | 9 | 1 | 4 | 4 | 7:10 | -3 | 7 |
| 5 კოლხეთი | 18 | 9 | 3 | 6 | 28:26 | 2 | 30 | 9 | 7 | 1 | 1 | 21:11 | 10 | 22 | 9 | 2 | 2 | 5 | 7:15 | -8 | 8 |
| 6 დინამო | 18 | 8 | 4 | 6 | 29:18 | 11 | 28 | 9 | 3 | 4 | 2 | 18:11 | 7 | 13 | 9 | 5 | 0 | 4 | 11:7 | 4 | 15 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 18 | 7 | 6 | 5 | 27:23 | 4 | 27 | 9 | 3 | 5 | 1 | 7:7 | 0 | 14 | 9 | 4 | 1 | 4 | 20:16 | 4 | 13 |
| 8 სიონი | 18 | 6 | 4 | 8 | 16:24 | -8 | 22 | 9 | 5 | 1 | 3 | 12:11 | 1 | 16 | 9 | 1 | 3 | 5 | 4:13 | -9 | 6 |
| 9 გურია | 18 | 3 | 6 | 9 | 14:30 | -16 | 15 | 9 | 2 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 10 | 9 | 1 | 2 | 6 | 8:19 | -11 | 5 |
| 10 მეტალურგი | 18 | 2 | 6 | 10 | 10:34 | -24 | 12 | 9 | 2 | 2 | 5 | 6:14 | -8 | 8 | 9 | 0 | 4 | 5 | 4:20 | -16 | 4 |
| 11 სამგურალი | 18 | 2 | 4 | 12 | 14:36 | -22 | 10 | 9 | 2 | 3 | 4 | 11:13 | -2 | 9 | 9 | 0 | 1 | 8 | 3:23 | -20 | 1 |
| 12 გორდა | 18 | 2 | 4 | 12 | 15:35 | -20 | 10 | 9 | 2 | 1 | 6 | 9:16 | -7 | 7 | 9 | 0 | 3 | 6 | 6:19 | -13 | 3 |

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | წიწქიშვაძე | კოლხეთი |
| | ქუთათელაძე | ტორპედო |
| 9 | დავითაშვილი | მერანი |
| 8 | აშვეთია | ტორპედო |
| | ბოგოხიძე | დინამო |
| | გაგუა | მერანი |
| | დათვაძე | ლოკომოტივი |
| | მაჭუტაძე | ბათუმი |
| | პოროშინი | ტორპედო |
| 7 | აფხაზავა | ბათუმი |
| | გოგობერიშვილი | ვიტ ჯორჯია |
| | იონანიძე | ტორპედო |

### გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
XV ტური
ჰანოვერი 4:4 არმინია

### ინგლისი

პრემიერლიგა. XV ტური
ტოტენჰემი 3:2 ბოლტონი

### იტალია

სერია B. XV ტური
ნაპოლი 3:2 პალერმო

სერია C1/A. XIV ტური
ლუკეზე 1:1 ტრევიზო

### პორტუგალია

I ლიგა. XIII ტური
სეტუბალი 0:0 ბრაგა

### დანია

XVIII ტური
სილკებორგი 1:0 ორჰუსი



„ლოკომოტივი“ — „სიონი“ 1:2. ბევრი იჩხუბეს, მაგრამ რკინიგზელები ქვემოქართლელებს ვერაფერს გამორჩნენ




ბადრი კეთილაძის ფოტო

სახიფათო ეპიზოდის ჩინებული ფოტო. სამგურალელი თედო ბოდოკიას კარი ვაკეში ძელმა იხსნა

შემოტევა მოიგერია სამსაჯო კომიტეტმა, თუმცა ეს რა იყო იმასთან შედარებით, „გორდას“ პრეზიდენტყოფილმა თემურ ბუიღლიშვილმა რომ გაახმაურა. მსაჯს ქრთამად 700 ლარი შევაძლიეთ და მანაც აიღოო. ასე გაქრა სამსაჯო კორპუსიდან „რემბოდ“ წოდებული ალექსანდრე კრიჭაშვილი. გაქრობამდე ჯერ ფული დაუბრუნებია და მერე დანაშაული მოინანია.

ასეთი დარტყმის შემდეგ ძნელია წელში გასწორება, თუმც მსაჯები მაინც ფეხზე დგანან. ისევ ძველებურად სჯიან — ხან ობიექტურად, ხანაც უამრავი შეცდომებით.

„ჩვენ გვაქვს კოდექსი და იმის მიხედვით ვხელმძღვანელობთ“ — ყველა კითხვაზე პასუხი მზად არის, მაგრამ შეცდომები არ კლებულობს.

განა შეცდომებშია საქმე, თანამედროვე ფეხბურთში უშეცდომო მსაჯი ალბათ, მართლაც არ არსებობს, მაგრამ შეცდომაცაა და შეცდომაც.

ბევრი მწვრთნელისა და ფეხბურთელის მტკიცებით, ქართველმა მსაჯებმა ძალიან კარგად უწყიან თავიანთი საქმისა, მაგრამ ისიც ზედმიწევნით იციან, სად, ვისთან და როდის დაუშვან შეცდომა.

ანატოლი მილჩენკოს მთავარი პრობლემაც ესაა — როგორმე გაუქროს მოჭარბებული ეჭვები საფეხბურთო საქართველოს. მარტო იმის ძახილი, რომ სამსაჯო კომიტეტი ყველა დარღვევაზე რეაგირებს, საქმეს ვერ შველის. მიზეზიც უბრალოა, დღემდე არავის უნახავს სამაგალითოდ დასჯილი მსაჯი. მაშ, კრიჭაშვილი? — იკითხავს მავანი. ისიც დაბრუნდება და ვფიქრობ, უნდა დაბრუნდეს კიდეც, რადგანაც ის ვილაცეების ინტერესებს შეეწირა.

პრეტენზიებს ისმენენ ქართველი არბიტრები ყოველი ფეხის გადადგმაზე, მაგრამ იმას არავინ დაეძებს, რომ ისინი კლუბების თავკაცებისგან დიდ ზეწოლას განიცდიან. მათ ვერავინ აძლევს ხელშეუხებლობის გარანტიას. ხან ფეხბურთელი გამოუდგებათ გასალახად, ხანაც პრეზიდენტები შემოულაწუნებენ ლოყაზე. შემორტყმას ვინ ჩივის, ისეთ რამეს ჰპირდებიან, რომ სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე მუქარას სირცხვილით ვერ ამხელენ — ქალბატონი გვესწრება და გვეუხერხულებაო.

ნათქვამია, სახელის გატეხვასო... სწორედ ესაა მილჩენკოს სამწყსოს მთავარი პრობლემა.

## ფედერალური საქმეები

რომ დავდგეთ და ვიძახოთ ფეხბურთის ფედერაციას ამ სამი წლის მანძილზე არაფერი გაუკეთებიაო, არ ვიქნებით მართლები. განვლილი სამი წლის განმავლობაში ეროვნულმა ნაკრებმა ორი შესარჩევი ეტაპი ჩააგდო. სამარცხვინო შედეგებია ევროთასებზე და, რაც მთავარია, ეროვნული ჩემპიონატი გვაქვს წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო უარესი, თუმცა...

ფედერაციამ თითქმის მინიმუმამდე დაიყვანა წინამორბედთაგან გადმოყოლილი ვალები. ნაკრების ბაზის მშენებლობას უკვე ჩაეყარა საფუძველი, ალბათ, მალე ახალი, კომფორტული ოფისიც ექნება ქართულ ფეხბურთს. რამდენიმე სხვა სასიკეთო წამოწყების დასახელებაც შეიძლება, მაგრამ გულშემატკივრებს ეს არ აკმაყოფილებთ. მათ ისეთი ფეხბურთი მოენატრათ, სტადიონებზე დაუფიქრებლად რომ წაიყვანს ქომაგს. ასეთი კი დიდი ხანია, არ გვქონია.

ხალხი ფედერაციისგან სამართლიანობას მოითხოვს. ყველა გუნდის თანაბარ „პირობებში“ ჩაყენებას. არავინ იყოს პრივილეგირებული და შერჩეული ფავორიტი. კიდევ პრინციპულობას და ოპერატიულობას მოვითხოვთ ფედერაციისგან. ერთი თვის წინანდელი საეჭვო თამაში წლის ბოლო ალმასკომზე არ უნდა ირჩეოდეს.

ფეხბურთი დაისვენებს, ფედერაცია კი... წინ ალმასკომია, მერე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის წილისყრა. იქნებ უცხოელი მწვრთნელიც გამოჩნდეს. მერე ეროვნული ჩემპიონატი განახლდება და... ალბათ, ისევ ძველებურად იქნება ყველაფერი.

**მამუკა ძგანტალიანი**

**ტორპედო ქუთაისი**
**გაფრთხილება** (14): აბრამიძე (3)
**გაძევება** (1): ქემოკლიძე
**გოლი** (44): ქუთათელაძე (9)
**სიმბოლური** (18): დიდავა (6)

**ვიტ ჯორჯია თბილისი**
**გაფრთხილება** (22): თედორაძე (4)
**გაძევება** (5): დ. დოლიძე, წუწუნავა, მერლანი, კობიაშვილი, ზ. მეტრეველი
**გოლი** (27): გოგობერიშვილი (7)
**სიმბოლური** (18): გოგობერიშვილი (4)

**ლოკომოტივი თბილისი**
**გაფრთხილება** (15): ანჩაბაძე (3)
**გაძევება** (3): ბაქრაძე, ცხადაძე, ქორიძე
**გოლი** (33): დათვაძე (8)
**სიმბოლური** (29): ანჩაბაძე (7)

**სიონი ბოლნისი**
**გაფრთხილება** (23): დ. სვანიძე (4)
**გაძევება** (2): კ. გოდერძიშვილი, ისიანი
**გოლი** (16): ისიანი (4)
**სიმბოლური** (9): ისიანი (4)

**მერანი თბილისი**
**გაფრთხილება** (32): ზ. ცქიფურიშვილი (9)
**გაძევება** (5): ზ. ცქიფურიშვილი (2), ო. გაბელია, ბოლქვაძე, კვეკვესკირი
**გოლი** (32): დავითაშვილი (9)
**სიმბოლური** (22): ნაჭყებია (3), გუჯაბიძე (3)

**გურია ლანჩხუთი**
**გაფრთხილება** (23): კ. მეტრეველი (5)
**გაძევება** (0)
**გოლი** (14): კ. მეტრეველი (5)
**სიმბოლური** (8): კ. მეტრეველი (2), გ. დოლიძე (2), კაციაშვილი (2)

**ბათუმი**
**გაფრთხილება** (18): კობიძე (4)
**გაძევება** (0)
**გოლი** (24): მაჭუტაძე (8)
**სიმბოლური** (15): მაჭუტაძე (3)

**მეტალურგი ზესტაფონი**
**გაფრთხილება** (22): ამაშუკელი (4)
**გაძევება** (1): გეწაძე
**გოლი** (10): გეწაძე (3)
**სიმბოლური** (8): შეყრილაძე (2)

**კოლხეთი ფოთი**
**გაფრთხილება** (28): ე. გვასალია (4), წივწივაძე (4)
**გაძევება** (2): წივწივაძე, ფანჩულიძე
**გოლი** (28): წივწივაძე (10)
**სიმბოლური** (12): ფანჩულიძე (3)

**სამგურალი წყალტუბო**
**გაფრთხილება** (17): ფრანგიშვილი (4)
**გაძევება** (0)
**გოლი** (14): გ. ა. მიქაძე (4), ხუნდაძე (4)
**სიმბოლური** (7): ბოდოკია (2)

**დინამო თბილისი**
**გაფრთხილება** (9): მანწკავა (2), დარასელია (2), კანდელაკი (2)
**გაძევება** (2): მანწკავა, ბობოხიძე
**გოლი** (29): ბობოხიძე (8)
**სიმბოლური** (19): ამისულაშვილი (6)

**გორდა რუსთავი**
**გაფრთხილება** (31); ლაშა სილაგაძე (3), გოცირიძე (3), ბერიძე (3), მელაძე (3), კედელაშვილი (3)
**გაძევება** (1): ბექაური
**გოლი** (5): გოცირიძე (3), მელაძე (3), ჯუჯული (3)
**სიმბოლური** (12): ბურნაძე (3)

*შენიშვნა: სიმბოლური — „სარბიელის“ სიმბოლური ნაკრები*

# დინამოში წმენდა დაიწყო

## შვიდი ტრანსფერზე, დანარჩენებმა დაამტკიცონ

**გუშინ** „დინამოში“ გუნდის კრება მოეწყო. კლუბის ხელმძღვანელები და მწვრთნელები ფეხბურთელებს სათითაოდ გაესაუბრნენ, სავაისო სამუშაო განრიგი გააცნეს და დაემშვიდობნენ, ზოგს დროებით, ზოგსაც სამუდამოდ.

დიახ, ამიერიდან დინამოელები აღარ არიან: მეკარეები — სოსო გრიშიკაშვილი და ზურაბ ბათიაშვილი. ნახევარმცველები — ვახტანგ იაგორაშვილი და გიორგი გაბიდაური. თავდამსხმელები — მიხეილ ხუციშვილი, ნიკა თუთარაშვილი და თორნიკე აფციაური. ეს ფეხბურთელები კლუბმა ტრანსფერზე დააყენა.

გემოვნებაზე არ დავობენ, ზოგს მღვდელი მოსწონს, ზოგსაც მღვდლის ცოლი, მაგრამ გასაკვირია, ნუთუ ბათიაშვილი და თუთარაშვილი „დინამოს“ არ გამოადგებოდნენ? კლუბისა და გუნდის თავკაცთა აზრით, ტრანსფერზე დაყენებული მოთამაშეები „დინამოს“ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდნენ. ვინ შეედავება, ეტყობა, მათ უკეთ იციან თავიანთი საქმისა.

„დინამოს“ აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ სატელეფონო საუბარში ისიც გვითხრა, რომ გამორიცხული არ არის, ტრანსფერზე წარდგენილთა სია კიდევ მნიშვნელოვნად გაფართოვდეს. ამას კლუბი უცხოური შეკრებების დროს გადაწყვეტს.

გივი ნოდიას თქმით, ბიჭები 3 იანვრამდე დაისვენებენ. 3-დან 6 იანვრამდე სამედიცინო შემოწმებას გაივლიან და მოსამზადებელი ეტაპიც დაიწყება. 16 იანვარს ათგზის ჩემპიონი ორი კვირით კვიპროსს გაემგზავრება შეკრებაზე, 2 თებერვალს კი ნოდია 20 დღით იტალიურ ნორჩაში წაიყვანს შეგირდებს. „დინამო“ ნორჩას ზამთრის ტურნირშიც მიიღებს მონაწილეობას, სადაც აქამდე „ბათუმსა“ და „ვიტ ჯორჯიას“ მოუსინჯავთ ძალა. გუნდის საბოლოო დაკომპლექტებაც იქ დასრულდებაო, თქვეს „დინამოს“ ხელმძღვანელებმა.

**მამუკა ძგანტალიანი**



ვახტანგ იაგორაშვილი დინამოელი აღარ არის

HARD & SOFT
პერსონალური კომპიუტერების აპარატული და პროგრამული უზრუნველყოფის მაღაზია გიწვევთ წინასაახალწლო ფასდაკლებაზე, კერძოდ :
**MOUSE PS/2 , FIFA 2002 , MAX PAYNE , OPERATION FLASHPOINT**
**მხოლოდ ჩვენთან 4 ლარად !!!**
პროგრამული უზრუნველყოფის უდიდესი არჩევანი
მაღაზია მდებარეობს მარჯანიშვილის მოედანზე
არსებული წიგნების მაღაზიის მეორე სართულზე
მეტროდან გამოსვლისას ხელმარჯვნივ - ტელ 95-71-75

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერაბ ჟორდანია შკითხავად აღარ წავა

## ფეხბურთის ფედერაცია ნიჩბოსნობაში ვარჯიშობს

### პრეზიდენტის ფავორიტი ვიცე-პრეზიდენტია



ალექსანდრე ჩივაძე ნაკრების ახალი ბაზის მესაძირკვლეა




ასეთი იქნება საქართველოს ნაკრების ახალი ბაზა



მერაბ ჟორდანია ახალი ოფისის კიბეს აქედანვე შეუყვა

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია კვირას თბილისში დაბრუნდა და ჩვეული სამუშაო განაახლა.

ალბათ, იცით, ჟორდანია 6 ოქტომბერს რუმინეთ — საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩს დაესწრო და ბუქარესტიდან გზა ევროპაში გააგრძელა. მას შემდეგ ის თბილისში არავის უნახავს. ფედერაციის გენერალურ მდივან ვალერი ჩოლარიას თქმით, ჟორდანია ბუქარესტიდან ჯერ მივლინებაში წავიდა, ფიფაში საქმეები მოაგვარა, შემდეგ კუთვნილი 24-დღიანი შვებულება ითხოვა. იმ პერიოდში კი, როცა პრეზიდენტი სამსახურში არ იმყოფებოდა, პოლიციის თანამშრომლებმა ის გამოძიებისთვის ჩვენების მისაცემად სამჯერ მოიკითხეს. ჭორიც გავრცელდა, მერაბ ჟორდანია სამართალდამცავთ ემალებაო.

ჭორი ჭორადვე დარჩა. როგორც ამოჩნდა, ჟორდანიას დასამალი არაფერი ჰქონია. ფიფაში ყოფნისას ფედერაციისთვის პროგრამა „გოლით" 400 ათასი დოლარის გამოყოფის გარანტია მიილო, შემდეგ დაისვენა და კვირას შინ დაბრუნდა.

გუშინ კი მერაბ ჟორდანიას ერთობ დატვირთული, თუმც სასიამოვნო დღე ჰქონდა. დილით „დინამოს" დილმის საწვრთნელ ბაზაზე მწვრთნელებს მოსამზადებელი კურსების დაწყება მიულოცა. შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელები ჟორდანიას თამადობითა და ჟურნალისტების თანდასწრებით აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიას მიადგნენ, სადაც პრეზიდენტმა მიწას ნიჩაბი დაჰკრა და სწორედ ფიფასაგან გამოყოფილი იმ 400 ათასით ეროვნული გუნდისთვის ბაზის მშენებლობაც დაიწყო. ბოლოს კი მერაბ ჟორდანიამ ვაკეში, „ლოკომოტივის" სტადიონის სიახლოვეს ფედერაციის ოფისის უკვე ბოლომდე, მეოთხე სართულამდე აყვანილ კოლონებს შუაში და ზემოთ გაიარ-გამოიარა, მშენებლებს საქმე მოუწონა და პრესკონფერენციისთვისაც მოიცალა.

ცნობისათვის: ეროვნული ნაკრებისთვის საწვრთნელი ბაზა აგრარული უნივერსიტეტის გვერდით, იმ ალაგას შენდება, სადაც საფეხბურთო-სარაგბო მოედანი იყო. მიწის ფართი ფედერაციას 49-წლიანი იჯარით აქვს აღებული. ვარაუდობენ, რომ გუშინ დაწყებული სამუშაოები შემოდგომაზე დამთავრდება. მოეწყობა ორი მოედანი, მათგან ერთი ხელოვნურსაფარიანი, იქნება სასტუმრო, რომელიც ორ გუნდს დაიტევს, აღდგენითი ცენტრი და ყველაფერი ის, რაც ნაკრების ხეირიანად მოსამზადებლად საჭირო და აუცილებელია. რა თქმა უნდა, 400 ათასი ამ მასშტაბის მშენებლობას ბოლომდე ვერ გასწვდება, მაგრამ ფედერაციას ეს პრობლემა მოგვარებული აქვს, ხარჯთაღრიცხვაც შედგენილია და საამისოდ მათ დამატებითი თანხაც მოეძებნებათ.

ოფისის მშენებლობა კი თითქმის სამი თვეა მიმდინარეობს. როგორც ვთქვით, კოლონები ბოლომდეა აყვანილი, მუშებს სამშენებლო მასალები არ აკლიათ და ამბობენ, მარტში შენობა პატრონს ჩაბარდებაო. სხვათა შორის, მსგავსი არქიტექტურული ნაგებობა შესაძლოა თბილისში არც მოიძებნოს. ფედერაციის ოფისი ერთობ ორიგინალური პროექტით შენდება.

ახლა მთავარი, უფრო სწორად კი რამდენიმე აქტუალური წინადადება თბილისში დაბრუნებულ მერაბ ჟორდანიას გუშინდელი პრესკონფერენციიდან:

...28 მილიონი ლარისა და გადასახადების დამალვის საქმეში, რომელიც უკვე არაერთხელ გარჩეულა, ყოველთვის გავმართლდი. მისი ხელახლად გამოძიება აბსურდია.

...ვერ გამიგია, ჩემს უცხოეთში ყოფნას ასეთი ხმაური რატომ მოჰყვა. დღეის შემდეგ სადმე წასვლას რომ დავაპირებ, მივლინებაში თუ შვებულებაში, წინასწარ გამოვაცხადებ სად, რატომ, რისთვის, რამდენი ხნით მივდივარ, ჩემს სხვაგან ყოფნას კვლავ კუდები რომ არ გამოებას.

...ნაკრების მწვრთნელის საკითხი ჯერჯერობით კვლავ გაურკვეველია, თუმც გუნდის ჩაბარებას ალექსანდრე ჩივაძეს ვთხოვთ და, ალბათ, დავითანხმებთ კიდეც. ყოველ შემთხვევაში, რომ იცოდეთ, ჩემი ფავორიტი ალექსანდრე ჩივაძეა.

პრესკონფერენცია დიდხანს არ გაგრძელებულა, მერაბ ჟორდანიას საქმეები ბლომად დაუგროვდა.

**კობა ინასარიძე**

# ფერარი და დარსაძე სემინარისტებს კატეგორიულად გამოცდიან



გაიოზ დარსაძე (მარჯვნივ) ჯერ ასწავლის და მერე გამოცდის

**გუშინ** დილმის ბაზაზე გაიხსნა B კატეგორიის მწვრთნელთა მომზადების სემინარი. ეს საშური საქმე სფფ-მ უეფას მითითებით წამოიწყო. B კატეგორია ბავშვთა ფეხბურთში მუშაობას ითვალისწინებს და ფაქტობრივად გამორიცხავს ამ მნიშვნელოვან სფეროში შემთხვევითი ხალხის მოხვედრას.

ბავშვთა ფეხბურთში მუშაობის მსურნე 25 კაცს საქართველოში მწვრთნელთა მომზადების ცენტრის დირექტორი გაიოზ დარსაძე გაანათლებს. გამოცდებისთვის მოსამზადებელი ეტაპი 25 დღეს გასტანს. 28 დეკემბრამდე დარსაძე (შაბათ-კვირის გარდა) სემინარებს ჩაუტარებს მსმენელებს. მომავალი წლის იანვარში კი გამოცდებიც დაინიშნება და სწორედ იქ ნაჩვენები შედეგების მიხედვით გადაწყდება, თუ ვინ გახდება B კატეგორიის ლიცენზიების მფლობელი.

უცხოეთიდან დაბრუნებულმა სფფ-ის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ მუშაობა სწორედ დილმის ბაზიდან განაახლა. იგი მიესალმა სემინარის მონაწილეებს და წარმატება უსურვა მწვრთნელებს.

ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით თბილისს გუშინ ძველი ნაცნობი მარკო ფერარი ეწვია. 14 დეკემბერს კი ბელგიელი მიშელ საბრონიც ჩამოვა. საბრონი ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია და უეფას ქართული ფეხბურთის კურატორად ჰყავს დანიშნული. ბელგიელი ორ დღეს დარჩება თბილისში. ფერარი კი ოთხი დღითაა ჩამოსული და დღეიდან ლექციებს წაუკითხავს სემინარის მონაწილეებს.

დღეს საფეხბურთო გუნდების ექიმთა განათლებაც დაიწყება სასტუმრო „თორში". ორდღიან პროგრეს-კურსებს იუგოსლავიელი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. „თორში" ეროვნული ნაკრების, უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდების 24 ექიმის სტუმრობაა მოსალოდნელი, თუმც საეჭვოა, იუგოსლავიელს განსაზღვრული რაოდენობის მსმენელი სრულად დახვდეს. მიზეზი ელემენტარულია, პირველ ლიგაში თითებზე ჩამოსათვლელ გუნდს თუ ჰყავს ექიმი.

**ბაატა ქვანტალიანი**

# ყაველაშვილი დასვენებამდე დაისვენებს

**საქართველოს** ნაკრებისა და შვეიცარიული „ციურიხის" თავდამსხმელი მიხეილ ყაველაშვილი შაბათს მძიმედ დაშავდა და საოპერაციო შეიქნა.

„ლუცერნთან" მატჩი ახალდაწყებული იყო, როცა ქართველმა ფორვარდმა მეტოქისთვის ბურთის წართმევა ვარდნაში სცადა. სცადა და მუხლიც შეუბრუნდა. ყაველაშვილი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეცვალეს. გუნდის ექიმის წინასწარი დიაგნოზი, მყესების დაწყვეტა, ფეხბურთელისთვის, ცხადია, ერთობ სამწუხარო იყო. ეს კი უკეთეს შემთხვევაში ნახევარი სეზონი უქმად ყოფნას ნიშნავს.

ყაველაშვილისთვის გასახარად, გუნდის ექიმი შეცდა. რენტგენმა აჩვენა, რომ მას მენისკი დაზიანებოდა და სასწრაფო ოპერაციაც გარდუვალი იყო. მიშამაც ოპერაცია გუშინ, საღამოხანს ციურიხშივე გაიკეთა და ამჟამად საავადმყოფოშია. ყაველაშვილს ფრაიბურგელი ქართველები, თანაგუნდელი ჯამარაული, შვეიცარიაშივე მოთამაშე ხომერიკი და ოჯახის წევრები თავს აღგანან და ამხნევებენ.

ექიმების თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და ავადმყოფი თავს ნორმალურად გრძნობს.

ახლა მიხეილ ყაველაშვილს თვენახევარი მოუწევს დასვენება. ვარჯიშს ის სავარაუდოდ 20 იანვრისთვის განაახლებს. თამაშით კი, ალბათ, თებერვლის ბოლომდე ვერ ითამაშებს.

შვეიცარიის ჩემპიონატის პირველი ეტაპის დამთავრებამდე ბევრიც არაფერია დარჩენილი — სულ ერთი ტური. ასე რომ, ქართველი თავდამსხმელიც გუნდთან ერთად დაისვენებს.

**კობა ინასარიძე**



მიხეილ ყაველაშვილი

## ინგლისი

### XV ტური

**დერბი ქაუნთი 0:1 ლივერპული**

0:1 ოუენი (6)
დერბი ქაუნთი: პოომი, გრენე, მავენი, რიგოტი, ჰიგინბოთემი, ზავანო, დოუკრო, კარბონე, დ. პაუელი, კრისტი, რავანელი
მწვრთნელი: კოლინ ტოდი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ანრი, ჰიპია, რიისე, მერფი, ჰამანი, ჯერარდი, ბერგერი (მაკალისტერი 75), ოუენი (ლიტმანენი 82), ჰესკი
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი
გაფრთხილება: ჰიგინბოთემი, ოუენი, ჰესკი
მსაჯი: ბარბერი
33 289 მაყურებელი

**მანჩესტერი 0:3 ჩელსი**

0:1 მელხიოტი (6), 0:2 ჰასელბაინკი (64), 0:3 გუდიონსენი (86)
მანჩესტერი: ბარტეზი, უესლი ბრაუნი, ბლანი, როი კინი, ფ. ნევილი, ბექჰემი (სოლსკიაერი 76), სქოულზი, ვერონი, ფორლანი (გ. ნევილი 67), ენდი კოული (ჩედვიკი 90), ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, ტერი, გალასი, ბაბაიარო, იოკანოვიჩი, დალა ბონა, ლამპარდი, ლე სო (სტანიჩი 84), ჰასელბაინკი (ფორსელი 82), გუდიონსენი (ძოლა 88)
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
გაფრთხილება: სქოულზი, ვან ნისტელროი, ბაბაიარო, იოკანოვიჩი, ლე სო
მსაჯი: უილი
67 544 მაყურებელი

**ფულემი 0:0 ლიდსი**

ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, კოლინზი, მალბრანკი, ლეგვინსკი (მ. დევისი 78), ბოა მორტე, საჰა, ჰეილსი
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ლიდსი: მარტინი, გ. კელი, ჰარტი, რ. ფერდინანდი, მილსი, კიუელი (დაკური 69), ს. ჯონსონი, ბეტი, ვიდუკა, ა. სმიტი, ფაულერი
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: ლეგვინსკი, სმიტი, ჯონსონი
მსაჯი: პოლი
20 918 მაყურებელი

**ევერტონი 2:0 საუთჰემპტონი**

1:0 რაძინსკი (50), 2:0 პემბრიჯი (87)
ევერტონი: სიმონსენი, პისტონე, სტაბსი, ვეირი, ნეისმიტი, ალექსანდერსონი (გესქოინი 46), გრავესენი, ჯემილი, ამსუორთი (პემბრიჯი 46), რაძინსკი, უოტსონი
მწვრთნელი: უოლტერ სმიტი
საუთჰემპტონი: პ. ჯოუნსი, დოდი, ბრიჯი, ლუნდეკვამი, კ. უილიამსი, ტელფერი, მარსდენი (კ. დევისი 68), ოკლი, სვენსონი, ბიტი, პახარსი
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
გაფრთხილება: უილიამსი
მსაჯი: უინტერი
28 138 მაყურებელი

**ასტონ ვილა 0:2 ლესტერი**

0:1 აკინბაი (12), 0:2 სკოუკროფტი (51)
ასტონ ვილა: შმაიხელი, მ. დილანი, ალფაი (სტონტონი 60), მელბერგი, ა. რაიტი, სტოუნი, ჯ. ბოატენგი, ლ. ჰენდრი (ჟინოლა 61), მერსონი, პაბლო ანხელი, ვასელი (დაბლინი 71)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
ლესტერი: ი. უოქერი, ფ. სინკლერი, მარშალი, მ. ელიოტი, როჯერსი (დ. სტიუარტი 76), დავიდსონი, იმპი, სევიჯი, უაიზი, სკოუკროფტი, აკინბაი (ბენჯამინი 90)
მწვრთნელი: დეივ ბასეტი
გაფრთხილება: აკინბაი, სევიჯი, როჯერსი, უაიზი
გაძევება: ჟინოლა (84)
მსაჯი: ბენეტი
30 711 მაყურებელი

**ბლექბერნი 0:1 მიდლსბრო**

0:1 ბოკსიჩი (45)
ბლექბერნი: ფრიდელი, ბერგი, მ. ტეილორი, შორტი (იოჰანსონი 67), გილესპი, ნაილი, თუგაი, დანი, დაფი (მაჰონი 61), ოსტენსტადი (გრაბი 62), იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
მიდლსბრო: კროსლი, კედრუ (გევინი 61), საუთგეიტი, ეჰიოგუ, კუპერი, გრინინგი, მასტო, ჯონსტონი, მარინელი (უილსონი 78), ბოკსიჩი (უინდასი 87), ნემეტი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: გილესპი, კუპერი, ბოკსიჩი
მსაჯი: ნაითი
23 849 მაყურებელი

# მითხარი, რა ხდება?





მანჩესტერი — ჩელსი. ეიდურ გუდიონსენმა და ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა ალექს ფერგიუსონს თავბედი აწყევლინეს

**ჩარლტონი 1:1 ნიუკასლი**

0:1 სპიდი (73), 1:1 მაკდონალდი (83)
ჩარლტონი: დ. კელი, იანგი, ს. ბრაუნი (ფორტჩუნი 26), ფიში, კ. პაუელი, გ. სტიუარტი (მაკდონალდი 80), პარკერი, იენსენი, ჯ. რობინსონი, ბარტლეტი (ლისბი 38), იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ნიუკასლი: გივენი, ა. ჰიუზი, ობრაიენი, დაბიზასი, რ. ელიოტი, სოლანო, ლი, სპიდი, რობერი (ლუა-ლუა 86), შირერი, ბელამი (ამეობი 90)
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: პარკერი, ბელამი, სპიდი
გაძევება: შირერი (87)
მსაჯი: დურსო
24 151 მაყურებელი

**იფსვიჩი 0:2 არსენალი**

0:1 ლიუნგბერგი (5), 0:2 ანრი (56პ)
იფსვიჩი: სერენი, მაკინი (ფინიდი 63), ბრემბლი, ჰრეიდარსონი, ვენუსი, რ. რაიტი, ჰოლანდი, პერალტა (გაარდსო 81), კლაპამი, ნეილორი (კუნაგო 68), მ. ბენტი
მწვრთნელი: ჯორჯ ბარლი
არსენალი: ს. ტეილორი, ლორენი, კ. კემბელი, აშონი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი (ედუ 85), პარლოუ, ვიეირა, პირესი (ვან ბრონკჰორსტი 80), ანრი, ნ. კანუ (ბერხკამპი 68)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: ვენუსი, ლიუნგბერგი, პარლოუ
მსაჯი: ელერი
24 666 მაყურებელი

**სანდერლენდი 1:0 ვესტ ჰემი**

1:0 ფილიპსი (85)
სანდერლენდი: სორენსენი, ჰაასი, დ. უილიამსი, ტომე, გრეი, მაკატირი (ბატლერი 18), გევინ მაკკენი, ტირლველი, არკა, ნ. ქუინი (ლასლანდი 57), ფილიპსი
მწვრთნელი: პიტერ რიდი
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ტ. სინკლერი, რეპკა, დეილი, შემელი, მინტო (ტოდოროვი 90), ჰათჩისონი, კარიკი, ჯ. კოული (მონკუ 79), კიტსონი, დეფო
მწვრთნელი: გლენ როუდერი
გაფრთხილება: ტირლველი, ბატლერი, ჰაასი
მსაჯი: ჯოუნსი
47 437 მაყურებელი

**ტოტენჰემი — ბოლტონი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

**ასე იწყება** ერთი მეტად პოპულარული ინგლისური სიმღერა: მითხარი, რა ხდება, რა ამბავია?

გონებამახვილმა ინგლისელმა ტელეჟურნალისტებმა „აიტივის“ არხიდან არც აციეს, არც აცხელეს და „მანჩესტერ“ — „ჩელსის“ მატჩის ამსახველ მომენტებს სწორედ ეს სიმღერა გადააფარეს. საჩვენებელი კი, იცოცხლეთ, იყო: სერ ალექსის დაძმარებული ცხვირ-პირი და ხუან ვერონის შეშლილი სიფათი. და, რა თქმა უნდა, „ოლდ ტრეფორდის“ ტრიბუნებიდან დაძრული ხალხი.

როცა მსაჯმა ამ შეხვედრაში ბოლოჯერ ჩაბერა სასტვენს, „ოლდ ტრეფორდის“ ალისფერი სკამების ორი მესამედი ცარიელი იყო. ასეთი რამ კი აქამდე არასდროს მომხდარა... ასეთი რამ ხდება ალექს ფერგიუსონის მბრძანებლობის ბოლო წელიწადს. მთელი ინგლისის მედია ალაპარაკებულია: დაინგრევა თუ არა „მანჩესტერ იუნაიტედი“, ცხრა წელიწადში ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონი?

„ჩელსიმ“ თავისი საუკეთესო თამაში ითამაშა კლაუდიო რანიერის ხელში, თუმცა ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკმა მართებულად შენიშნა: „ეს დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ყველაზე პატარა გამარჯვებაც კი ზუსტად ამდენივე ღირს, მხოლოდ სამი ქულა“.

„ჩელსი“ ამ კვირის ნამდვილი გმირია; ოთხშაბათს უორზინგტონის თასის თამაშში ლიდსშივე სძლია იქაურებს — 2:0, შაბათს კი ქვეყნის ჩემპიონიც წააქცია, რანიერისავე სიტყვებით, მოულოდნელი და არანორმალური ანგარიშით.

ამ ხუმრობა-ხუმრობაში კი ზედიზედ მეორედ დაკარგა ორი ქულა „ლიდსმა“, რომელმაც ამჯერად „კრეივენ კოტეჯზე“ ითამაშა უგოლო ფრე. კარგა ხნის შესვენების შემდეგ ლიდსელთა შორის გამოჩნდა მარკ ვიდუკა, ხოლო რობი ფაულერს დებიუტი ჰქონდა. საინტერესოა, რომ სამი დღის წინათ „ლივერპულიდან“ თხასავით გაყიდულ კლუბის ერთ-ერთ სიმბოლოს, 8 წლის წინათ სწორედ „ფულემის“ წინააღმდეგ ჰქონდა დებიუტი ამავე სტადიონზე და სწორედ აქ გაიტანა თავისი 171 ლივერპულური გოლიდან პირველი. ახლა კი სხვა დროა, მენეჯერის პირად შეხედულებათა გამო გასხვისებული ფაულერი ბევრს ეცადა, მაგრამ ვერ გაიტანა.

წინა საღამოს „არსენალს“ იოლად მოეგო იფსვიჩში. ფაულერის აწ უკვე ყოფილი კლუბი და „ლიდსის“ მთავარი მეტოქე ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დერბის „პრაიდ პარკს“ სტუმრობდა და იქიდან სამი ქულის წაღებას აპირებდა. „ლივერპულმა“ მალევე გაიტანა: მასპინძელთა მეკარე პოომმა პატრიკ ბერგერის დარტყმული ვერ დაიჭირა და მაიკლ ოუენმა ბოლო ოთხ თამაშში თავისი მეხუთე გოლი გაიტანა. „ლივერპულმა“ ნაცად ტაქტიკას მიმართა და თამაში ჩაკეტა. „დერბის“ ფეხბურთელებმა თავი დადეს, თუმცა ამით მხოლოდ ის დადასტურდა, რომ მწყობრში დაბრუნებული მალკოლმ კრისტი ნამდვილად იმსახურებს უფრო კარგ გუნდში თამაშს. მატჩის დასრულებას არაფერი უკლდა, როცა კოლინ ტოდის შეგირდებს ქულის გადარჩენის შანსი მიეცათ: პენალტი, ისევე, როგორც წინა ტურში ფაბრიციო რავანელიმ დაარტყა. დაარტყა ზუსტად ისე, როგორც წინა ტურში და მეკარემაც ზუსტად ისე აუღო, როგორც წინა ტურში. „ლივერპულმა“ მოიგო და კიდევ უფრო განიმტკიცა ლიდერობა.

ამ ტურში ერთი უცნაური ამბავიც მოხდა; მსაჯებმა ლამის ერთად გააძევეს ორი იასონა-კაცი, ნიუკასლელი ალან შირერი და ვილელი დავიდ ჟინოლა. შირერმა სულ ტყუილად მიიღო წითელი მსაჯ ენდი დურსოსგან, აქაოდა საჰაერო ორთაბრძოლისას მეტოქეს იდაყვი დასცხეო. ამან ძალიან გააბრაზა ჩრდილოელთა მენეჯერი ბობი რობსონი, თუმცა ამ თამაშში უკვე ფრე იყო და „ნიუკასლმა“ გააგრძელა გლეხური მანდრაჟის ტრადიცია, ბოლო ოცდარვა შეხვედრაში ერთხელაც არ მოუგია დედაქალაქის არცერთ კლუბთან.

მაგრამ გადარევა თქვენ ჟინოლასი უნდა გენახათ. „ვილა“ 0:2 აგებდა გამოღვიძებულ „ლესტერთან“, ამ სეზონში პირველი საშინაო მარცხის თავიდან ასაცილებლად ჯონ გრეგორიმ მოედანზე შერისხული ჟინოლაც კი შეუშვა. თამაში უკვე წაგებული იყო, როცა სტუმარმა დენის უაიზმა ჩვეული გამეტებით მოჩეხა ჟინოლა, რომელმაც წაქცეულმავე აჯახა წიხლები მუცელში. უაიზს დიდი არაფერი მოხვედრია, მაგრამ გაგორდა და მსაჯიც იქვე იყო. ჟინოლა ძლივს გაიყვანეს მოედნიდან, სარეზერვო არბიტრის სულ ლოყაზე „უთათუნა“ ხელისგული. გრეგორიმ კი ჟინოლა ცალკე გალანძღა, და მსაჯი სტივ ბენეტი ცალკე. ჩვენს კარში პირველი გოლი [illegible]

კვირას [illegible] გაარწყინა პოლ გესქოინმა, რომელიც „ევერტონ“ — „საუთჰემპტონის“ შეხვედრაში მეორე ტაიმში [illegible] რზე. გაზას „ევერტონის“ არცერთ გოლში გადამწყვეტი მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ საერთო მოწმობით, თავისიანების მთავარი დირიჟორი და თამაშის ამწყობი იყო. „იქეთ კვირაში ეგებ ვერც მოვხვდე ძირითადში, კონკურენცია დიდია — თქვა გაზამ — მაგრამ მე მომწონს ასეთი ბრძოლა და თამაში“.

ყველაზე გახარებული მაინც „ჩელსის“ ფანები იყვნენ. ისინი დიდხანს იდგნენ „ოლდ ტრეფორდის“ სტუმართა სექტორში და ორ წინადადებას მღეროდნენ: „მოდი, ყოველ შაბათს ვითამაშოთ აქ“... და „ემიუ, რატომ არ გაიფიცე?“

უქმეების ფრაზად კი ალექს ფერგიუსონის სიტყვები გამოცხადდა: „14-დან 5 თამაში წავაგეთ. ეს ნიშნავს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა წარმოუდგენელია. ვფიქრობ, ამ ბრძოლამ შედეგი გამოიღოს...“

და როგორც ერთმა ტელეკომენტატორმა ოხუნჯი სახით იკითხა: „გჯერათ, კი ამ სიტყვების?“

**ირაკლი გამყრელიძე ლონდონიდან**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 13 | 9 | 2 | 2 | 23:11 | 12 | 29 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 13 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:5 | 9 | 16 |
| 2 არსენალი | 14 | 7 | 5 | 2 | 30:15 | 15 | 26 | 6 | 2 | 2 | 2 | 14:11 | 3 | 8 | 8 | 5 | 3 | 0 | 16:4 | 12 | 18 |
| 3 ლიდსი | 14 | 6 | 7 | 1 | 16:8 | 8 | 25 | 6 | 3 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 12 | 8 | 3 | 4 | 1 | 8:6 | 2 | 13 |
| 4 ნიუკასლი | 14 | 7 | 3 | 4 | 24:18 | 6 | 24 | 7 | 4 | 1 | 2 | 10:8 | 2 | 13 | 7 | 3 | 2 | 2 | 14:10 | 4 | 11 |
| 5 ჩელსი | 14 | 5 | 8 | 1 | 19:11 | 8 | 23 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 | 8 | 3 | 4 | 1 | 11:6 | 5 | 13 |
| 6 ასტონ ვილა | 14 | 6 | 5 | 3 | 18:14 | 4 | 23 | 8 | 4 | 3 | 1 | 9:5 | 4 | 15 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 7 მანჩესტერი | 14 | 6 | 3 | 5 | 31:26 | 5 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 15:9 | 6 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 16:17 | -1 | 8 |
| 8 ტოტენჰემი | 14 | 6 | 3 | 5 | 21:18 | 3 | 21 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:11 | 2 | 11 | 7 | 3 | 1 | 3 | 8:7 | 1 | 10 |
| 9 ევერტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 20:17 | 3 | 20 | 8 | 4 | 2 | 2 | 15:9 | 6 | 14 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:8 | -3 | 6 |
| 10 ბოლტონი | 14 | 5 | 5 | 4 | 18:17 | 1 | 20 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:10 | -5 | 8 | 7 | 3 | 3 | 1 | 13:7 | 6 | 12 |
| 11 ბლექბერნი | 15 | 4 | 7 | 4 | 21:17 | 4 | 19 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:7 | 7 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 7:10 | -3 | 6 |
| 12 ფულემი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:13 | 2 | 19 | 8 | 3 | 4 | 1 | 10:7 | 3 | 13 | 6 | 1 | 3 | 2 | 5:6 | -1 | 6 |
| 13 სანდერლენდი | 15 | 5 | 4 | 6 | 13:15 | -2 | 19 | 8 | 4 | 2 | 2 | 10:8 | 2 | 14 | 7 | 1 | 2 | 4 | 3:7 | -4 | 5 |
| 14 მიდლსბრო | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | -3 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:12 | -1 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 9 |
| 15 ჩარლტონი | 14 | 3 | 6 | 5 | 17:19 | -2 | 15 | 8 | 1 | 4 | 3 | 9:12 | -3 | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:7 | 1 | 8 |
| 16 ვესტ ჰემი | 14 | 4 | 3 | 7 | 16:27 | -11 | 15 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 10 | 8 | 1 | 2 | 5 | 9:23 | -14 | 5 |
| 17 ლესტერი | 15 | 3 | 4 | 8 | 9:25 | -16 | 13 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:12 | -8 | 6 | 8 | 2 | 1 | 5 | 5:13 | -8 | 7 |
| 18 საუთჰემპტონი | 14 | 3 | 1 | 10 | 11:24 | -13 | 10 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 | 8 | 2 | 0 | 6 | 5:12 | -7 | 6 |
| 19 დერბი ქაუნთი | 14 | 2 | 4 | 8 | 10:24 | -14 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 7:9 | -2 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:15 | -12 | 1 |
| 20 იფსვიჩი | 15 | 1 | 6 | 8 | 14:24 | -10 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:12 | -4 | 5 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 13 |
| ჰასელბაინკი (ჩელსი) | 11 |
| რიკეტსი (ბოლტონი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| რავანელი (დერბი ქაუნთი) | 7 |
| ფილიპსი (სანდერლენდი) | 7 |

**XVI ტური**
**8 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | - | ასტონ ვილა |
| ბლექბერნი | - | ლიდსი |
| ჩარლტონი | - | ტოტენჰემი |
| დერბი ქაუნთი | - | ბოლტონი |
| ფულემი | - | ევერტონი |
| იფსვიჩი | - | ნიუკასლი |
| ლესტერი | - | საუთჰემპტონი |
| ლივერპული | - | მიდლსბრო |
| მანჩესტერი | - | ვესტ ჰემი |
| სანდერლენდი | - | ჩელსი |

## პირველი დივიზიონი

### XXII ტური

**ბარნსლი 3:0 შეფილდ უენსდი**
1:0 მორგანი (5), 2:0, 3:0 შერონი (41, 85)

**პორტსმუთი 1:2 ნორვიჩი**
0:1 რობერტსი (7), 1:1 ჰარპერი (23), 1:2 ტაილერი (85პ.)

**ვულვერჰემპტონი 0:1 ვესტ ბრომვიჩი**
0:1 ჟორდაო (59)

**ბრედფორდი 1:2 მილუოლი**
0:1 კლარიჯი (41), 0:2 დიჩი (90), 1:2 ბლეიქი (90)

**ქოვენთრი 3:1 უიმბლდონი**
1:0 ჰიუზი (20), 2:0 მილსი (43), 2:1 მაკანუფი (45), 3:1 ტომპსონი (79)

**კრისტალ პალასი 1:2 ბარნლი**
0:1 იან მური (23), 1:1 მორისონი (38), 1:2 იან მური (63)

**გრიმსბი 0:2 მანჩესტერ სიტი**
0:1 ჰაკერბი (74პ), 0:2 გოტერი (90)

**ნოტინგემი 0:0 უოტფორდი**

**როტერჰემი 2:0 უოლსოლი**
1:0 მალინი (34), 2:0 ლი (76)

**შეფილდ იუნაიტედი 2:2 პრესტონი**
0:1 ჰელი (13), 0:2 კროსველი (45), 1:2 პეშისოლიდო (47), 2:2 სანტოსი (80)

**სტოკპორტი 0:1 ქრიუ**
0:1 ფოსტერი (67)

**ჯილინგემი 1:1 ბირმინგემი**
1:0 პარსი (16ს.კ.), 1:1 მარსელო (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნლი | 22 | 13 | 4 | 5 | 42:29 | 43 |
| ვულვზი | 21 | 12 | 5 | 4 | 33:16 | 41 |
| ნორვიჩი | 22 | 12 | 3 | 7 | 31:28 | 39 |
| ვესტ ბრომვიჩი | 21 | 12 | 2 | 7 | 25:18 | 38 |
| ქოვენთრი | 21 | 11 | 4 | 6 | 28:19 | 37 |
| სიტი | 20 | 11 | 3 | 6 | 47:29 | 36 |
| პრესტონი | 22 | 9 | 9 | 4 | 37:27 | 36 |
| კრისტალ პალასი | 21 | 11 | 1 | 9 | 43:32 | 34 |
| მილუოლი | 20 | 10 | 4 | 6 | 35:24 | 34 |
| პორტსმუთი | 22 | 9 | 6 | 7 | 34:31 | 33 |
| ბირმინგემი | 21 | 8 | 6 | 7 | 33:30 | 30 |
| უოტფორდი | 21 | 8 | 5 | 8 | 33:26 | 29 |
| ნოტინგემი | 22 | 7 | 8 | 7 | 24:21 | 29 |
| ჯილინგემი | 22 | 8 | 5 | 9 | 32:30 | 29 |
| ბრედფორდი | 22 | 8 | 5 | 9 | 40:40 | 29 |
| შეფილდი | 22 | 6 | 9 | 7 | 24:27 | 27 |
| უიმბლდონი | 22 | 6 | 8 | 8 | 36:36 | 26 |
| როტერჰემი | 22 | 6 | 7 | 9 | 28:34 | 25 |
| ქრიუ | 22 | 6 | 7 | 9 | 20:34 | 25 |
| უენსდი | 22 | 5 | 7 | 10 | 24:35 | 22 |
| უოლსოლი | 22 | 5 | 5 | 12 | 23:36 | 20 |
| გრიმსბი | 22 | 5 | 5 | 12 | 21:42 | 20 |
| ბარნსლი | 22 | 4 | 6 | 12 | 26:47 | 18 |
| სტოკპორტი | 22 | 2 | 6 | 14 | 21:49 | 12 |

## მეორე დივიზიონი

21-ე ტური: ბორნმუთი — ტრანმერი 0:2; ბრისტოლი — ნოტსი 3:2; ბერი — ბრაიტონი 0:2; კარდიფი — ოლდემი 3:1; ჰადერსფილდი — კემბრიჯი 2:1; პორტ ვეილი — ბლეკპული 1:1; ქუინზ პარკი — კოლჩესტერი 2:2; რედინგი — ჩესტერფილდი 0:1; უიგანი — სუინდონი 1:0; რექსემი — ნორთჰემპტონი 3:2; უიკომბი — ბრენტფორდი 5:3. პიტერბორო — სტოკი გადაიდო

## მესამე დივიზიონი

21-ე ტური: კარლაილი — სკანთორპი 3:0; ჩელტენემი — ჰალიფაქსი 2:1; დარლინგტონი — იორკი 3:1; ჰარტლპული — როჩდეილი 1:1; ჰალი — ოქსფორდი 3:0; ლეიტონი — პლიმუთი 0:0; მენსფილდი — სუონსი 3:0; რაშდენი — როვერსი 3:1; შრუსბერი — ექსეტერი 0:1; საუთენდი — ლინკოლნი 1:1; ტორკი — მაკლსფილდი 1:2. კიდერმინსტერი — ლუტონი გადაიდო

# სულ იუვენტუსის ბრალია...




REUTERS ჰამბურგიდან

ჰამბურგი — ზანკტ პაული. კოლინ ბენჟამინმა ჰამბურგელებს მესამე გაუტანა

## გერმანია

XV ტური

### კაიზერსლაუტერნი 3:0 ფრაიბურგი

1:0 კლოზე (31), 2:0 რამზი (47), 3:0 კლოზე (52)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, ჰენგენი, ვესტი (გაბრიელი 82), რატინიო (რიდლი 78), ჰ. რამზი, ბასლერი, მალცი, ლინკოლნი, მარშალი (მიფსუდი 80), კლოზე
მწვრთნელი: ანდრეას ბრემე
ფრაიბურგი: გოლცი, შ. მიულერი, ჰერმელი (ვ. ბუტი 62), კელი, ვილი, კრუზე, ა. ცაიერი, ცქიტიშვილი, ტანკო, სელიმი (რამდანე 46), იაშვილი (ფ. გერბერი 85)
მწვრთნელი: ფოლკერ ფინკე
გაფრთხილება: ჰ. კოხი, ჰერმელი
მსაჯი: შტარკი
38 248 მაყურებელი

### კიოლნი 0:2 დორტმუნდი

0:1 ამოროზო (17პ), 0:2 ევერტონი (42)
კიოლნი: პრიოლი, ცელვეგერი, ჩიკონი (შერცი 76), სონგი, კელერი, რეები, სინკალა (ლოტნერი 58), შპრინგერი (კროიცი 82), რაიხი, ტიმი, კურტი
მწვრთნელი: ევალდ ლინენი
დორტმუნდი: ლემანი, მეცელდერი, ვორნსი, დედე, როიტერი, ევანილსონი, რიკენი (სტევიჩი 88), როსიცკი (ჰაინრიხი 64), ევერტონი, ამოროზო (სორენსენი 73), იან კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ლოტნერი, სონგი, ამოროზო, ევერტონი, დედე, ვორნსი
მსაჯი: ფანდელი
42 000 მაყურებელი

### ვერდერი 2:1 ლევერკუზენი

0:1 შნაიდერი (38), 1:1 ბოდე (39), 2:1 ვერლაატი (58)
ვერდერი: როსტი, ფ. ბაუმანი, ვერლაატი (სტალტერი 80), კრსტაიჩი, ფრინგსი, ტიკუზუ, სკრიპნიკი, ლისტეში, ფ. ერნსტი, აილტონი, ბოდე
მწვრთნელი: თომას შააფი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, ლუსიო, ნოვოტნი, ბ. შნაიდერი, პლასენტე (სებესკენი 74), რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი (ვუკოვიჩი 46), კირსტენი (ბერბატოვი 74), ნოივილი
მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი
გაფრთხილება: ერნსტი, ვერლაატი, სტალტერი, ბაშთურქი, ბალაკი, რამელო, კირსტენი, ვუკოვიჩი, ზე რობერტო
გაძევება: ნოვოტნი (70)
მსაჯი: კესლერი
32 100 მაყურებელი

### ჰერტა 2:1 ბაიერნი

0:1 კოვაჩი (46), 1:1 ნოიენდორფი (71), 2:1 დარდაი (84)
ჰერტა: ფიდლერი, შმიდტი (დაეი 69), ვან ბურიკი, სვერისონი, სიმუნიჩი, მაასი (ნოიენდორფი 62), დარდაი, ტრეჩოკი (ლაპაჩინსკი 90), გოორი, მარსელინიო, პრეეცი
მწვრთნელი: იურგენ რიობერი
ბაიერნი: ვესელსი, სანიოლი, კუფური, ლინკე, ლიზარაზუ, ფინკი, სფორცა (ჰარგრივსი 73), ნ. კოვაჩი (შოლი 82), სერჯიო, ელბერი (კ. პიზარო 73), ციკლერი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: სიმუნიჩი, გოორი, ვან ბურიკი, კუფური, ფინკი
მსაჯი: ოსტი
52 000 მაყურებელი

### მიუნხენი 1:0 კოტბუსი

1:0 მაქსი (71)
მიუნხენი: იენჩი, ვოტავა (შროტი 61), კურცი (მ. ვაისენბერგერი 70), ფ. ტაპალოვიჩი, ჩერნი, ბორიმიროვი, ვიზინგერი, ბიროფკა (აგოსტინო 70), ჰესლერი, შუკერი, მაქსი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
კოტბუსი: პიპლიცა, და სილვა, ჰუჯუროვიჩი, ბეკი, რეგეკამპფი, აკრაპოვიჩი, ტიელმანი, შრიოდერი, მირიუტა (ვატა 58), ბრაზილია (ტოპიჩი 58), ლაბაკი (მატიუში 65)
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაძევება: და სილვა (53)
მსაჯი: მერკი
18 600 მაყურებელი

### შტუტგარტი 1:1 მიონხენგლადბახი

1:0 ვენცელი (48), 1:1 კუნცელი (89)
შტუტგარტი: ჰილდებრანდი, ჰინკელი, მარკეში, ვენცელი, კარნელი, სოლდო, მაისნერი, გლები (ტიფერტი 73), ბალაკოვი, ზაიცი (ჰ. გერბერი 90), განია (ადემარი 46)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, პლეტჩი, შტასინი, მიუნხი, კორელი, ჰაუსვაილერი (ასანინი 71), ულიხი, კორზინეცი (მაიკელი 71), ვან ჰუდტი (კუნცელი 56), ვან ლენტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
გაფრთხილება: ზაიცი, მაისნერი, ჰინკელი, კორელი, შტასინი
მსაჯი: ბერგი
31 000 მაყურებელი

### ნიურნბერგი 0:3 შალკე

0:1 ჰაიტო (61პ), 0:2, 0:3 სანდი (90, 90)
ნიურნბერგი: კამპა, სანე, კოში, ნიკლი, ვიბლიშაუზერი, პასლაკი (კრჟინოვეკი 81), ტავკარი, ლ. მიულერი, ლარსენი, რინკე (გომისი 73), მიხალკე (მიოკელი 73)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
შალკე: რეკი, ჰაიტო, ვალდოხი, ნემეცი (ვან ჰოოგდალემი 74), ვან კერკჰოვენი, ასამოა (ბიომე 80), უდე კამპუისი, ვერმანტი, მიოლერი, ვილმოტსი, სანდი
მწვრთნელი: ჰუუბ სტივენსი
გაფრთხილება: კოში, პასლაკი, ტავკარი, უდე კამპუისი, ნემეცი, კოში
გაძევება: ნიკლი (61), კოში (68)
მსაჯი: შტრამპე
40 000 მაყურებელი

### ჰანზა 1:2 ვოლფსბურგი

0:1, 0:2 მარიჩი (32, 65), 1:2 ბაიერლე (89)
ჰანზა: შობერი, იაკობსონი, ჰილი, შრიოტერი, ლანცი, მაული (ისერი 57), ვიბრანი, ჰირში, რიდლევიჩი, ბაიერლე, არვიდსონი (ბაუმგარტი 57)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, შნოორი, ბილისკოვი, ფრანცი, კრიგერი, კარჰანი, ბკონორი, ს. მიულერი, დ. მუნტიანუ (კუპპაუერი 68), ტ. მარიჩი (რიშე 88), პეტროვი (პლასნეგერი 80)
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
გაფრთხილება: პეტროვი, შნოორი
მსაჯი: გაგელმანი
11 000 მაყურებელი

### ჰამბურგი 4:3 ზანკტ პაული

1:0 მეიერი (4), 2:0 ფუკალი (8), 3:0 ბენჟამინი (45), 3:1 მეგლე (47), 4:1 ბარბარესი (52), 4:2, 4:3 ტრულსენი (79, 83პ)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰერჩი, იუფფალუში, ჰოლერბახი, ტოფტინგი (მაჰდავიკია 74), ალბერტცი, ბენჟამინი (მალტრიცი 82), პრეგერი, მეიერი (პანადიჩი 85), ბარბარესი
მწვრთნელი: კურტ იარა
ზანკტ პაული: ბულატი, ტრულსენი, სტანისლავსკი, ჰელდი, გიბსი (ბარისი 55), ბერე (კონეცკე 61), იჩემანი, რანი, მეგლე, მარკაო (სენჩი 46), რატი
მწვრთნელი: დიტმარ დემუტი
გაფრთხილება: ალბერტცი, ტოფტინგი, ბარბარესი, ჰოლერბახი, მალტრიცი, მეგლე, ტრულსენი, სტანისლავსკი
მსაჯი: კრუგი
54 800 მაყურებელი

**გამარჯვებების** ასეთი გამორჩეული სერია ბრემენის „ვერდერს“ ოტო რეჰაგელის დროის მერე აღარ ჰქონია. „ვერდერმა“ ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო. ახლა მოწინააღმდეგეებს არ იკითხავთ? ჩემპიონი „ბაიერნი“, ვიცე-ჩემპიონი „შალკე“ და ლიდერი „ლევერკუზენი“... თომას შააფის ბიჭებმა ესენიც ერთმანეთს მიაყოლეს.

არეულმა წინა კვირამ „ბაიერი“ მაინც გატეხა. „იუვენტუსთან“ ტურინში ოთხშაბათის ნაცვლად ხუთშაბათს ნათამაშევმა ჩემპიონთა ლიგის შეხვედრამ რა შედეგიც მოუტანათ, კარგად ვიცით, 0:4 წააგეს. მერე, ლამის 48 საათში ბრემენის „ვეზერშტადიონის“ მინდორზე გავიდნენ და წლეულს ბუნდესლიგაში პირველად დამარცხდნენ.

„ჯეროვნად ვერც „იუვენტუსთან“ და ვერც „ვერდერთან“ მატჩებისთვის მოვემზადეთ — დაიჩივლა ბაიერელთა მენეჯერმა რაინერ კალმუნდმა, რომელიც იმ დღეებში არგენტინაში სტუმრობდა — გუნდთან რომ ვყოფილიყავი, ხუთშაბათს არაფრით დავრთავდი თამაშის ნებას“...

მართლაც, „ბაიერი“ დაღლილი და არეული იყო, თუმცა წაგებას მაინც არ იმსახურებდა. რამდენიმე ნაღდი მომენტი რომ გამოეყენებინა, საქმე სხვაგვარად წავიდოდა. სამაგიეროდ, „ვერდერმა“ რაც შექმნა, ყველაფერი შეირგო.

ყველას აინტერესებდა ბრემენელთა უკრაინელ ვიქტორ-სკრიპნიკისა და ლევერკუზენელ ბერნდ შნაიდერის დუელი. უკრაინა — გერმანიის ამასწინანდელ პლეი ოფში ხომ შნაიდერმა თავის ფრთაზე ერთი თავით აჯობა სკრიპნიკს. ამჯერად მოვლენები ცოტა სხვაგვარად განვითარდა. 38-ე წუთზე შნაიდერმა უკრაინელი ისევ მოატყუა და პირველი გოლი გაიტანა, მაგრამ წუთიც არ გასულიყო, რომ ბრემენელმა შეცდომა გამოასწორა, მეტოქის საჯარიმოსთან შნაიდერს ბურთი მოჰპარა და აილტონს დაუგორა, ამან კი ბოდე მოძებნა და ანგარიში გათანაბრდა.

მეორე ტაიმის დასაწყისში იმავე აილტონს შეეძლო გატანა, მაგრამ მახვილი კუთხიდან უზუსტოდ დაარტყა. მერე სტუმართა „ვაკაცობის“ დროც დადგა, კირსტენმა ცარიელ კარს ააცილა, ვერ ივარგეს მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ნოივილმა და ბალაკმა. ამ მომენტების შუაში კი მასპინძლებმა მეორე შეაგდეს. უნგრელმა ლისტეშმა საჯარიმოდან ვერლაატს ჩააწოდა და ჰოლანდიელმა თავით გამარჯვებისა გაიტანა.

ბოლო ოც წუთს „ლევერკუზენი“ გაძევებული ნოვოტნის გარეშე უტევდა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა. „ლევერკუზენის“ წაფორხილებით „ბაიერნმა“ ვერ ისარგებლა. კვირას ბერლინში „ჰერტასთან“ წააგო და მეორე ადგილი დორტმუნდის „ბორუსიას“ დაუთმო, რომელმაც წინა დღეს სტუმრად „კიოლნს“ სძლია. საინტერესოა, რომ მათიას ზამერის გუნდმა წლეულს რვიდან მეშვიდე გასვლა მოიგო...

„ბაიერნი“ ზედიზედ ცხრა გამარჯვების მერე უკვე ზედიზედ მესამე ტურია ვეღარ იგებს. „ჰერტა“ კი პირიქით, უხეირო დასაწყისის შემდეგ ეშხში შევიდა და ბოლო ექვს ტურში მეხუთედ იმარჯვა.

„ბაიერის“ არ იყოს, „ბაიერნმაც“ გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ჯერ ელბერი აღმოჩნდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ფიდლერმა ბურთი კუთხურზე მოიგერია, მერე ციკლერმა მოარტყა ხარიხას.

ბერლინელები 22-ე წუთზე გამოფხიზლდნენ, როცა კაჩის ნაცვლად მოთამაშე ვესელსმა დარდაის ნაცთუ ძლიერად დარტყმული მიიგერია, მაგრამ ვესელსმა მასთან მარტოდ დარჩენილ მარსელინიოს არ გააქანება.

ანგარიში მეორე ტაიმის დასაწყისში გაიხსნა. ხორვატმა ნიკო კოვაჩმა თავი შეაგება და სტუმრები დააწინაურა, მაგრამ ბოლოსკენ ბავარიელთა დაცვამ შეცდომებს უმატა და დაისაჯა კიდეც. ნოიენდორფმა და უნგრელმა დარდაიმ ოტმარ ჰიცფელდის გუნდი შინ უქულოდ გააბრუნეს. მიუნხენელთათვის სასიხარულო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ კარგა ხნის დაშავებული მეჰმეთ შოლი დაუბრუნდათ.

ჩვენებურთა „ფრაიბურგმა“ ისევ წააგო. ამჯერად „ფრიც ვალტერ შტადიონზე“ „კაიზერსლაუტერნთან“. მასპინძლები მატჩამდე გვარიანად ნერვიულობდნენ, ბოლო ოთხ წელიწადს ხომ ლაუტერნში ოთხივეჯერ ფოლკერ ფინკეს ბიჭებს ემარჯვათ, მაგრამ წლეულს ვერაფერი მოახერხეს, მასპინძლებმა თავიდანვე იძალეს და 3:0 მოიგეს. ქართველთაგან ძირითადში ცქიტიშვილი და იაშვილი თამაშობდნენ. ბოლოსკენ იაშვილს გატანაც შეეძლო, მაგრამ დარტყმა არ გამოუვიდა.

ამ წაგების მერე „ფრაიბურგი“ ორი ადგილით დაქვეითდა და მეთორმეტეზე დადგა.

**სოლომონ გულისაშვილი**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლევერკუზენი | 15 | 11 | 3 | 1 | 38:17 | 21 | 36 | 7 | 6 | 1 | 0 | 20:7 | 13 | 19 | 8 | 5 | 2 | 1 | 18:10 | 8 | 17 |
| 2 დორტმუნდი | 15 | 11 | 1 | 3 | 26:9 | 17 | 34 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 13 | 8 | 7 | 0 | 1 | 15:4 | 11 | 21 |
| 3 ბაიერნი | 15 | 10 | 2 | 3 | 31:7 | 24 | 32 | 7 | 6 | 1 | 0 | 17:1 | 16 | 19 | 8 | 4 | 1 | 3 | 14:6 | 8 | 13 |
| 4 ლაუტერნი | 15 | 10 | 1 | 4 | 33:20 | 13 | 31 | 8 | 7 | 1 | 0 | 22:7 | 15 | 22 | 7 | 3 | 0 | 4 | 11:13 | -2 | 9 |
| 5 ვერდერი | 15 | 9 | 2 | 4 | 24:16 | 8 | 29 | 8 | 6 | 1 | 1 | 13:7 | 6 | 19 | 7 | 3 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 10 |
| 6 ჰერტა | 15 | 8 | 3 | 4 | 25:19 | 6 | 27 | 8 | 6 | 0 | 2 | 17:8 | 9 | 18 | 7 | 2 | 3 | 2 | 8:11 | -3 | 9 |
| 7 შალკე | 15 | 7 | 4 | 4 | 19:17 | 2 | 25 | 7 | 5 | 1 | 1 | 14:9 | 5 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 5:8 | -3 | 9 |
| 8 შტუტგარტი | 15 | 6 | 5 | 4 | 18:15 | 3 | 23 | 8 | 4 | 4 | 0 | 11:2 | 9 | 16 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:13 | -6 | 7 |
| 9 მიუნხენი | 15 | 6 | 2 | 7 | 20:27 | -7 | 20 | 8 | 3 | 1 | 4 | 8:18 | -10 | 10 | 7 | 3 | 1 | 3 | 12:9 | 3 | 10 |
| 10 ვოლფსბურგი | 15 | 5 | 3 | 7 | 23:21 | 2 | 18 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:6 | 6 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 11:15 | -4 | 7 |
| 11 ჰამბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:25 | -6 | 16 | 8 | 3 | 2 | 3 | 15:14 | 1 | 11 | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | -7 | 5 |
| 12 ფრაიბურგი | 15 | 4 | 4 | 7 | 19:26 | -7 | 16 | 7 | 3 | 2 | 2 | 13:10 | 3 | 11 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:16 | -10 | 5 |
| 13 გლადბახი | 15 | 3 | 6 | 6 | 17:22 | -5 | 15 | 7 | 1 | 4 | 2 | 6:7 | -1 | 7 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | -4 | 8 |
| 14 ჰანზა | 15 | 3 | 4 | 8 | 13:22 | -9 | 13 | 8 | 1 | 3 | 4 | 7:11 | -4 | 6 | 7 | 2 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 7 |
| 15 კოტბუსი | 15 | 3 | 4 | 8 | 13:26 | -13 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 8 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:15 | -9 | 5 |
| 16 კიოლნი | 15 | 3 | 2 | 10 | 11:28 | -17 | 11 | 8 | 2 | 0 | 6 | 6:15 | -9 | 6 | 7 | 1 | 2 | 4 | 5:13 | -8 | 5 |
| 17 ნიურნბერგი | 15 | 3 | 2 | 10 | 10:27 | -17 | 11 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 2:13 | -11 | 4 |
| 18 ზანკტ პაული | 15 | 1 | 4 | 10 | 16:31 | -15 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 6:10 | -4 | 4 | 8 | 0 | 3 | 5 | 10:21 | -11 | 3 |

## ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ამოროზო (დორტმუნდი) | 10 |
| პიზარო (ბაიერნი) | 8 |
| ბალაკი (ლევერკუზენი) | 8 |
| ელბერი (ბაიერნი) | 7 |
| კირსტენი (ლევერკუზენი) | 7 |

XVI ტური
9 დეკემბერი

ბაიერნი - ვოლფსბურგი
შტუტგარტი - მიუნხენი
კოტბუსი - ლაუტერნი
ფრაიბურგი - კიოლნი
დორტმუნდი - ჰამბურგი
ზანკტ პაული - ვერდერი
ლევერკუზენი - ნიურნბერგი
შალკე - ჰერტა
გლადბახი - ჰანზა

## მეორე ბუნდესლიგა

XV ტური

### ბოხუმი 1:1 ფიურტი

0:1 რუმანი (35), 1:1 ფრაერი (43)
გიორგი დეკანოსიძე განაცხადში ვერ მოხვდა

### ალენი 3:1 ზაარბრიუკენი

0:1 კოლტაი (19), 1:1 ბელა (37), 2:1 ჰუტველკერი (77), 3:1 ფაინბერი (83)

### მაინცი 4:4 დუისბურგი

1:0 ნკუფო (6პ), 1:1 ებერსი (44), 1:2 გრეულაკი (62), 1:3 მ. ცაიერი (64პ), 2:3 შვარცი (73), 3:3 ნკუფო (77), 4:3 ფრიდრიხი (88), 4:4 დრსეკი (90)

### ალემანია 2:0 კარლსრუე

1:0 ჰეერენი (45), 2:0 ჰფლიპსენი (68პ)

### ვალდჰოფი 1:0 როიტლინგენი

1:0 ლიხტი (79)

### ბაბელსბერგი 3:2 შვაინფურტი

1:0, 2:0 კამპფი (36, 71), 2:1 პოპოვიჩი (87), 3:1 გატი (90)

### უნტერჰახინგი 2:1 უნიონი

1:0 ბრაიტენრაიტერი (36), 2:0 ზაიფერტი (52), 2:1 რისტიჩი (87)

### ობერჰაუზენი 2:1 აინტრახტი

1:0 ბელიაკოვი (60), 2:0 ჩიკინიო (76), 2:1 კრიშალოვიჩი (77)

### ჰანოვერი — არმინია

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 15 | 11 | 3 | 1 | 34:15 | 36 |
| ჰანოვერი | 14 | 8 | 6 | 0 | 36:11 | 30 |
| არმინია | 14 | 8 | 2 | 4 | 25:12 | 26 |
| აინტრახტი | 15 | 7 | 5 | 3 | 23:16 | 26 |
| ბოხუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 26:21 | 24 |
| ფიურტი | 15 | 6 | 5 | 4 | 22:16 | 23 |
| ალენი | 15 | 7 | 2 | 6 | 29:35 | 23 |
| უნიონი | 15 | 6 | 4 | 5 | 31:20 | 22 |
| როიტლინგენი | 15 | 6 | 2 | 7 | 25:26 | 20 |
| უნტერჰახინგი | 15 | 6 | 2 | 7 | 17:19 | 20 |
| კარლსრუე | 15 | 6 | 2 | 7 | 20:24 | 20 |
| ალემანია | 15 | 5 | 3 | 7 | 16:28 | 18 |
| ვალდჰოფი | 15 | 4 | 5 | 6 | 17:22 | 17 |
| დუისბურგი | 15 | 3 | 6 | 6 | 21:25 | 15 |
| შვაინფურტი | 15 | 4 | 3 | 8 | 14:29 | 15 |
| ბაბელსბერგი | 15 | 4 | 2 | 9 | 19:36 | 14 |
| ობერჰაუზენი | 15 | 3 | 3 | 9 | 20:26 | 12 |
| ზაარბრიუკენი | 15 | 2 | 3 | 10 | 11:25 | 9 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-19 ტური: ბრაუნშვაიგი — ესენი 0:0; დრეზდენი — ქემნიცი 1:0; პადერბორნი — ლიუბეკი 1:2; კილი — ფერლი 1:0; აუე — ლევერკუზენი (მ.) 2:0; დიუსელდორფი — ვატენშაიდი 1:0; ვერდერი (მ.) — ოსნაბრიუკი 1:0; ფორტუნა — იურდინგენი 1:2. მიუნსტერი — მაგდებურგი გადაიდო

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-20 ტური: კიკერსი — ანსბახი 1:1; ერფურტი — ბურგჰაუზენი 2:2; ბაიერნი (მ.) — დარმშტადტი 2:4; ოფენბახი — მანჰაიმი 2:2; ჰოფენჰაიმი — ვეჰენი 1:1; ზიგენი — შტუტგარტი (მ.) 2:2; კაიზერსლაუტერნი (მ.) — ტრირი 1:3; ფულდა — ელვერსბერგი 0:1. რეგენსბურგი — აალენი დღეს გაიმართება

## ესპანეთი

### XV ტური

**მალაგა 1:0 სოსიედადი**

1:0 მიგელ ანხელი (40)
მალაგა: პედრო კონტრერასი, ლიტუში, როტეტა, ისნატა (ვალკარსე 89), მიგელ ანხელი, ხოსემი, მუსამპა (ზარატე 90), რომერო, ხერარდო, დელი ვალდესი (კანაბალი 81), დარიო სილვა
მწვრთნელი: ხოაკინ პეირო ლუკასი
სოსიედადი: ალბერტო, კვარმე (ლორენტე 76), არანსაბალი, ლუის ალბერტო, ლოპეს რეკარტე, ხაბი ალონსო, არანბურუ, ხაბილონდო (ბარკერო 70), ხოხლოვი, იდიაკესი, იანკაუსკასი (დე პაულა 61)
მწვრთნელი: ჯონ ტოშაკი
გაფრთხილება: ლოპეს რეკარტე, როტეტა, რომერო, იანკაუსკასი, იდიაკესი
გაძევება: დარიო სილვა (70)
მსაჯი: მეია დავილა
13 000 მაყურებელი

**ალავესი 2:0 ბარსელონა**

1:0 ლორენსი (22), 2:0 იბონ ბეგონია (62პ)
ალავესი: ერერა, კოლოჩინი, ტელიესი, ლორენსი, იბონ ბეგონია, ჯელი (კ. კანუ 83), პაბლო, ასტუდილიო, ტურიელი, რუბენ ნავარო (ვუჩკო 90), მაგნო (მარა 70)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პ. ანდერსონი (როჩემბაკი 46), კრისტენვალი, პუიოლი, ხავი (სავიოლა 63), კოკუ, გაბრი, ოვერმარსი (ხერარდი 46), კლუივერტი, რივალდო
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ანდერსონი, მაგნო, ტელიესი, კლუივერტი, კოკუ, პუიოლი, ხერარდი
მსაჯი: მედინა კანტალეხო
14 223 მაყურებელი

**ესპანიოლი 1:0 დეპორტივო**

1:0 ტამუდო (49)
ესპანიოლი: მორა, როტჩენი, ლობო, სოლდევილა, დავიდ გარსია, მორალესი, პალენსია, ალექს ფერნანდესი, როხერი (ველამასანი 61), მარტინ პოსე (დე ლუკასი 77), ტამუდო (აგანსო 84)
მწვრთნელი: ფრანსისკო პაკო ფლორესი
დეპორტივო: მოლინა, ნაიბეტი, სეზარი, კაპდევილა, მაურო სილვა, ფრანი (მაკაი 53), სკალონი, სერხიო (ჯალმინია 58), ვიქტორი, ვალერონი (ემერსონი 70), ტრისტანი
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ლობო, სეზარი, ტრისტანი, ტამუდო, მორალესი, ველამასანი, პალენსია
მსაჯი: პერეს ლასა
22 700 მაყურებელი

**რეალი 2:1 ოსასუნა**

1:0 მორიენტესი (12), 2:0 რაული (17), 2:1 ალოიზი (85)
რეალი: კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ი. ელგერა (სელადესი 82), მაკელელე, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი (გუტი 86)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
ოსასუნა: უნსუე, კრუჩაგა, ხოსიკო, პაბლო კონტრერასი, ისკერდო (საბინო 65), პუნიალი, ფერნანდო, განსედო, ლეკუმბერი (რივერო 46), ივან როსადო (პალასიოსი 60), ალოიზი
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
გაფრთხილება: ფერნანდო, იერო, სალგადო
მსაჯი: ლოპეს ნიეტო
48 820 მაყურებელი

**ვალენსია 1:1 მალიორკა**

0:1 ლუკე (13), 1:1 მისტა (80)
ვალენსია: კანიზარესი, პელეგრინო (აურელიო 74), აიალა, მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი, ვისენტე როდრიგესი, აიმარი, სალვა (მისტა 66), ანგულო (კილი გონსალესი 46), ხუან სანჩესი
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
მალიორკა: ლეო ფრანკო, მიგელ სოლერი, სივიერო (ოლაიზოლა 25), ნადალი, ვისენტე ფერნანდესი, კამპანო, ჩიჩი სოლერი, ნოვო (რიერა 87), პაუნოვიჩი, ეტოო, ლუკე (მარკოსი 87)
მწვრთნელი: სერჯიო კრეშიჩი
გაფრთხილება: ჩიჩი სოლერი, მიგელ სოლერი, ოლაიზოლა, ლუკე, ვისენტე ფერნანდესი
მსაჯი: მუნის ფერნანდესი
35 000 მაყურებელი

**ბილბაო 2:1 სარაგოსა**

1:0, 2:0 ურსაისი (4, 60), 2:1 იორდი (70)
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი (კარლოს გარსია 81), ოსკარ ვალესი, ლაკრუსი, ორბაისი, ოსტე (ესკერო 61), ხავი გონსალესი, ალკისა, ტიკო, ხ. ეჩებერია (ურუტია 61), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
სარაგოსა: ხუანმი, რებოსიო, აგუადო, პაკო ხემესი, ქაკერდინია, ვლიასკა, ხოსე იგნასიო (მაინოუ 46; გარიტანო 77), მარკოს ვალესი, აკუნია, ხუანელე (გალეტი 71), იორდი
მწვრთნელი: ფრანსისკო ჩიჩო როხო
გაფრთხილება: ხოსე იგნასიო, ხავი გონსალესი, მარკოს ვალესი, იორდი, ლარასაბალი, აკუნია
მსაჯი: ანსუატეგი როჩა
40 000 მაყურებელი

**ბეტისი 1:0 ტენერიფე**

1:0 ხოაკინი (56)
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ფილიპესკუ, რივასი, კანიასი, ჩაპი, იტო (გუდიონსონი 71), დენილსონი, ხოაკინი, ბენხამინი, ჟოაუ ტომასი (ამატო 36)
მწვრთნელი: ხუანდე რამოსი
ტენერიფე: სერხიო არაგონესესი, სლოვაკი (იდალგო 51), პაბლო პასი, ლუსენბოფი, ხავი ვენტა, ბასავილბასო, მარტი, ივან ანია (ბიჩი ფუერტესი 74), მარიონი, უგო მორალესი (ბერმუდო 67), ხისკო
მწვრთნელი: ხოსე პეპე მელი
გაფრთხილება: პაბლო პასი, ფილიპესკუ, ჩაპი, იტო, დენილსონი, ბასავილბასო, ბასავილბასო, გუდიონსონი, ბენხამინი, მარიონი, მარიონი, ბერმუდო
გაძევება: ბასავილბასო (65), მარიონი (82)
მსაჯი: პერეს ბურული
30 000 მაყურებელი

**სელტა 3:1 ვილარეალი**

1:0 ხესული (7), 2:0, 3:0 ედუ (50, 52), 3:1 გიარე (56)
სელტა: კავალიერო,ველასკო, კასერესი, ბერიზო, ხუანფრანი, კარპინი, ედუ (მაკარტი 78), ხესული, ლუქსენი, ვაგნერი (დორივა 70), კატანია (კოირა 89)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
ვილარეალი: ლოპეს ვალეხო, არუაბარენა, გალეანი (ხავი როჩა 88), კიკე ალვარესი, უნაი, გალკა (ამორი 49), ხავი გრასია, კანია, ხორხე ლოპესი (კრაიოვეანუ 49), გიარე, ვიქტორი
მწვრთნელი: ვიქტორ მუნიოსი
გაფრთხილება: ლუქსენი, უნაი, კოირა
მსაჯი: პინო სამორანო
20 000 მაყურებელი

**ვალიადოლიდი 3:1 რაიო ვალეკანო**

1:0, 2:0 ფერნანდო (25, 37), 2:1 ბალიჩი (45), 3:1 ჩემა (73)
ვალიადოლიდი: რიკარდო, პენია, მარკოსი, სანტამარია (ჩემა 46), ტენა, ხესუსი, რიკეტი, ფერნანდო სალესი, ფერნანდო, ტოტე (ეუსებიო 60), ბლანკო (ტურუ ფლორესი 76)
მწვრთნელი: პეპე მორე
რაიო ვალეკანო: ლოპეტეგი, კოტა, გრაფი, დე კინტანა, მაინსი, მიჩელი, კვეიდო (ალკასარი 42), ელდერი, პერაგონი (გლაუჩიო 56), ბოლიჩი, ბალიჩი (რუა 80)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
გაფრთხილება: მიჩელი, პენია, გრაფი, გრაფი, ჩემა, კოტა, რუა, მარკოსი
გაძევება: გრაფი (35)
მსაჯი: დაუდენ იბანიესი
12 000 მაყურებელი

**ლას პალმასი 1:0 სევილია**

1:0 ხოსიკო (70)
ლას პალმასი: ნაჩო გონსალესი, ოლიასი, პაკო, შურერი, ანხელი, სემედო, ხორხე, კარმელო (ხოსიკო 43), პაბლო ლაგო, ორლანდო (რუბენი 55), ტევენეტი (სვკეტიოსი 62)
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
სევილია: ნოტარიო, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი, ვიქტორ სალესი (ტომასი 57), ფრედი (ტოედტლი 76), კასკერო, გალიარდო (ლუის ხილი 85), მოიზესი, რეიესი
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
გაფრთხილება: სემედო, დავიდ კასტედო, ფრედი, რუბენი
მსაჯი: ტელიეს სანჩესი
15 951 მაყურებელი

# ბარსელონას ენფილდი შემოუბრუნდა



REUTERS ხელშეკრულებით

ბეტისი — ტენერიფე. მასპინძელთა პორტუგალიელმა ჟოაუ ტომასმა ეს და რამდენიმე სხვა ჩინებული შანსიც ვერ გამოიყენა

„ალავესი“ და „რეალ ბეტისი“ კარგი გუნდებია, მაგრამ ჩემპიონატში, სადაც „რეალი“, „ბარსელონა“, „დეპორტივო“ და „ვალენსია“ თამაშობენ, მათი ლიდერობა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია, თუმცა...

ასეთი „ბარსელონა“ კარგა ხანია (მგონი, საერთოდაც) არავის უნახავს. „ალავესმა“ ისეთსავე დღეში ჩააგდო კატალონიური გუნდი, როგორშიც თავად „ბარსამ“ „ლივერპული“ ამ ორიოდე კვირის წინ. რივალდოს ბურთი ხეირიანად არც მიუღია, ხოლო კაპიტანი ფილიპ კოკუ მხოლოდ იმიტომ იყო მინდორზე, რომ მსაჯის ყოველი გადაწყვეტილება გაეპროტესტებინა. ამასთანავე, სტუმართა შეცდომებს სათვალავი არ ჰქონდა და ბასკები სრული ბატონ-პატრონები იყვნენ მოედნისა.

მასპინძლებმა ანგარიში პენალტით გახსნეს. შევნიშნოთ, რომ „მილანი“ — „კიევის“ მატჩში დანიშნული თერთმეტმეტრიანისგან განსხვავებით, აქ წესების დარღვევა აშკარა იყო — საჯარიმოში შეჭრილი რუბენ ნავარო პატრიკ ანდერსონმა მკლავებში მოიქცია. კარლოს ლორენმა არცთუ კუთხეში და არცთუ ძლიერად დაარტყა, თუმცა რობერტო ბონანო არც განძრეულა. მეორე გოლი კუთხურის ჩაწოდებას მოჰყვა. ბარსელონელებმა ბურთი მოიგერიეს, მაგრამ იბონ ბეგონიამ საჯარიმოს გარედან დაარტყა, ხოლო ბონანომ, რომელსაც მცველები ეფარებოდნენ, გადახტომა დააგვიანა.

მარცხმა „ბარსელონა“ მერვე ადგილამდე დააქვეითა, „ალავესისთვის“ კი ეს მოგება ისტორიულია. ვიტორიული კლუბი 70 წელია არსებობს და აქამდე პრიმერადივიზიონის პირველ საფეხურზე ერთი ტურის განმავლობაშიც არ ყოფილა.

„რეალ ბეტისმა“ უარეს დღეში ჩააგდო „ტენერიფე“. მეორე წუთზევე ჟოაუ ტომასს ბრწყინვალე მომენტი ჰქონდა, მაგრამ... ბადეში თავად გაეხვია, ბურთი კი ძელს გაარტყა. ცოტა ხანში დენილსონი გაიჭრა ფლანგიდან, კარგი სლალომისტივით გასცდა ოთხ ტენერიფელს და ისევ ტომასის მისამართით ჩაჰკიდა, ტომასმა კი ისევ გააფუჭა. მოკლედ, ეს ნაღდად არ იყო ტომასის დღე. თუმც „ბეტისი“ უტომასოდაც აწიოკებდა კუნძულელებს, გოლი კი, ალბათ, რაღაც ჯადოსნობით არ გადიოდა კარში.

მოსახდენი კი მაინც მოხდა, ხოაკინმა ერთადერთი გოლი შეაგდო და სევილიური კლუბი ლიდერ „ალავესს“ ოდენ ბურთების უარესი შეფარდებით ჩამორჩება.

„დეპორტივოს“, როგორც ჩანს, კრიზისი დაუდგა. „ესპანიოლთან“ მარცხი ლაკორუნიელთათვის ბოლო ოთხ მატჩში მესამეა. თავად შეხვედრა კი დუნედ წარიმართა, ხეირიანი მომენტები ცოტა იყო და ბარსელონელმა ქომაგებმა თვლემა რაულ ტამუდოს გოლის მერელა შეწყვიტეს.

გაშვებულმა გოლმა ხავიერ ირურეტა აიძულა, თავდასხმა გაეძლიერებინა და მინდორზე როი მაკაი შეუშვა. ჰოლანდიელმა ორი მშვენიერი მომენტი კი შექმნა, მაგრამ გუნდის გადარჩენა ვერ შეძლო.

აი, როგორ უნდა მუშაობდნენ ახალი პრეზიდენტი და მწვრთნელი. ბილბაოს „ატლეტიკზე“ მოგახსენებთ. ზაფხულში კლუბის ხელმძღვანელობის შეცვლას ახალი მწვრთნელის მოსვლაც მოჰყვა და იუპ ჰაინკესმა უსახური „ატლეტიკისგან“ მებრძოლი გუნდი ჩამოაყალიბა. ბასკები ახლა მეოთხე ადგილზე არიან, რაც ამ უქმეებზე „სარაგოსას“ დამარცხებით შეძლეს.

წინა ტურში „კამპ ნოუზე“ მოგებით ფრთაშესხმულმა ბილბაოელებმა თავიდანვე შეუტიეს და მეღვარ მეათოზე წუთზევე მოიმკეს — ისმაელ ურსაისმა ანგარიში გახსნა. საერთოდ კი, სტუმრებს თავგზა ჰქონდათ არეული, რაც მასპინძელთა [illegible] მბარდირთა სიას სათავეში მოექცა.

„ვალენსიამ“, რომელსაც მოგება უჭირს, მაგრამ არც აგებს, ისევ ფრედ ითამაშა. პირველ ტაიმში „მესტალიაზე“ მასპინძლებს მალიორკელები უფრო გავდნენ, რაკი გამუდმებით უტევდნენ. ამან ვალენსიელებს საკუთარი თამაშის დალაგების საშუალება არ მისცა. კუნძულელთა ნაადრევმა გოლმაც თავისი ქნა, მასპინძლები სულ მთლად დაიბნია და მათ ტაიმი პირწმინდად დათმეს.

მეორე ტაიმში ვალენსიელებმა თამაში გამოასწორეს და თუმც „მალიორკა“ შიგადაშიგ მაინც მწარედ კბენდა, მე-80 წუთზე მიგელ მისტამ თავისიანები მარცხისგან იხსნა.

დღეს სავსებით რეალურად ჟღერს ვისენტე დელ ბოსკეს აღრინდელი განცხადება, „რეალი“ ჩემპიონობისთვის იბრძვისო. როცა მწვრთნელმა ეს სიტყვები თქვა, „სამეფო კლუბი“ მეჩვიდმეტე ადგილზე იყო, ახლა კი მეხუთეზეა.

მადრიდელებმა თხუთმეტ წუთში მოითავეს საქმე. ანგარიში რობერტო კარლოსის პასით ფერნანდო მორიენტესმა გახსნა. სამიოდ წუთში რაულმა მეორე მიითვალა, თან ისე, რომ ფეხის მოქნევაც არ დასჭირვებია — მორიენტესის დარტყმული ბურთი მოხვდა და რიკოშეტით ბადეში აღმოჩნდა.

შესვენების მერე მადრიდელებმა ტემპი დააგდეს, პამპლონელებმა კი ერთის გაქვითვა მოახერხეს, მეტის უფლება მასპინძლებმა არ მისცეს.

„მალაგა“ — „რეალ სოსიედადის“ მატჩი დაძაბული კი გამოდგა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ამის ყურებას „სვარკის“ ყურება სჯობდა. არანაირი ტექნიკა და არასტანდარტული სვლები — მეტოქეები ფიზიკური გამძლეობის ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას. გამძლეობა კი მეტი მასპინძლებს აღმოაჩნდათ.

**გიორგი დარჯანია**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ალავესი | 15 | 8 | 3 | 4 | 17:9 | 8 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 11:4 | 7 | 19 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:5 | 1 | 8 |
| 2 | ბეტისი | 15 | 8 | 3 | 4 | 18:13 | 5 | 27 | 8 | 6 | 1 | 1 | 11:3 | 8 | 19 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 |
| 3 | დეპორტივო | 15 | 8 | 2 | 5 | 28:21 | 7 | 26 | 7 | 5 | 1 | 1 | 18:7 | 11 | 16 | 8 | 3 | 1 | 4 | 10:14 | -4 | 10 |
| 4 | ბილბაო | 15 | 7 | 5 | 3 | 21:19 | 2 | 26 | 8 | 2 | 4 | 2 | 8:10 | -2 | 10 | 7 | 5 | 1 | 1 | 13:9 | 4 | 16 |
| 5 | რეალი | 15 | 7 | 4 | 4 | 27:19 | 8 | 25 | 8 | 5 | 3 | 0 | 17:7 | 10 | 18 | 7 | 2 | 1 | 4 | 10:12 | -2 | 7 |
| 6 | სელტა | 15 | 6 | 6 | 3 | 29:18 | 11 | 24 | 8 | 5 | 2 | 1 | 19:8 | 11 | 17 | 7 | 1 | 4 | 2 | 10:10 | 0 | 7 |
| 7 | ვალენსია | 15 | 5 | 9 | 1 | 15:11 | 4 | 24 | 8 | 5 | 3 | 0 | 8:2 | 6 | 18 | 7 | 0 | 6 | 1 | 7:9 | -2 | 6 |
| 8 | ბარსელონა | 15 | 6 | 5 | 4 | 22:13 | 9 | 23 | 7 | 4 | 2 | 1 | 16:5 | 11 | 14 | 8 | 2 | 3 | 3 | 6:8 | -2 | 9 |
| 9 | ვილარეალი | 15 | 6 | 3 | 6 | 16:15 | 1 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:6 | 5 | 13 | 8 | 2 | 2 | 4 | 5:9 | -4 | 8 |
| 10 | ვალიადოლიდი | 15 | 6 | 3 | 6 | 18:25 | -7 | 21 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:8 | 1 | 13 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:17 | -8 | 8 |
| 11 | სევილია | 15 | 5 | 5 | 5 | 23:18 | 5 | 20 | 7 | 3 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 12 | 8 | 2 | 2 | 4 | 11:12 | -1 | 8 |
| 12 | სარაგოსა | 15 | 6 | 2 | 7 | 15:19 | -4 | 20 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | -1 | 10 | 8 | 3 | 1 | 4 | 6:9 | -3 | 10 |
| 13 | ესპანიოლი | 15 | 6 | 2 | 7 | 19:25 | -6 | 20 | 8 | 5 | 1 | 2 | 14:9 | 5 | 16 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:16 | -11 | 4 |
| 14 | მალაგა | 15 | 5 | 4 | 6 | 17:20 | -3 | 19 | 8 | 3 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 11 | 7 | 2 | 2 | 3 | 5:7 | -2 | 8 |
| 15 | ლას პალმასი | 15 | 5 | 3 | 7 | 16:14 | 2 | 18 | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 6 | 15 | 7 | 1 | 0 | 6 | 4:8 | -4 | 3 |
| 16 | მალიორკა | 15 | 5 | 3 | 7 | 16:21 | -5 | 18 | 7 | 3 | 1 | 3 | 9:6 | 3 | 10 | 8 | 2 | 2 | 4 | 7:15 | -8 | 8 |
| 17 | ტენერიფე | 15 | 5 | 2 | 8 | 11:17 | -6 | 17 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 | 8 | 1 | 1 | 6 | 2:12 | -10 | 4 |
| 18 | ოსასუნა | 15 | 4 | 3 | 8 | 13:22 | -9 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 6:7 | -1 | 8 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:15 | -8 | 7 |
| 19 | სოსიედადი | 15 | 4 | 2 | 9 | 16:24 | -8 | 14 | 7 | 2 | 2 | 3 | 9:11 | -2 | 8 | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | -6 | 6 |
| 20 | რაიო ვალეკანო | 15 | 3 | 1 | 11 | 15:29 | -14 | 10 | 7 | 3 | 0 | 4 | 9:10 | -1 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 6:19 | -13 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ურსაისი (ბილბაო) | 8 |
| ტრისტანი (დეპორტივო) | 7 |
| კატანია (სელტა) | 7 |
| რაული (რეალი) | 7 |
| სავიოლა (ბარსელონა) | 6 |
| ტოტე (ვალიადოლიდი) | 6 |

**XVI ტური**
**9 დეკემბერი**

| | | |
|---|---|---|
| ვილარეალი | - | ესპანიოლი |
| ბარსელონა | - | სელტა |
| სარაგოსა | - | ალავესი |
| სევილია | - | ბილბაო |
| რაიო ვალეკანო | - | ლას პალმასი |
| ოსასუნა | - | ვალიადოლიდი |
| ტენერიფე | - | რეალი |
| სოსიედადი | - | ბეტისი |
| მალიორკა | - | მალაგა |
| დეპორტივო | - | ვალენსია |

## მეორე დივიზიონი

### XVII ტური

**ხერესი 2:1 პოლი ეხიდო**
1:0 კანისარესი (24), 1:1 ტრეჩაკი (54), 2:1 კუბილიო (61)

**ხაენი 1:2 ნუმანსია**
0:1 ოხედა (15პ), 0:2 როსუ (43), 1:2 პეპელუ (90პ)

**ლეგანესი 0:0 უელვა**

**ბურგოსი 0:0 ალბასეტე**

**ლევანტე 2:2 სალამანკა**
1:0 ეტიენი (49), 1:1 მაკუკულა (86), 2:1 როა (90), 2:2 მაკუკულა (90)

**ეიბარი 0:1 ბადახოსი**
0:1 ზაფრა (10)

**ესტრემადურა 1:0 ელჩე**
1:0 მანუელი (4)

**ხიმნასტიკო 1:2 ატლეტიკო**
0:1 დიეგო ალონსო (59), 0:2 ტორესი (77), 1:2 ფელიქს პრიეტო (81)

**ოვიედო 2:0 მურსია**
1:0 ხაიმე (29), 2:0 სანტამარია (67)

**რასინგი 2:0 კორდობა**
1:0 ბოდიპო (34), 2:0 რეგეირო (90)

**ფეროლი 1:2 სპორტინგი**
0:1, 0:2 ლოზანო (4, 27), 1:2 ემერი (35)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 17 | 12 | 3 | 2 | 30:12 | 39 |
| ხერესი | 17 | 11 | 1 | 5 | 21:14 | 34 |
| ოვიედო | 17 | 7 | 7 | 3 | 18:10 | 28 |
| რასინგი | 17 | 7 | 6 | 4 | 21:15 | 27 |
| ბურგოსი | 17 | 8 | 3 | 6 | 18:14 | 27 |
| უელვა | 17 | 7 | 6 | 4 | 17:14 | 27 |
| სალამანკა | 17 | 6 | 7 | 4 | 23:22 | 25 |
| ალბასეტე | 17 | 6 | 6 | 5 | 14:10 | 24 |
| ფეროლი | 17 | 7 | 3 | 7 | 23:21 | 24 |
| ბადახოსი | 17 | 7 | 3 | 7 | 14:15 | 24 |
| ელჩე | 17 | 6 | 6 | 5 | 14:17 | 24 |
| სპორტინგი | 17 | 6 | 5 | 6 | 22:21 | 23 |
| ხაენი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:20 | 22 |
| ეიბარი | 17 | 5 | 6 | 6 | 17:11 | 21 |
| ნუმანსია | 17 | 5 | 6 | 6 | 18:24 | 21 |
| კორდობა | 17 | 5 | 4 | 8 | 18:21 | 19 |
| მურსია | 17 | 4 | 7 | 6 | 15:19 | 19 |
| ლეგანესი | 17 | 4 | 7 | 6 | 10:16 | 19 |
| ესტრემადურა | 17 | 4 | 6 | 7 | 12:17 | 18 |
| ხიმნასტიკი | 17 | 3 | 6 | 8 | 16:21 | 15 |
| ლევანტე | 17 | 3 | 6 | 8 | 14:25 | 15 |
| პოლი ეხიდო | 17 | 1 | 6 | 10 | 14:26 | 9 |

## იტალია

### XIII ტური

**მილანი 3:2 კიევო**

1:0 ინძაგი (15), 1:1 მარაცინა (26), 1:2 კორადი (29), 2:2, 3:2 შევჩენკო (58პ, 65)
მილანი: აბიატი, ჰელვეგი, ლაურსენი (კოსტაკურტა 46), შამოტი, მალდინი, გატუზო, დონატი (კონტრა 59), სერჯინიო (კალაძე 46), რუი კოშტა, შევჩენკო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, დანჯელო, დანა, ს. ლანა, ერიბერტო, პეროტა, კორინი (ფ. კოსატო 69), მანფრედინი (ფრანჩესკინი 65), კორადი, მარაცინა (ბინოტო 73)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
გაფრთხილება: კორადი, ერიბერტო, კორინი
მსაჯი: ჩეზარი
60 000 მაყურებელი

**იუვენტუსი 2:0 პერუჯა**

1:0 ნედვედი (52), 2:0 ტრეზეგე (76)
იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (დავიდსი 46), ტურამი, მონტერო, პესოტო, ძამბროტა, ტუდორი, ტაკინარდი (კ. ძენონი 75), ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე (ზალაიეტა 79)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
პერუჯა: მაცანტინი, რეზაეი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ბლაზი, ტედესკო, ბაიოკო (ნალიცისი 80), გროსო (გატი 58), ვრიზასი, ბაცანი (ფუზანი 80)
მწვრთნელი: სერსე კოზმი
გაფრთხილება: ბლაზი, ტედესკო, ბლაზი, მაცანტინი
გაძევება: ბლაზი (24)
მსაჯი: გაბრიელე
25 000 მაყურებელი

**ატალანტა 2:4 ინტერი**

0:1 დი ბიაჯო (9), 1:1, 2:1 დონი (16, 22პ), 2:2, 2:3 ვიერი (60პ, 75), 2:4 კალონი (79)
ატალანტა: ტაიბი, პაგანინი (ორლანდინი 86), სალა, კარერა, ძაური, დ. ძენონი, ბერეტა, დაბო, დონი, კომანდინი, კოლომბო (ინაჩიო 70)
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, დი ბიაჯო, კორდობა, გრეშკო, კონსეისაუ (რეკობა 72), კ. ძანეტი, ფარინოსი, გულიელმინპიეტრო, ვიერი, კალონი
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
გაფრთხილება: კ. ძანეტი, ძენონი, დი ბიაჯო, კარერა, კონსეისაუ
მსაჯი: ბრასკი
25 000 მაყურებელი

**ლეჩე 1:2 ლაციო**

0:1 კრესპო (58პ), 0:2 ინძაგი (61), 1:2 ჩირილო (67)
ლეჩე: კიმენტი, ჩირილო, პოპესკუ, სავინო, ჯორჯეტი (ბალერი 46), ჯაკომაცი, სუპერბი (კონანი 65), ტონეტო, კოლონელო, ჩევანტონი, ციმეროტიჩი (ვუგრინეცი 46)
მწვრთნელი: ალბერტო კავაზინი
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, კოუტუ, სტანკოვიჩი, პოპორსკი, ლივერანი, დ. ბაჯო, ფიორე (კოლონეზე 88), კრესპო, ს. ინძაგი (კოვაჩევიჩი 76)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: ფიორე, სუპერბი, ნესტა, ინძაგი
გაძევება: ჩევანტონი (90)
მსაჯი: როზეტი
13 156 მაყურებელი

**რომა 1:0 ვენეცია**

1:0 ფუზერი (90)
რომა: ანტონიოლი, ძებინა (ფუზერი 46), ალდაირი, სიველია, პანუჩი, ემერსონი, ასუმაო (ტომაზი 70), კანდელა, ტოტი, ბატისტუტა, დელვეკიო (ა. კასანო 60)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ვენეცია: ჯ. როსი, პავანი (ვიალი 75), ბილიკა, ბიორკლუნდი, ბეტარინი, ალვერინი, დ. ანდერსონი, პაბლო გარსია, ვანუკი (ვალტოლინა 63), მაგალიანესი, დი ნაპოლი (მანიერო 56)
მწვრთნელი: ალფრედო მანი
გაფრთხილება: პაბლო გარსია
გაძევება: ალდაირი (83)
მსაჯი: ბოლონინო
54 000 მაყურებელი

**ფიორენტინა 1:3 პიაჩენცა**

0:1 პოჯი (1), 1:1 ბენინი (78), 1:2 ჰუბნერი (85), 1:3 სტატუტო (88)
ფიორენტინა: მანინგერი, ჩეკარელი (ვაკუეცისი 83), ტორიჩელი, მორეტი, მ. როსი (გონსალესი 60), დი ლივიო, კ. ამორუზო, ბენინი, ვანოლი, განცი, ნუნო გომეში
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე (კრისტანტე 65), ლამაკი, ა. ლუკარელი, მორა, გაუტიერი, სტატუტო, ვოლპი, ამბროზეტი (მიკელი 57), პოჯი, ჰუბნერი
მწვრთნელი: ვალტერ ნოველინო
გაფრთხილება: ბენინი, ამორუზო
გაძევება: მორა (70)
მსაჯი: კასარინი
18 000 მაყურებელი

**უდინეზე 3:2 პარმა**

0:1, 0:2 დი ვაიო (1, 4), 1:2, 2:2 მუცი (25, 33პ), 3:2 იორგენსენი (54)
უდინეზე: ტურჩი, გარგო, სოტილი, ბერტოტო, იორგენსენი (მარკოს პაულუ 77), ლ. ელგერა, დ. პიზარო (კაბალიერო 86), პინცი, პიერი, სოზა, მუცი (დი მიკელე 71)
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
პარმა: ფრეი, ჟუნიორ, ტორისი, ფ. კანავარო, სარტორი (მილოშევიჩი 84), აპია, ლამუში, ალმეიდა, ჟუნიორი, მბომა, დი ვაიო
მწვრთნელი: დანიელ პასარელა
გაფრთხილება: მუცი, მბომა, კანავარო
მსაჯი: დონდარინი
15 000 მაყურებელი

**ვერონა 2:0 ბრეშა**

1:0, 2:0 ფრიკი (19, 46)
ტონიმ ვერ გაიტანა პენალტი (32, მეკარე)
ვერონა: პეგოლო, მ. კანავარო, ძანკი, ტეოდორანი, ოდო, იტალიანო, ლ. კოლუჩი, სერიჩი, კამორანეზი (ჯ. კოლუჩი 89), ფრიკი (მონტანო 86), მუტუ (კასეტი 76)
მწვრთნელი: ალბერტო მალეზანი
ბრეშა: კასტელაცი, პეტრუცი (მერო 77), კალორი, ბონერა, შოპი (მასიმო ესპოზიტო 76), ა. ფილიპინი, ილანა (ტარე 46), ე. ფილიპინი, სუსი, ჯუნტი, ტონი
მწვრთნელი: კარლო მაცონე
გაფრთხილება: პეტრუცი, ბონერა, სუსი
მსაჯი: როდომონტი
16 320 მაყურებელი

**ბოლონია 1:0 ტორინო**

1:0 ოლივე (5)
ბოლონია: პალიუკა, ფალკონე, ფრეზი, მ. კასტელინი (გამბერინი 87), ნერვო (ბრიოსკი 55), ბრიგი, ოლივე, ვომე, პეკია, ძაული, კრუზი (ნეგრო 77)
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
ტორინო: ბუჩი, გალანტე, ფატორი, დელი კარი, ასტა, ვერგასოლა, სკარკელი (მასპერო 69), დე აშენტისი (მინგა 79), პ. კასტელინი (სემიოლი 86), ფერანტე, კ. ლუკარელი
მწვრთნელი: ჯანკარლო კამოლეზე
გაფრთხილება: ფრეზი, ვერგასოლა, დე აშენტისი, გამბერინი, ბრიგი, ბრიოსკი
მსაჯი: ტრენტოლონი
18 200 მაყურებელი

# ოპტიმისტებო, წინ!



REUTERS მეშვეობით

ატალანტა — ინტერი. მილანელებს ძველი კრისტიან ვიერი დაუბრუნდათ

**უქმეების ამბავზე** საუბარი შაბათით დავიწყოთ: პაველ ნედვედმა „იუვენტუსის" შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. ამით, ვინ იცის, იქნებ მის თავს დამტყდარი კრიტიკაც მინელდეს — „ლაციოში" რომ გოლები გაგქონდაო... ნედვედის ეს გოლი თავური იყო, რომელსაც ერთი ხნის შემდეგ დავიდ ტრეზეგემ მეორე მიაყოლა.

მეტოქეზე არაფერი გვითქვამს. ის გახლდათ „პერუჯა", კოლორიტული სერსე კოზმის ყოჩაღი გუნდი, რომელსაც „სტადიო დელლე ალპი" ნავსად წაუვიდა საქმე — 24-ე წუთზე მანუელე ბლაზიმ ალესანდრო დელ პიერო წაქცია, რისთვისაც მსაჯმა მეორე ყვითელი ბარათი უჩვენა და დარჩნენ კიდეც სტუმრები უმცირესობაში. მაგრამ კოზმელები რის კოზმელები იქნებოდნენ, ფარხმალი დაეყარათ. მათ ძალიან ვაჟკაცურად განაგრძეს ბრძოლა და „ბებერ ქალბატონს" ცალი ხელის თითებზე ჩამოსათვლელი მომენტებიღა თუ ჩაუვარდა ხელთ.

ამის შემხედვარე მარჩელო ლიპიმ (მოგეხსენებათ, „იუვენტუსის" მწვრთნელია) გადაწყვიტა მოედანზე აქცენტები შეეცვალა და ბირინდელის ნაცვლად ედგარ დავიდსი შეიყვანა. დავიდსმა თამაშს დაუყოვნებლივ დაატყო თავისი აგრესიული ხელი და შესვენებიდან შვიდ წუთში გაიხსნა კიდეც ანგარიში — მარჯვნიდან მასპინძლებმა კუთხური მოაწოდეს, ნედვედმა ზუსტად გამოთვალა ბურთის ტრაექტორია და ანდრეა მაცანტინის კარში შეაგდო. ამის შემდეგ თამაშის შედეგი საეჭვო ერთი წუთითაც არ გამხდარა. საფინალო სასტვენამდე 14 წუთით ადრე კრისტიან ძენონიმ, რომელმაც ალესიო ტაკინარდი შეცვალა, დავიდ ტრეზეგეს გაუწია ასისტენტობა და ფრანგმაც მიმდინარე სერია A-ში თავისი მეშვიდე, ხოლო ყველა შეჯიბრებაში ერთად მე-15 გოლი მიითვალა.

შაბათის შემდეგ კი კვირა დადგა და კვირამ ჩემპიონატს ლიდერი შეუცვალა — „ინტერმა" ბერგამოში „ატალანტას" 4:2 მოუგო, ხოლო „კიევომ" „სან სიროზე" „მილანთან" წააგო 2:3 და გუნდებმა ადგილები გაცვალეს.

ბერგამოში საინტერესო ის მოხდა, რომ ინტერელთა ოთხი გოლიდან ორი ფორმააღდგენილმა კრისტიან ვიერიმ გაიტანა.

თავიდანაც სტუმრებმა იყოჩაღეს, ანგარიში ლუიჯი დი ბიაჯომ გახსნა, მაგრამ კრისტიანო დონიმ გაქვითა. შემდეგ, რამდენიმე წუთში დონიმ პენალტით დაამატა ერთი და პირველი ტაიმიც ასე დამთავრდა. შესვენების მერე კი „ინტერმა" სამი შეაგდო. ვიერის ორ გოლს ერთი მოჰამედ კალონმა დაამატა.

ამ შეხვედრისას ტრიბუნებზე დიდი შფოთვა ატყდა, რისი ერთ-ერთი ნათელი დასტურიც გადმოგდებული მაშხალით „ატალანტას" ფრანგი ნახევარმცველის, დაბოს დაზიანება გახლდათ.

მატჩის შემდგომ „ინტერის" არგენტინელმა თავკაცმა ექტორ რაულ კუპერმა ასე ბრძანა:

„გამარჯვებისა მჯეროდა, რადგან ოპტიმისტი გახლავართ. ბედნიერი ვარ, რომ კლუბში სრული ერთსულოვნება და ამის წყალობით ლიდერი გავხდით".

„ატალანტას" პრეზიდენტმა ივან რუჯერიმ კი მსაჯის, სტეფანო ბრასკის ბოსტანში ისროლა კენჭი:

„რაც ვიხილე, აღშფოთების საბაბი გახლდათ. „ინტერს" დახმარება არ სჭირდება. იმედი მაქვს, ბრასკი ბერგამოში სამსაჯოდ აღარასდროს ჩამოვა".

როგორც მოგახსენეთ, „კიევო" მეორე ადგილზე გადავიდა, სადაც მას „რომა" მიუსკუპდა გვერდით. მისკუპებით კი მიუსკუპდა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აუტსაიდერ „ვენეციას" მხოლოდ 1:0 მოუგო და საერთოდ, რომ მოუგო, დიდად მადლობელი უნდა იყოს. მატჩის შემდეგ, რომაელთა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ თქვა:

„ბოლოს და ბოლოს, რაც კარგად მთავრდება, ყველაფერი კარგია".

„ლაციომ" ლეჩეში 2:1 გაიმარჯვა. ანგარიში პენალტით არგენტინელმა ერნან კრესპომ გახსნა, მეორე კი სიმონე ინძაგიმ შეაგდო. რომაელთა თავკაცმა, ამ თანამდებობაზე რამდენიმე დღის წინ მისულმა ალბერტო ძაკერონიმ განაცხადა:

„ამ გუნდში მუშაობით ძალიან კმაყოფილი ვარ.. ბიჭები ძალიან კარგად თამაშობენ."

„უდინეზემ" შინ კრიზისში მყოფი „პარმა" დაამარცხა. ოღონდ თავიდან აგებდა. პარმელი მარკო დი ვაიო იმ დღეს ჩინებულ ფორმაში გახლდათ და თამაში დაიწყო თუ არა, ოთხ წუთში ორი გოლი შეაგდო. მაგრამ „უდინეზეს" თავის მეგოლე ჰყავს, რობერტო მუცი, რომელმაც თავის მხრივ ორს ორით უპასუხა, მეორე ტაიმში კი დანიელმა მარტინ იორგენსენმა ჩინებული სოლო-გოლი შეაგდო და ინგლისელ მწვრთნელს, როი ჰოჯსონს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

ხოლო პიაჩენცელმა პაოლო პოჯიმ ფლორენციაში თამაშის მერვე წამზე გახსნა ანგარიში, საინტერესოა, რომ შეხვედრა ცენტრიდან „ფიორენტინამ" დაიწყო. ეს გოლი იტალიის ჩემპიონატების ისტორიაში ყველაზე სწრაფი გამოდგა.

**ბაჩუნა ძიძია**

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 21:11 | 10 | 25 | 6 | 5 | 0 | 1 | 13:6 | 7 | 15 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 |
| 2 კიევო | 12 | 7 | 2 | 3 | 24:14 | 10 | 23 | 5 | 5 | 0 | 0 | 12:2 | 10 | 15 | 7 | 2 | 2 | 3 | 12:12 | 0 | 8 |
| 3 რომა | 12 | 6 | 5 | 1 | 18:8 | 10 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 11:3 | 8 | 14 | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 2 | 9 |
| 4 მილანი | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 7 | 22 | 6 | 3 | 3 | 0 | 11:5 | 6 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 10:9 | 1 | 10 |
| 5 იუვენტუსი | 12 | 5 | 5 | 2 | 19:11 | 8 | 20 | 7 | 4 | 2 | 1 | 15:8 | 7 | 14 | 5 | 1 | 3 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 6 ლაციო | 12 | 5 | 5 | 2 | 15:7 | 8 | 20 | 6 | 3 | 3 | 0 | 9:1 | 8 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 0 | 8 |
| 7 ბოლონია | 12 | 6 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 7:5 | 2 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 2:4 | -2 | 7 |
| 8 ვერონა | 12 | 5 | 4 | 3 | 17:16 | 1 | 19 | 7 | 3 | 3 | 1 | 11:8 | 3 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | -2 | 7 |
| 9 ბრეშა | 12 | 4 | 5 | 3 | 18:20 | -2 | 17 | 6 | 2 | 4 | 0 | 13:10 | 3 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:10 | -5 | 7 |
| 10 უდინეზე | 12 | 4 | 3 | 5 | 20:21 | -1 | 15 | 7 | 1 | 2 | 4 | 10:15 | -5 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 4 | 10 |
| 11 ატალანტა | 12 | 4 | 2 | 6 | 14:22 | -8 | 14 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:12 | -6 | 7 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:10 | -2 | 7 |
| 12 ტორინო | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | -3 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 8:5 | 3 | 9 | 7 | 0 | 4 | 3 | 6:12 | -6 | 4 |
| 13 ლეჩე | 12 | 3 | 4 | 5 | 13:18 | -5 | 13 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 1 | 8 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:12 | -6 | 5 |
| 14 პიაჩენცა | 12 | 3 | 3 | 6 | 16:17 | -1 | 12 | 6 | 2 | 0 | 4 | 8:8 | 0 | 6 | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 6 |
| 15 პარმა | 12 | 2 | 5 | 5 | 13:17 | -4 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 1 | 9 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:9 | -5 | 2 |
| 16 პერუჯა | 12 | 2 | 4 | 6 | 9:16 | -7 | 10 | 6 | 2 | 3 | 1 | 6:4 | 2 | 9 | 6 | 0 | 1 | 5 | 3:12 | -9 | 1 |
| 17 ფიორენტინა | 12 | 3 | 1 | 8 | 15:26 | -11 | 10 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | -2 | 7 | 6 | 1 | 0 | 5 | 8:17 | -9 | 3 |
| 18 ვენეცია | 12 | 0 | 4 | 8 | 6:18 | -12 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 1:3 | -2 | 3 | 7 | 0 | 1 | 6 | 5:15 | -10 | 1 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| უბნერი (პიაჩენცა) | 10 |
| შევჩენკო (მილანი) | 9 |
| მუცი (უდინეზე) | 9 |
| დონი (ატალანტა) | 9 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 8 |
| კალონი (ინტერი) | 8 |

**XIV ტური**

9 დეკემბერი

ბრეშა - ინტერი
კიევო - ლეჩე
ლაციო - ფიორენტინა
მილანი - იუვენტუსი
პარმა - რომა
პერუჯა - ვენეცია
პიაჩენცა - ბოლონია
ტორინო - ატალანტა
უდინეზე - ვერონა

## სერია B

### XV ტური

**სიენა 2:2 რეჯინა**

0:1 ბოგდანი (20), 1:1 როსი (24), 1:2 სავოლდი (57), 2:2 ძამპანა (66პ)
სიენა: ჯიანელო, რაგოლცინი, მანდელი, მინანი, რადიჩე, მ. როსი, არჯილი, სკაჩალუგა, ბალძარეტი (სკალცო 59), დე ჩეზარე (პაგანო 78), ძამპანა
დავით ძოლმელაშვილი და ლევან მელქაძე განაცხადში ვერ მოხვდნენ
მწვრთნელი: ეუჯენიო გუერინი (თანაშემწე)
4 500 მაყურებელი

**ტერნანა 0:2 სალერნიტანა**

0:1 დი ვიჩინო (26), 0:2 ვინიაროლი (34პ)

**ანკონა 2:1 პისტოიეზე**

1:0 მ. ვიერი (12), 1:1 კონზონი (44), 2:1 პარენტე (68პ)

**კომო 1:0 კალიარი**

1:0 კოლაჩონე (63)

**კოზენცა 2:1 ბარი**

0:1 კოლაუტო (3), 1:1 ზანიოლო (31), 2:1 ტატი (86)

**ჯენოა 1:1 კროტონე**

0:1 ჯერალდი (79), 1:1 ბრევი (84)

**მესინა 1:1 სამპდორია**

1:0 სულო (40), 1:1 ფლაკი (89)

**მოდენა 4:2 ჩიტადელა**

1:0 პონცო (3), 2:0 პაზინო (40), 3:0 რაბიტო (43), 3:1 ჟირარდელო (59), 3:2 მაცოლენი (63), 4:2 ფაბრინი (66)

**ვიჩენცა 1:2 ემპოლი**

1:0 მარჯოტა (47), 1:1 როკი (87), 1:2 ბრეშიანო (90)

**ნაპოლი — პალერმო**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მეორე გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 24:13 | 30 |
| კომო | 14 | 9 | 2 | 3 | 19:13 | 29 |
| მოდენა | 14 | 8 | 4 | 2 | 30:11 | 28 |
| რეჯინა | 14 | 7 | 5 | 2 | 19:10 | 26 |
| კოზენცა | 14 | 7 | 2 | 5 | 22:22 | 23 |
| ჯენოა | 14 | 6 | 4 | 4 | 17:11 | 22 |
| სალერნიტანა | 14 | 6 | 3 | 5 | 18:18 | 21 |
| პალერმო | 13 | 6 | 3 | 4 | 17:17 | 21 |
| ვიჩენცა | 14 | 5 | 6 | 3 | 20:21 | 21 |
| მესინა | 14 | 4 | 6 | 4 | 14:15 | 18 |
| ანკონა | 14 | 5 | 3 | 6 | 12:15 | 18 |
| ბარი | 14 | 5 | 3 | 6 | 11:15 | 18 |
| სამპდორია | 14 | 4 | 5 | 5 | 15:15 | 17 |
| ნაპოლი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:15 | 16 |
| პისტოიეზე | 14 | 3 | 4 | 7 | 8:13 | 13 |
| კალიარი | 14 | 2 | 6 | 6 | 9:15 | 12 |
| კროტონე | 14 | 2 | 5 | 7 | 15:19 | 11 |
| ტერნანა | 14 | 1 | 8 | 5 | 12:17 | 11 |
| ჩიტადელა | 14 | 3 | 2 | 9 | 18:28 | 11 |
| სიენა | 14 | 1 | 6 | 7 | 12:21 | 9 |

## სერია C1/a

მე-14 ტური: ალბინოლეფე — ვარეზე 0:1; კარარეზე — ალძანო 1:1; ლეკო — არეცო 1:2; ლივორნო — მონცა 1:1; პადოვა — პიზა 1:0; რეჯანა — ლუმეცანე 2:1; სპალ — ჩეზენა 2:0; ტრიესტინა — სპეცია 1:3. ლუკეზე — ტრევიზო წუხელ გვიან გაიმართა

## სერია C1/b

მე-14 ტური: ასკოლი — ნოჩერინა 3:1; აველინო — ფერმანა 2:3; დი სანგრო — სორა 2:0; კროტი — კატანია 0:0; პაოლა — ვიტერბეზე 3:2; ლანჩანო — ბენევენტო 1:0; ტორესი — ლოდიჯანი 2:0; ტარანტო — პესკარა 0:1; პეზარო — ჯულიანოვა 1:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალიის ჩემპიონატი
### მეცამეტე ტურის მატჩი
### მილანი 3:2 კიევო

კახა კალაძე: 45 წუთი

# პენალტი სან სიროზე

„სან სიროზე" „მილანმა" „კიევოს" ექვსკვირიანი ლიდერობა დაასრულა — ასეთი გამოდგა „მფრინავი ვირების" სტუმრობა ისტორიულ სარბიელზე. შეგახსენებთ, რა შუაშია აქ ვირები: „კიევო" ვერონის გუნდია, რომელიც სერია A-ში პირველადაა. ვერონას მეორე გუნდიც ჰყავს, სახელად „ჰელას ვერონა" ანუ მოკლედ „ვერონა". ის უმაღლეს ლიგაში ხშირად ყოფილა (ახლაც იქაა) და მისი ტიფოზები ოდითგანვე იმეორებდნენ: ვირები ფრენას მაშინ ისწავლიან, როდესაც „კიევო" სერია A-ში ითამაშებსო. ასე კენწლავდნენ თანაქალაქელებს. დღეს კი „კიევო" არათუ სერია A-შია, არამედ, მის ლიდერთა შორისაა და მავანმა ენამწარეებმა მყისვე „მფრინავი ვირები" შეარქვეს.

და ვირები კვირას „სან სიროზე" იყვნენ. იყვნენ და დამარცხდნენ. ეს გახლდათ მათი მესამე მარცხი მიმდინარე ჩემპიონატში, ოღონდ წინა ორისგან განსხვავებით ამჯერად 2:0-ს არ იგებდნენ. საბოლოო ანგარიში კი წინა ორის მსგავსი გამოდგა — 2:3.

ანგარიში „მილანმა" გახსნა — სერჟინიომ ფილიპო ინძაგის ჩააწოდა და მან თავურით შეაგდო, მაგრამ შემდეგ სტუმრები დატრიალდნენ. ჯერ მასიმო მარაცინამ გაქვითა, შემდეგ კი ბერნანდო კორადიმ დააწინაურა ისინი.

შეხვედრამ ნირი მეორე ტაიმში იცვალა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც მსაჯმა „კიევოს" კარში მეტისმეტად საეჭვო პენალტი დანიშნა. გოლი შევჩენკომ გაიტანა, რომელმაც მოგვიანებით კიდევ ერთი შეაგდო. აქვე ისიც ვთქვათ, რომ მასპინძლებმა მატჩი უმცირესობაში ჩაამთავრეს, საქმე ისაა, რომ მეკარესთან შეჯახებისას დაშავდა ფილიპო ინძაგი, რომელმაც თამაშის გაგრძელება ვერ შეძლო, ანჩელოტის კი შეცვლების ლიმიტი ამ დროისთვის უკვე ამოეწურა.

„ამ მატჩში ბევრი მნიშვნელოვანი მომენტი იყო. რაც შეეხება პენალტს, ვფიქრობ, ის აშკარა იყო" — იხტიბარი არ გაიტეხა მილანელთა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ.

„წაგება არასდროს მიხარია, მაგრამ არც იმას ვივიწყებ, რომ ჩვენი ამოცანა ამ სეზონში, ჩემპიონობისთვის ბრძოლა არ არის" — დასძინა „კიევოს" თავკაცმა ლუიჯი დელ ნერიმ.

საქართველოს ნაკრების წევრი, კახა კალაძე, რომელიც „პერუჯასთან" სათასო შეხვედრაში მსუბუქად დაშავდა, კარლო ანჩელოტიმ მინდორზე მეორე ტაიმში შეუშვა. ქართველის 45-წუთიანი გარჯა იტალიურმა პრესამ 6,5 ქულით შეაფასა.

**ბაჩუნა ძიძია**



REUTERS მოლოდინი

მსაჯმა „მილანი" გადაარჩინა: ანდრეი შევჩენკომ მოგონილი პენალტი გაიტანა

# გული მიეც გუნდისათვის

## საფრანგეთი
### ლიგის თასი. 1/16 ფინალი

**ტრუა 0:4 პარი სენ ჟერმენი**
**მარსელი 0:0 (პენ. 4:2) მონპელიე**
**ლიონი 1:1 (პენ. 4:3) სოშო**
**ლორიანი 5:4 მეცი**
**ნანტი 3:2დ.დ. (2:2) სედანი**
**ლე მანი (II) 2:3 ბასტია**
**რენი 3:1 კრეტეი (II)**
**ლილი 0:2 ნანსი (II)**
**გენგამი 4:0 სენტ ეტიენი (II)**
**ლავალი (II) 0:3 ოსერი**
**კანი (II) 1:2 ბორდო**
**ამიენი (II) 2:0 ნიმი (II)**
**ლუან-კუიზო (III) 0:1 ლე ავრი (II)**
**სტრასბური (II) 2:0 კაენი (II)**
**შატორუ (II) 2:1 მარტიგი (II)**
**მონაკო 4:1 ლანსი**

**საფრანგეთის** ლიგის თასის გათამაშების მორიგი ეტაპი ამ უქმეებზე გაიმართა. დიდიე დეშანის „მონაკო", ეტყობა, გზადაგზა ძალას იკრებს. მონეგასკები ჩემპიონატის ლიდერ „ლანსს" შეხვდნენ და დამაჯერებლად სძლიეს. ერთ-ერთმა ყველაზე სტაბილურად მოთამაშე „ლილმა" კი შინ მოულოდნელად ქვედადივიზიონელ „ნანსთან" წააგო. მოქმედმა ჩემპიონმა და ჩემპიონთა ლიგის ბინადარმა „ნანტმა" „სედანის" წინააღმდეგობის დაძლევა დამატებით დროში მოახერხა. აღსანიშნავია რუმინელი ვიორელ მოლდოვანის დაბრუნება, რომელმაც გოლიც გაიტანა. პსჟ-მ „ტრუა" მისსავე მოედანზე დაიბრიყვა და არანაირი შანსი არ დაუტოვა, ხოლო „ოსერს", რომლის მთავარი მწვრთნელი გი რუ ჯერაც საავადმყოფოშია, სტუმრად „ლავალის" დამარცხება არ გასჭირვებია. კიდევ ერთი გუნდის, მარსელის „ოლიმპიკის" თავკაცი, ტომისლავ ივიჩი შეაწუხა გულმა და ისიც საავადმყოფოსკენ გააქანეს. მისმა გუნდმა კი „მონპელიეს" პენალტების სერიაში აჯობა.

**გაგა ხუციშვილი**

## ჰოლანდია
### I დივიზიონი. XVI ტური

**პსვ ეინდჰოვენი 3:0 ალკმაარი**

1:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (14), 2:0 ფოგელი (56), 3:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (76)

პსვ ეინდჰოვენი: ლოდევაიქსი, ბოგელუნდი, ფაბერი, ნიკიფოროვი, ჰაინცე, ლუსიუსი, ფოგელი, ბასუნჯიძე (მარკინიო 84), რომედალი, კეჟმანი (ა. რამზი 46), ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მწვრთნელი: ერიკ გერეტსი

გაფრთხილება: ლუსიუსი

მსაჯი: ლუინგე

31 000 მაყურებელი

**ტილბურგი 2:2 ბრედა**

1:0 იანსენსი (20), 2:0 ბომბარდა (63), 2:1 კრისტიანო (65), 2:2 გუდელი (75)

**უტრეხტი 3:1 ვიტესი**

1:0 გლუშკევიჩი (25), 1:1 მ. დიარა (42), 2:1 ტანგე (50), 3:1 გლუშკევიჩი (80)

**სპარტა 0:0 ნაიმეგენი**

**ჰერენვენი 1:0 ფეიენოორდი**

1:0 ლურლინგი (64პ)

**ტვენტე 1:1 სიტარდი**

1:0 ვან დერ ლაანი (2), 1:1 კრემზი (83)

**ვალვაიკი 3:0 როდა**

1:0 ფუხსი (44), 2:0 ვან ვანროოი (59), 3:0 გოვედარიცა (72)

**გრააფსხაპი 1:2 გრონინგენი**

0:1 ბუსაბუნი (14), 1:1 ვან ფოსენი (72), 1:2 ალახი (81)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 14 | 10 | 1 | 3 | 31:11 | 31 |
| აიაქსი | 14 | 9 | 2 | 3 | 31:18 | 29 |
| ჰერენვენი | 15 | 8 | 4 | 3 | 27:10 | 28 |
| ბრედა | 16 | 8 | 4 | 4 | 30:24 | 28 |
| უტრეხტი | 16 | 8 | 3 | 5 | 32:21 | 27 |
| პსვ ეინდჰოვენი | 16 | 8 | 3 | 5 | 31:23 | 27 |
| ვიტესი | 15 | 7 | 5 | 3 | 16:10 | 26 |
| ვალვაიკი | 16 | 7 | 2 | 7 | 24:19 | 23 |
| ალკმაარი | 16 | 6 | 2 | 8 | 18:21 | 20 |
| ტილბურგი | 16 | 4 | 7 | 5 | 24:26 | 19 |
| ნაიმეგენი | 16 | 5 | 4 | 7 | 13:25 | 19 |
| გრააფსხაპი | 16 | 5 | 2 | 9 | 20:30 | 17 |
| გრონინგენი | 16 | 5 | 2 | 9 | 18:29 | 17 |
| სპარტა | 16 | 4 | 5 | 7 | 17:33 | 17 |
| დენ ბოსხი | 15 | 3 | 7 | 5 | 21:23 | 16 |
| ტვენტე | 15 | 3 | 7 | 5 | 17:21 | 16 |
| როდა | 16 | 4 | 3 | 9 | 15:24 | 15 |
| სიტარდი | 14 | 2 | 3 | 9 | 13:30 | 9 |

## შვეიცარია
### ა ჯგუფი. XXI ტური

**აარაუ 2:0 იანგ ბოისი**

1:0 ტარონე (42), 2:0 გილი (87)

აარაუ: ბენიტო, სკრეპშაკი, ეგიმენი, ბეიჯი, ტარონე, ტოლე, მელუნოვიჩი (შენკერი 89), ფრიდლი, ვოიცეხოვსკი, დე ნაპოლი (გილი 71), გიგაქსი (ბალდასარი 78)

ლევან ხომერიკი სათადარიგო იყო

მწვრთნელი: როლფ ფრინგერი

გაფრთხილება: სკრეპშაკი, ეგიმენი

მსაჯი: ფილიპი

6 186 მაყურებელი

**ციურიხი 1:1 ლუცერნი**

1:0 მაგრო (28), 1:1 ურდანეტა (48)

ციურიხი: პასკოლო, კვენტინი, ჰელდმანი, ჩინაზი, პალასი, ჰელინგა, ჯამარაული, ქაველაშვილი (აკალე 9), ფ. გერერო (ნედო 89), შასო, მაგრო

მწვრთნელი: ჟორჟ ბრეგი

გაფრთხილება: ჯამარაული, ჩინაზი

მსაჯი: მესნერი

3 900 მაყურებელი

**ქსამაქსი 1:3 ლუგანო**

1:0 ატუბა (4), 1:1 ბ. სუტერი (62), 1:2 ბიაჯი (76), 1:3 ჯულიო როსი (81)

**ლოზანა 2:1 სიონი**

1:0 ლეანდრო (4), 1:1 ჯურიშიჩი (25), 2:1 შაფრია (30პ)

**სენტ გალენი 2:2 სერვეტი**

1:0 ჯაფერსონი (8), 1:1, 1:2 პიტუ (29, 51), 2:2 განე (58)

**ბაზელი 4:5 გრასჰოპერი**

1:0 მ. იაკინი (7), 1:1 დიოპი (12), 1:2 კაბანასი (16), 1:3 ნუნიესი (39), 2:3 ხიმენესი (40), 2:4 ნუნიესი (49), 2:5 კაბანასი (65), 3:5 ხიმენესი (74), 4:5 ვარელა (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 21 | 12 | 4 | 5 | 51:37 | 40 |
| სენტ გალენი | 21 | 9 | 8 | 4 | 38:31 | 35 |
| ლუგანო | 21 | 10 | 5 | 6 | 38:33 | 35 |
| გრასჰოპერი | 21 | 10 | 4 | 7 | 46:32 | 34 |
| სიონი | 21 | 10 | 3 | 8 | 40:28 | 33 |
| სერვეტი | 21 | 9 | 6 | 6 | 35:28 | 33 |
| იანგ ბოისი | 21 | 7 | 7 | 7 | 34:28 | 28 |
| აარაუ | 21 | 7 | 6 | 8 | 28:24 | 27 |
| ციურიხი | 21 | 6 | 9 | 6 | 23:27 | 27 |
| ქსამაქსი | 21 | 6 | 7 | 8 | 27:32 | 25 |
| ლოზანა | 21 | 4 | 3 | 14 | 23:48 | 15 |
| ლუცერნი | 21 | 3 | 4 | 14 | 23:58 | 13 |

## პოლონეთი
### თასის მეოთხედფინალი
### საპასუხო მატჩები

**სვიტი 1:2დ.დ. (1:0) პლოცკი (0:1)**
**ვისლა 4:1 ლძს (2:2)**
**რუხი 0:1 ლეგია (4:2)**
**გროცლინი 1:3 ამიკა (1:0)**



დანდი — რეინჯერსი. თემურ ქეცბაიამ (მარცხნივ) შოთა არველაძის თანაგუნდელი კლაუდიო კანიჯა არ გაახარა

# ქართულ-ჩინური კედელი

## შოტლანდია
### XVII ტური

**დანდი 0:0 რეინჯერსი**

დანდი: ლენგფილდი, მაკკეი, ხიზანიშვილი, ფან ფი, სმიტი, კარანსა (რობერტსონი 80), ტორესი, რაე, ქეცბაია, სარა (მილნი 77), კაბალიერო (არტერო 60)

მწვრთნელი: ივანო ბონეტი

რეინჯერსი: კლოსი, მური, კონსტერმანი, ბოლი, როსი, კ. რეინა, ბ. ფერგიუსონი, ნუმანი (ლოვენკრანდსი 68), კანიჯა (მოლსი 83), ფლო (რ. დე ბური 83), შ. არველაძე

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

11 085 მაყურებელი

**აბერდინი 1:0 სენტ ჯონსტონი**

1:0 ვინტერსი (24)

**სელტიკი 3:0 ჰიბერნიანი**

1:0, 2:0 ჰართსონი (11, 40), 3:0 ლენონი (72)

**ჰართსი 1:1 დანფერმლაინი**

0:1 ნიკოლსონი (73), 1:1 სიმონსი (90პ)

**კილმარნოკი 2:0 დანდი იუნაიტედი**

1:0 მოუდი (31), 2:0 მეი (56)

**ლივინგსტონი 3:1 მოზერუელი**

1:0 შაუსი (20), 2:0 ბაგლი (23ს.კ.), 3:0 შაუსი (40), 3:1 მაკფედენი (78)

**დიდი არაფერი** — „დენს პარკზე" შაბათის გვიანი მატჩი უგოლოდ დამთავრდა, თუმცა ჩვენთვის ის მაინც აღსანიშნავი იყო: სქოთური პრემიერლიგის ისტორიაში პირველად მოედანზე ერთდროულად სამი ქართველი თამაშობდა. შედეგი? ვისთვის როგორ.

მასპინძელი ჩვენებურები ალბათ კმაყოფილები დარჩნენ. მართალია, „რეინჯერსს" ტრადიციულად უჭირს „დანდისთან" სტუმრობა, თუმცა ვიცე-ჩემპიონთან მიღწეული ფრე მაინც საქმეა. თანაც, ხიზანიშვილმაც და ქეცბაიამაც დაკისრებულ ამოცანას თავი გაართვეს. რაც შეეხება შოთა არველაძეს, მთელი გუნდის დარად, ისიც დარწმუნდა, რომ „სელტიკი" ამ სეზონშიც ჩემპიონია.

პირველ ტაიმში უპირატესობას ივანო ბონეტის გუნდი ფლობდა, თუმცა სახიფათო მომენტები ორივე კართან თანაბარი სიხშირით იქმნებოდა. დანდელთაგან მიზანთან ახლოს კაბალიერო იყო, მაგრამ ქეცბაიას პასით ვერ ისარგებლა, გლაზგოელებს კი შოთას დარტყმის მერე არ გაუმართლათ, როცა გზად მცველს მოხვედრილმა ბურთმა გაშეშებულ ლენგფილდსაც ჩაუარა და კარსაც. მეორე ნახევარში სტუმრები შეფუცხუნდნენ, თუმცა ხიზანიშვილისა და ჩინელი ფან ფის მიერ დალაგებულ დაცვას მაინც ვერაფერი მოუხერხეს. ერთადერთი და ყველაზე რეალური შანსი შეცვლაზე შესულ მოლსს ჰქონდა ბოლოსწინა წუთზე, მაგრამ ლენგფილდმა ჰოლანდიელის თავურს ზღაპრული რეაქცია შეაგება.

ამასობაში იოლად მოიგო „სელტიკმა" და თანაქალაქელ კონკურენტთან სხვაობა 12 ქულამდე გაზარდა. უელსელი ჯონ ჰართსონისა და ჩრდილოირლანდიელი ნილ ლენონის გოლებით კათოლიკებმა „ჰიბერნიანს" სძლიეს და აწი შეუძლიათ მთელი ყურადღება უეფას თასს მიაპყრონ. „რეინჯერსი" კი, თუ გონზე დროზე ვერ მოვიდა, შესაძლოა, მეორე ადგილის დაკარგვის საფრთხის წინაშე დადგეს — დებიუტანტი „ლივინგსტონი" თავის ბლიცკრიგს წარმატებით განაგრძობს.

**გიგა ძოგახიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 16 | 15 | 1 | 0 | 37:6 | 46 |
| რეინჯერსი | 16 | 10 | 4 | 2 | 36:11 | 34 |
| ლივინგსტონი | 16 | 9 | 5 | 2 | 26:12 | 32 |
| აბერდინი | 17 | 9 | 2 | 6 | 27:24 | 29 |
| კილმარნოკი | 17 | 6 | 3 | 8 | 17:20 | 21 |
| დანდი | 17 | 5 | 5 | 7 | 16:25 | 20 |
| დანდი იუნ. | 17 | 5 | 5 | 7 | 19:31 | 20 |
| ჰიბერნიანი | 16 | 5 | 3 | 8 | 24:27 | 18 |
| ჰართსი | 17 | 5 | 3 | 9 | 20:23 | 18 |
| დანფერმლაინი | 17 | 5 | 2 | 10 | 22:33 | 17 |
| მოზერუელი | 17 | 4 | 4 | 9 | 20:33 | 16 |
| სენტ ჯონსტონი | 17 | 2 | 3 | 12 | 12:31 | 9 |

### პირველი დივიზიონი

მე-17 ტური: კლაიდი — ეარი 2:2; ფოლკირკი — არბროთი 3:2; ინვერნესი — ეირდრი 1:2; პარტიკ თისლი — როს ქაუნთი 0:0; სენტ მირენი — რეით როვერსი 1:1

# აიაქსი ძველ დამრტყმელს ჩააბარეს



REUTERS ამსტერდამიდან

რონალდ კუმანი

**რაც ამსტერდამის** „აიაქსის" მწვრთნელი კო ადრიანსე გაათავისუფლეს, კლუბის მესვეურებს შემცვლელის თაობაზე დიდხანს არ უფიქრიათ. სახელმოხვეჭილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი რონალდ კუმანი უკვე მომდევნო ტურში წარსდგება საზოგადოების წინაშე, როგორც „აიაქსის" ახალი თავკაცი.

დიდმა დრომ განვლო მას შემდეგ, რაც კუმანის სახელი, „აიაქსისა" და „ბარსელონას" რიგებში, მთელ ევროპაში ქუხდა. რონალდ კუმანისთვის სამწვრთნელო კარიერაც საკმაოდ წარმატებული გამოდგა. მან არნემის „ვიტესი" აგერ, ლიდერთა მარაქაშიც გარია.

ჰოდა, იხილეს რა ამსტერდამელებმა „აიაქსის" უკუსვლა და „ვიტესის" წინსვლა, იფიქრეს, მწვრთნელის დროული შეცვლა გვიშველისო.

კუმანის დებიუტი სიტარდის „ფორტუნასთან" შედგება, ასისტენტობას კი ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი რუდი კროლი გაუწევს. თავად კუმანი აცხადებს, რომ მას „აიაქსში" მწვრთნელად მისვლისას იგივე გრძნობა დაეუფლა, როგორიც თავის დროზე ფეხბურთელად მისვლისას. ისიც აღვნიშნოთ, რომ რონალდმა, მოთამაშის კარიერა „გრონინგენში" დაიწყო და „ფეიენოორდში" დაასრულა.

**გაგა ხუციშვილი**

# კორეა–იაპონია 2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკილა 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წილისყრა უკვე მოეწყო, ის დროა, შედეგები მიმოვიხილოთ და პირველ კომენტარებს გავეცნოთ.

შედეგებზე ორიოდე სიტყვით ეს შეგვიძლია ვთქვათ: F ჯგუფი და ყველა დანარჩენი. უფრო რომ განვავრცოთ, ის უნდა ვთქვათ, რომ მონაწილეთა ოცდათორმეტამდე გაზრდამ უინტერესო მატჩებისა და მთლიანად ჯგუფების რაოდენობაც გაზარდა. მაგალითად, რ ჯგუფი ავიღოთ: იაპონია, ბელგია, რუსეთი და ტუნისი. რომელი მათგანის თამაში მიიპყრობს გამორჩეულ ყურადღებას? არც ერთის. ან რა იქნება საინტერესო C ჯგუფის ჩინეთ — კოსტა რიკას მატჩში? არაფერი. ასეთი მატჩების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ აქ გავჩერდეთ და მზერა F ჯგუფისკენ მივაპყროთ, სადაც...



REUTERS

## რატინისთვის, ფოლკლენდისთვის... არგენტინა ინგლისს შეეჯეთა






ანასტასიას სიმღერამ და მიშელ პლატინის ხელმა ლუიშ ფელიპე სკოლარი და რუდი ფიოლერი გაამხიარულეს


REUTERS



**წილისყრის** წინ დევიდ ბექემმა თქვა, ნეტავ, არგენტინა გვერგოს, სამაგიერო უნდა გადავუხადოო. გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალში დიეგო სიმეონეს ჩაწიხვლისთვის ბექემს წითელი ბარათი უჩვენეს, ინგლისი დამარცხდა და ეს ამბავი ბექემის გაძევებას დაუკავშირეს — მაგან დაგვღუპაო.

ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ბექემს სურვილი აუსრულდა, ჩვენ კი ნაკლებსაინტერესო ჯგუფურ ეტაპზე გამორჩეული თამაშის ნახვის საშუალება მოგვეცა. აქვე დავუმატოთ, რომ არც შვედეთი და ნიგერიაა სუსტი ნაკრებები და ესეც „სიკვდილის ჯგუფი".

ისე, ინგლის — არგენტინის დაპირისპირება ოთხი წლის წინანდელი მატჩით არ იწყება, ყველაზე ცნობილი და სკანდალური კი 1986 წლისაა, რომელიც ისტორიაში მარადონას „ღვთის ხელის" სახელით შევიდა. იქამდე იყო ინგლის — არგენტინის ომი ფოლკლენდის კუნძულებისთვის, თავად ისტორია კი 1960 წელს დაიწყო, როცა ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატზე აშკარად მასპინძელთა მხარეს მყოფმა მსაჯმა არგენტინელებს დასაწყისშივე არაფრის გამო კაპიტანი რატინი გაუძევა და წააგებინა.

ეს რაც შეეხება ისტორიას, დღეს კი ინგლისური და არგენტინული გაზეთები წალეკილია წილისყრის შედეგების შეფასებებით. აი, რას წერენ არგენტინელები:

„ოლე": „მადლობა ფიფას, უკეთეს საჩუქარს ვერ მოგვიძღვნიდა".

„ელ ლიტორალი": „ჩვენ ყველაზე ძლიერი ჯგუფი გვერგო, ბრაზილიას — ყველაზე სუსტი".

„ლა კაპიტალი": „ასეთი რამ სავსებით მოსალოდნელი იყო. სხვა საქმეა, გვსურდა თუ არა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა დავამტკიცოთ, რომ ინგლისზე ძლიერები ვართ".

ასეთივე განწყობაა ინგლისურ მედიაშიც, ოღონდ, ცხადია, ისინი ინგლისელთა ძლიერების დამტკიცებაზე ლაპარაკობენ.

და სვენ გორან ერიკსონი? ის ბედმა ორმაგად არ დაინდო — არგენტინასთან ერთად მეტოქედ მშობლიური შვედეთი არგუნა. და ეს კიდევ რაა, თუ ინგლისი ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლას ვერ შეძლებს და მეორეს დასჯერდება, მერვედფინალში სავარაუდოდ საფრანგეთი ელის.

„შედეგებით აშკარად იმედგაცრუებული ვარ — თქვა ერიკსონმა — უარესი ვარიანტის წარმოდგენა უბრალოდ შეუძლებელია, თუმც იმედი მაქვს, ყველაფერი ჩვენთვის სასიკეთოდ დასრულდება. ცუდ ვარიანტზე რომ ვლაპარაკობ, მხოლოდ არგენტინას არ ვგულისხმობ, ნიგერია აფრიკის უძლიერესი გუნდია".

ნიგერია რომ მართლაც ანგარიშგასაწევი ძალაა, მისი მწვრთნელი ამოდუ შაიბუც შეგვახსენებს: „ყველანი ინგლისზე და არგენტინაზე ლაპარაკობენ. მე კი ჩვენს ჯგუფში გამოკვეთილ ფავორიტს ვერ ვხედავ. ნიგერიასაც მათნაირი შანსი აქვს შემდეგ ეტაპზე გასვლისა".

არგენტინის ნაკრების მეორე მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა, რომელმაც ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებს ზაფხულში მსოფლიოს ჩემპიონატი მოაგებინა, თქვა: „ბოლო წლებში ინგლისელებზე უკეთ ვთამაშობთ და ვფიქრობ, ეს ტრადიცია კორეა-იაპონიაშიც გაგრძელდება. თუმც მთელი ყურადღების მათთან მატჩზე მიპყრობა გამოუსწორებელი შეცდომა იქნება, რაკი ნიგერიასა და შვედეთსაც კი დიდი წინააღმდეგობის გაწევა შეუძლიათ".

თავისთავად ცხადია, რომ წილისყრის შედეგებით ყველა უკმაყოფილო ვერ იქნება. მეტიც, F ჯგუფის ფონზე დანარჩენები ისეთი სუსტები გამოჩნდნენ, ფავორიტებს საწუწუნო არაფერი დარჩათ.

იტალიას ეკვადორი, ხორვატია და მექსიკა ერგო, ჯოვანი ტრაპატონიმ კი განაცხადა: „ცხადია, კმაყოფილი ვარ. უარესი ვარიანტებიც არსებობს და ჩვენ აგვცდა. ყველაზე ძლიერ მეტოქედ ხორვატიას მივიჩნევ, თუმც არც იმდენად ძლიერად, მერვედფინალში გასვლა პრობლემად რომ გაგვიხადოს".

ხორვატებს უმთავრეს მეტოქედ მიიჩნევენ მექსიკელებიც, ოღონდ მათ სხვაგვარი გათვლა აქვთ — იტალია პირველზე გავა, მეორე ადგილისთვის კი ხორვატიის დამარცხებაა საჭირო. მექსიკელთა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ წილისყრის შედეგს ასეთი კომენტარი გაუკეთა: „გული მიგრძნობს, ჩვენს ჯგუფში რაღაც სიურპრიზი უნდა მოხდეს. გამსვლელებად იტალიას და ხორვატიას ასახელებენ, ამიტომ სიურპრიზის მომხდენებად ჩვენ ვრჩებით. ისე, არც ეკვადორია წინასწარვე მარცხისთვის განწირული".

ბედს არც გერმანელები უჩივიან, ყოველ შემთხვევაში, ბუნდესნაკრების ქომაგთაგან უკმაყოფილება ხმამაღლა არავის გამოუთქვამს. საუდის არაბეთი, ირლანდია და კამერუნი — ამბიციურ გუნდს ამათი დამარცხება კი უნდა შეეძლოს.

ფრანც ბეკენბაუერი: „დელეგაციის ყველა წევრი კმაყოფილი დავრჩით. თუმცა, ცხადია, კმაყოფილება მეტოქეთა დაუფასებლობას არ ნიშნავს. მთავარ მეტოქედ კამერუნს მივიჩნევ. ამ ჯგუფში ჩარჩენა კი ჩვენთვის საშინელი სირცხვილი იქნება".

იურგენ კლინსმანი: „თავისთავად იოლი არც ერთი ჯგუფია, მაგრამ F ჯგუფს რომ გადახედავთ და მერე ჩვენსაც, განსხვავება აშკარაა".

რუდი ფიოლერი: „ჩვენს ჯგუფს საშუალო ძალისად შევაფასებდი. ყველაზე ძლიერი მეტოქე უდავოდ კამერუნია. ირლანდიაც კარგი გუნდია, ბოლოს და ბოლოს, შესარჩევი ეტაპიდან ჰოლანდია გააგდო. საუდელებიც სერიოზულ ყურადღებას იპყრობენ, მით უმეტეს, რომ პირველი მატჩი სწორედ მათთან გვაქვს და გამარჯვებით დაწყება ძალიან მნიშვნელოვანია".

საინტერესოა, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა, გერჰარდ მაიერ ფორფელდერმა თქვა, ბუნდესნაკრებისთვის მეოთხედფინალში გასვლაც უდიდესი წარმატება იქნებაო, რაზეც ფიოლერმა ასეთი კომენტარი გააკეთა, ჯერ ჯგუფიდან გასვლა გვაცალეთო.

„ვიღაცეები ჭორებს ავრცელებენ, ესპანეთს უიოლესი ჯგუფი შეხვდაო — აღშფოთებულია ხოსე ანტონიო კამაჩო — პარაგვაი არ იყო, წინა ჩემპიონატზე ჯგუფში რომ ჩაგვტოვა? ანდა სლოვენიის თამაში გაიხსენეთ ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე. სამხრეთ აფრიკაც აშკარად აღმავლობის გზას ადგას. ამიტომ თითოეული მატჩი უშელავათო იქნება და სუსტ ჯგუფზე ლაპარაკი უადგილოა". აქ დავუმატოთ, რომ კამაჩოს ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ახლახან ორი წლით გაუხანგრძლივა კონტრაქტი. ალბათ, იმის ნიშნად, დარწმუნებულნი ვართ, კორეა-იაპონიაში გუნდს კარგად ათამაშებო.

თავში H ჯგუფი ვახსენეთ, როგორც უსუსტესის ნიმუში. ამ ჯგუფშია ბელგიის ნაკრებიც და იქაურებს წილისყრის შედეგები ისე მოსწონებიათ, უკვე მერვედფინალზე ალაპარაკდნენ: „წილისყრის შედეგებმა რობერ ვასეჟის ფარული ოცნება სააშკარაოზე გამოიტანა. ზოგიერთები ბუზღუნებენ, ჩვენ, ბელგიელები, ძლიერ მეტოქეებთან უკეთ ვთამაშობთო. მათ რა, F ჯგუფში მოხვედრა ერჩივნათ?" — ასეთია ბელგიური პრესის საერთო განწყობა, თუმც აქვე შევნიშნოთ, რომ ამ ჯგუფის მეორეადგილოსანი მერვედფინალში, ალბათ, ბრაზილიას გადაეყრება, რის გამოც პირველობას მეტი ფასი დაედება.

თავად ბრაზილიას კი არც თავის C ჯგუფში და არც შემდეგ, მერვედფინალში, რომელიმე ფავორიტთან გადაყრა არ მოუწევს, ოღონდ ეგაა, ბრაზილიის ნაკრებიც აღარაა ის, რაც ადრე იყო.

ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ბრაზილიელი ფეხბურთელი ტოსტაო აღნიშნავს, ისე თუ ვითამაშეთ, როგორც შესარჩევ ეტაპზე, ამ ერთი შეხედვით უსუსტესი ჯგუფიდან გასვლაც სათუოდ გაგვიხდებაო. 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პერეირამ კი თქვა, გუნდში უამრავი პრობლემაა, რაც სასწრაფოდ აღმოსაფხვრელიაო. არც ნაკრების ახლანდელი თავკაცი ლუიშ ფელიპე სკოლარია მთლად იმედიანად: „მხოლოდ დიდებული წარსული ჯგუფიდან ვერ გაგვიყვანს".

მოკლედ, ოცდათორმეტმა მწვრთნელმა კომენტარი უკვე გააკეთა, ჯერი საქმეზეა. საქმე კი 31 მაისს იწყება.

**გიორგი დარჯანია**

# კორეა-იაპონია 2002

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

საფრანგეთი
სენეგალი
ურუგვაი
დანია

31 მაისი. სეული. 15.30
(1) საფრანგეთი — სენეგალი

1 ივნისი ულსანი 13.00
(3) ურუგვაი — დანია

6 ივნისი პუსანი 10.30
(18) საფრანგეთი — ურუგვაი

6 ივნისი ტეგუ 15.30
(20) დანია — სენეგალი

11 ივნისი ინჩხონი 10.30
(33) დანია — საფრანგეთი

11 ივნისი სუვონი 10.30
(34) სენეგალი — ურუგვაი

## E ჯგუფი

გერმანია
საუდეთი
ირლანდია
კამერუნი

1 ივნისი ნიიგატა 10.30
(2) ირლანდია — კამერუნი

1 ივნისი საპორო 15.30
(4) გერმანია — საუდეთი

5 ივნისი იბარაკი 15.30
(17) გერმანია — ირლანდია

6 ივნისი საიტამა 13.00
(19) კამერუნი — საუდეთი

11 ივნისი შიძუკა 15.30
(35) კამერუნი — გერმანია

11 ივნისი იოკოჰამა 15.30
(36) საუდეთი — ირლანდია

## B ჯგუფი

ესპანეთი
სლოვენია
პარაგვაი
სამხ. აფრიკა

2 ივნისი პუსანი 11.30
(6) პარაგვაი — სამხრეთ აფრიკა

2 ივნისი კვანჯუ 15.30
(8) ესპანეთი — სლოვენია

7 ივნისი ჩონჯუ 13.00
(22) ესპანეთი — პარაგვაი

8 ივნისი ტეგუ 10.30
(24) სამხრეთ აფრიკა — სლოვენია

12 ივნისი ტეჯონი 15.30
(39) სამხრეთ აფრიკა — ესპანეთი

12 ივნისი სეოგვიპო 15.30
(40) სლოვენია — პარაგვაი

## F ჯგუფი

არგენტინა
ნიგერია
ინგლისი
შვედეთი

2 ივნისი საიტამა 9.30
(5) ინგლისი — შვედეთი

2 ივნისი იბარაკი 13.30
(7) არგენტინა — ნიგერია

7 ივნისი კობე 10.30
(21) შვედეთი — ნიგერია

7 ივნისი საპორო 15.30
(23) არგენტინა — ინგლისი

12 ივნისი მიაკი 10.30
(37) შვედეთი — არგენტინა

12 ივნისი ოსაკა 10.30
(38) ნიგერია — ინგლისი

## C ჯგუფი

ბრაზილია
თურქეთი
ჩინეთი
კოსტა რიკა

3 ივნისი ულსანი 13.00
(10) ბრაზილია — თურქეთი

4 ივნისი კვანჯუ 10.30
(12) ჩინეთი — კოსტა რიკა

8 ივნისი სეოგვიპო 15.30
(26) ბრაზილია — ჩინეთი

9 ივნისი ინჩხონი 13.00
(28) კოსტა რიკა — თურქეთი

13 ივნისი სუვონი 10.30
(41) კოსტა რიკა — ბრაზილია

13 ივნისი სეული 10.30
(42) თურქეთი — ჩინეთი

## G ჯგუფი

იტალია
ეკვადორი
ხორვატია
მექსიკა

3 ივნისი ნიიგატა 10.30
(9) ხორვატია — მექსიკა

3 ივნისი საპორო 15.30
(11) იტალია — ეკვადორი

8 ივლისი იბარაკი 13.00
(25) იტალია — ხორვატია

9 ივნისი მიაკი 10.30
(27) მექსიკა — ეკვადორი

13 ივნისი ოიტა 15.30
(43) მექსიკა — იტალია

13 ივნისი იოკოჰამა 15.30
(44) ეკვადორი — ხორვატია

## D ჯგუფი

კორეა
პოლონეთი
აშშ
პორტუგალია

4 ივნისი პუსანი 15.30
(14) კორეა — პოლონეთი

5 ივნისი სუვონი 13.00
(16) აშშ — პორტუგალია

10 ივნისი ტეგუ 10.30
(30) კორეა — აშშ

10 ივნისი ჩონჯუ 15.30
(32) პორტუგალია — პოლონეთი

14 ივნისი ინჩხონი 15.30
(47) პორტუგალია — კორეა

14 ივნისი ტეჯონი 15.30
(48) პოლონეთი — აშშ

## H ჯგუფი

იაპონია
ბელგია
რუსეთი
ტუნისი

4 ივნისი საიტამა 13.00
(13) იაპონია — ბელგია

5 ივნისი კობე 10.30
(15) რუსეთი — ტუნისი

9 ინისი იოკოჰამა 15.30
(29) იაპონია — რუსეთი

10 ივნისი ოიტა 13.00
(31) ტუნისი — ბელგია

14 ივნისი ოსაკა 10.30
(45) ტუნისი — იაპონია

14 ივნისი შიძუკა 10.30
(46) ბელგია — რუსეთი

## მერვედფინალი

15 ივნისი. სეოგვიპო. 10.30 (49) E1-B2
15 ივნისი. ნიიგატა. 15.30 (50) A1-F2
16 ივნისი. ოიტა. 10.30 (51) F1-A2
16 ივნისი. სუვონი. 15.30 (52) B1-E2
17 ივნისი. ჩონჯუ. 10.30 (53) G1-D2
17 ივნისი. კობე. 15.30 (54) C1-H2
18 ივნისი. მიაკი. 10.30 (55) H1-C2
18 ივნისი. ტეჯონი. 15.30 (56) D1-G2

## მეოთხედფინალი

21 ივნისი. შიძუკა. 10.30 (57) 50/1–54/1
21 ივნისი. ულსანი. 15.30 (58) 49/1–53/1
22 ივნისი. კვანჯუ. 10.30 (59) 52/1–56/1
22 ივნისი. ოსაკა. 15.30 (60) 51/1–55/1

## ნახევარფინალი

25 ივნისი. სეული. 15.30 (61) 58/1–59/1
26 ივნისი. საიტამა. 15.30 (62) 57/1–60/1

## მატჩი მე-3 ადგილისთვის

29 ივნისი. ტეგუ. 15.00 (63) 61/2–62/2

## ფინალი

30 ივნისი. იოკოჰამა. 15.00 (64) 61/1–62/1

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. II ტური. დღეს

## C ჯგუფი

### პორტუ — სპარტა

**სავარაუდო შემადგენლობები**

სანტუში, იბარა, მარიუ სილვა, ანდრადე, კარვალიუ, სოდერსტრიომი, პარედესი, დე კო სოუზა, კლეიტონი, ნუნუ კაპუშუ, პენა

ჩეხი, ფლახბარტი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო, ჰაშეკი, იაროშიკი, მიხალიკი, ჰარტიგი, კინცლი

პორტუ. „დაშ ანტაში". მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

### რეალი — პანათინაიკოსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, მაკელელე, ელგერა, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი

ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, ფისასი, ვოკოლოსი, მიკაელსენი, პაულუ სოუზა, ბასინასი, კარაგუნისი, ოლისადებე, კონსტანტინუ

მადრიდი. „სანტიაგო ბერნაბეუ". მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

## ოლისაბედე ალალი კაცია
## შავმა პოლონელმა რაული თავზე დაისვა



ლუიშ ფიგუ და რაული ბერძნებს უმკმანამანოდ (მარცხნივ) დაუხვდებიან

**არგენტინელი** ხუან ესნაიდერი დაშავებულია, პარაგვაელი ნახევარმცველი კარლოს პარედესი მომჯობინდა, ფრედერიკ სოდერსტრიომი კი დისკვალიფიცირებულ ფრანსისკო კოშტინიას შეცვლის — ჩეხურ „სპარტასთან" სალიგო მატჩის წინ „პორტუს" ბანაკში ასეთი ამბებია.

ჩეხები პორტუგალიაში სრული საბრძოლო შემადგენლობით გაემგზავრნენ, სწორედ იმით, რომელმაც ორი კვირის წინ დასანანი მარცხი იწვნია მადრიდის „რეალისგან". ამასთანავე გუნდს გამოჯანმრთელებული სლოვაკი ნახევარმცველი რასტისლავ მიხალიკიც შეემატა.

სხვა მხრივ კი რა, ორივე გუნდმა შინაურ ჩემპიონატებში ბოლო ტურის მატჩები მოიგო, ლიგაში კი ჯერჯერობით უკეთ „პორტუ" თამაშობს. შეგახსენებთ, პირველ ტურში ფრე გააზერხა ათენში, თუმც ერთიცაა, ჯერ რა დროს ქულების თვლაა.

მადრიდში „რეალს" არ ეყოლება სტივ მაკმანამანი, რომელსაც წინა კვირაში სამეფო თასზე მატჩისას, ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ოღონდ შევნიშნოთ, რომ ესპანელთათვის მისი არყოფნა სახიფათო სულაც არ არის, რაკი სხვები საუკეთესო ფორმაში არიან. საუკეთესო ფორმაში მყოფი „რეალი" კი რასაც ნიშნავს, მოგეხსენებათ.

ბერძენთა რისხვა უპირველესად ფერნანდო მორიენტესი უნდა გახდეს, ვისაც ბოლო ოთხ მატჩში შვიდი გოლი გაუტანია. „დიახ, ამ ბოლო დროს ჩემი საქმეები ძალიან კარგად მიდის, რითაც დიდად კმაყოფილი ვარ — თქვა მორიენტესმა — რაც შეეხება ამ მატჩს, ვფიქრობ, მოგება არ უნდა გაგვიჭირდეს, მით უმეტეს, რომ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ვთამაშობთ. ამით მეტოქის სისუსტეზე როდი მივანიშნებ, უბრალოდ, ჩვენ ვართ ძალიან ძლიერები. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ორი მატჩიდან ორი მოგებით ჯგუფიდან გასვლის შანსს ერთიორად გავიუმჯობესებთ და შევძლებთ, პრიმერადივიზიონს მეტი ყურადღება დავუთმოთ".

„რეალი" რომ უდავო ფავორიტია, თქმაც არ უნდა, თუმც ბოლომდე ვერც „პანათინაიკოსს" ჩამოვწერთ, რაკი ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული არავინ ჰყავს და მადრიდშიც, შესაბამისად, უძლიერესი შემადგენლობით ჩადის. ბერძნები არც უხასიათობას უჩივიან, რაკი ჩემპიონატის ბოლო ტურში „ოლიმპიაკოსთან" 0:2 აგებდნენ და ფრე გააზერხეს.

ესეც საინტერესო უნდა იყოს: აქედან რაული, ფიგუ, ზიდანი, იქედან კი ემანუელ ოლისადებე. სხვათა შორის, ნახსენებ მატჩში „ოლიმპიაკოსს" ორივე გოლი სწორედ გაპოლონელებულმა ნიგერიელმა გაუტანა.

მადრიდში მიმავალ ოლისადებეს ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თქვენც და რაულიც „ფრანს ფუტბოლის" მიერ „ოქროს ბურთზე" ხართ წარდგენილნი და რას იტყვითო. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე რვა გოლის გამტანმა უპასუხა: „წარდგენილ ორმოცდაათ ფეხბურთელს შორის 49-ე ან 50-ე თუ ვიქნები, რაული კი თავში ტრიალებს".

**გიორგი დარჯანია**

## D ჯგუფი

### არსენალი — იუვენტუსი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ტეილორი, ლორენი, კიოუნი, კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ვან ბრონკჰორსტი, პირესი, ანრი, ვილტორდი

ბუფონი, ტურამი, მონტერო, ბირინდელი, პესოტო, ძამბროტა, ტუდორი, ტაკინარდი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე

ლონდონი. „ჰაიბერი". მსაჯი: ვიტორ მანუელ მელო პერეირა (პორტუგალია)

### ლევერკუზენი — დეპორტივო

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუტი, შნაიდერი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ბალაკი, ზე რობერტო, ბაშთურქი, კირსტენი, ნოივილი

მოლინა, ექტორი, დონატო, ნაიბეტი, რომერო, მაურო სილვა, ემერსონი, ვიქტორი, ჯალმინია, ამავისკა, მაკაი

ლევერკუზენი. „ბაიერარენა". მსაჯი: კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

## ფრანგული რომანი
## ბებერ ქალბატონთან

**ჩემპიონთა ლიგის** მიმდინარე გათამაშებაში ლონდონის „არსენალი" შინ ჯერ არ დამარცხებულა, სტუმრად კი წინა ტურში შერცხვა ლა კორუნიაში და ახლა ლონდონში შეეცდება „ბებერი ქალბატონის" დაწვენას.

არსენ ვენგერის გუნდში მთავარი სიტყვა, ცხადია, ფრანგებს ეთქმით. „არსენალის" ფრანგი მენეჯერი ახალ პრობლემებს არ უჩივის. ის, რომ ინგლისის ეროვნული გუნდის მეკარე დევიდ სიმენი და ლოთბაზარა მცველი ტონი ადამსი დაშავებულნი არიან, ძველი ამბავია. მათ გარდა კვლავ ვერ არიან ჯანზე ჯეელი მცველი ლი დიქსონი და გუნდის მეორე მეკარე რიჩარდ რაიტი. ჰოდა, მეთოფეთა კარს ისევ ოცი წლის სტიუარტ ტეილორი დაიცავს. პრემიერლიგის ბოლო ტურში „იფსვიჩთან" არ უთამაშია სილვენ ვილტორდს, თუმც საქმეს ისეთი პირი უჩანს, ვენგერი დღეს მას ენდობა და თავდასხმაში თანამემამულე ტიერი ანრის შეუწყვილებს.

ტურინელები უდანაკარგოდ ჩავიდნენ ლონდონში, ედგარ დავიდსი სასტარტოში, ალბათ, არ ითამაშებს და ზედიზედ მესამედ მოუწევს სათადარიგოთა სკამის ხეხვა. „იუვენტუსის" ოთხკაციან დაცვაში მყარად მოიკიდა ფეხი ალესანდრო ბირინდელიმ და მან დღესაც უნდა დაიცვას მარჩელო ლიპის გუნდის ღირსება. ერთი სიტყვით, „იუვენტუსის" შემადგენლობაში რაიმე სიახლე თუ ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

მატჩის ინტრიგას ისიც აძლიერებს, რომ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ბომბარდირი დავიდ ტრეზეგეა, რომელსაც რვა ბურთი დაუგროვდა და საგოლედ თანამემამულეთა წინააღმდეგაც უნდა გაისარჯოს.

ტრეზეგეს რეპორტიორებთან მასლაათი არ დაზარებია და „არსენალ" — „იუვენტუსის" მატჩზე ბლომადაც ულაპარაკია. ჯერ პატრიკ ვიეირაზე თქვა, რომლის „იუვენტუსში" შესაძლო ტრანსფერზეც ბევრს ლაპარაკობენ: „ვიეირა დიდი ფეხბურთელია და აშკარაა, რომ „იუვენტუსში" თამაში მისთვისაც და ჩვენთვისაც სასიამოვნო იქნება. მე ამის თაობაზე ვესაუბრე პატრიკს, მან კი ბევრი რამ გამომკითხა ტურინის შესახებ. მე და ლილიან ტურამმა ის ტურინშიც დავპატიჟეთ, რათა თვითონ ნახოს ყველაფერი. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ ზიდანიც მაღალფარდოვნად დაელაპარაკებოდა მას მადრიდის „რეალში" გადასვლის პერსპექტივაზე. ვიეირას გადაწყვეტილებას მალე შევიტყობთ და მჯერა, რომ მის ამ გადაწყვეტილებაში დიდ როლს არსენ ვენგერიც ითამაშებს ".

დავიდ ტრეზეგემ არც ტიერი ანრიზე დაიშურა კეთილი სიტყვები, რომელიც 13 გოლით ლიდერობს პრემიერლიგის ბომბარდირთა სიას.

„ტიერიმ და მე „მონაკოდან" საფრანგეთის ნაკრებამდე ერთნაირად გავიკვლიეთ გზა. ჩვენ დიდი მეგობრები ვართ და მიხარია, რომ მან თავისი ადგილი ინგლისშიც იპოვა. ის ისეთი ტიპის ფეხბურთელია, რომელსაც სივრცე სჭირდება — ასეთებისთვის ინგლისში უფრო იოლია თამაში, ვიდრე იტალიაში — უთქვამს ტრეზეგეს და იქვე დაუყოლებია — „არსენალი" იშტაზეა და ძლიერად თამაშობს, კონტრშეტევებს უსწრაფესად ავითარებს. ჩვენ კი დადებით შედეგს უნდა მივაღწიოთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიყოთ სოლიდურები კომპრომისების გარეშე — ჩვენს შეტევით შესაძლებლობებზე უარი არ უნდა ვთქვათ".

არანაკლებ საინტერესო მატჩი იქნება ლევერკუზენში. კლაუს ტოპმიოლერის გაწვრთნილი „ბაიერი" აქამდე ერთობ სიმპათიურად გამოიყურებოდა, თუმცა ლიგის მეორე ეტაპის პირველ მატჩში 0:4 დამარცხდა ტურინში, წინა შაბათს კი პირველი მარცხი იწვნია ბუნდესლიგის მიმდინარე გათამაშებაში ბრემენის „ვერდერისგან". ლევერკუზენელებს დისკვალიფიცირებული და დაშავებული არავინ ჰყავთ და თუ დღესაც დაუცდათ ფეხი, ჯგუფიდან გასვლის შანსს ძალიან შეიმცირებენ. ერთი სიტყვით, ორი კვირის წინ შინ „არსენალის" მძლეველ „დეპორტივოს" ახლა ერთობ რთული ბრძოლა ელის.

ესპანური გუნდის დამრიგებელი ხავიერ ირურეტა გერმანელებთან მატჩისთვის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანას აპირებს. პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „დეპორტივო" „ესპანიოლთან" დამარცხდა, რაც ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. ირურეტა ლევერკუზენში, ალბათ, ბრაზილიელ პლეიმეიკერ ჯალმინიას ათამაშებს ხუან კარლოს ვალერონის ნაცვლად, თავდასხმაში კი დიეგო ტრისტანის მაგივრად ჰოლანდიელ როი მაკაის უხმობს.

**დავით თავართქილაძე**



„არსენალის" ფრანგები: ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა (შუაში) და არსენ ვენგერი

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გერმანია. II ბუნდესლიგა. XVI ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 013 | დუისბურგი-ჰანოვერი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 22.00 | 014 | უნიონი-ბოხუმი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 015 | არმინია-ობერჰაუზენი | 1.5 | 3,5 | 6,0 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდილოეთი). XX ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 022 | ოსნაბრიუკი-მიუნსტერი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 22.30 | 023 | ლევერკუზენი (მ.)-ვატენშაიდი | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). გადადებული მატჩი.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 033 | რეგენსბურგი-აალენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |

**გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXI ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.15 | 034 | დარმშტადი-კაიზერსლაუტერნი | 1.6 | 3,4 | 5,0 |

**ინგლისი. პრემიერლიგა. გადადებული მატჩები.**

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 044 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,45 | 3,6 | 6.5 |
| | 045 | ჩელსი-ჩარლტონი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.45 | 046 | ვესტ ჰემი-ასტონ ვილა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**ინგლისი. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 058 | მილუოლი-სიტი | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**ინგლისი. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 071 | კარდიფი-ბრენტფორდი | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი. XIX ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 083 | ბოვე-აიაჩო | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**იტალია. სერია „ბ". XVI ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 104 | რეჯინა-სალერნიტანა | 1,75 | 2,8 | 5,0 |

**პორტუგალია. I ლიგა. XIV ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01.00 | 153 | ფარენსე-ბელენენსეში | 2,4 | 3,0 | 2,7 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩი.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 174 | აიაქსი-სიტარდი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| | 175 | აიაქსი-სიტარდი 0:1 | 1,4 | 3,6 | 4,0 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. XVII ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 176 | სიტარდი-დენ ბოსხი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 177 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 178 | ვიტესი-გრააფსხაპი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |

**ჰოლანდია. II დივიზიონი. XVII ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 187 | ოსი-ტელსტარი | 2,8 | 3,3 | 2,0 |
| 23.00 | 188 | დენ ჰააგი-ვენლო | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 189 | დენ ჰააგი-ვენლო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 190 | კამბური-დორდრეხტი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 191 | ზვოლე-ეინდჰოვენი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 192 | ზვოლე-ეინდჰოვენი 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 193 | ჰაარლემი-იგლსი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 23.00 | 194 | ჰელმონდი-ექსელსიორი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 23.00 | 195 | რომბენდალი-ვოლენდამი | 1,5 | 3,5 | 6,0 |

**თურქეთი. XV ტური**

7 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 230 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 231 | ბეშიქთაში-გენჩლერბირლიგი 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,8 |

**ჩემპიონთა ლიგა. II ტური**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 401 | პორტუ-სპარტა | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.45 | 402 | არსენალი-იუვენტუსი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.45 | 403 | რეალი-პანათინაიკოსი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 404 | ლევერკუზენი-დეპორტივო | 2,4 | 2,9 | 2,8 |

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 405 | მანჩესტერი-ბოავიშტა | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 23.45 | 406 | ბარსელონა-გალათასარაი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 407 | ნანტი-ბაიერნი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 23.45 | 408 | რომა-ლივერპული | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**უეფას თასი. III ეტაპი. II წრე.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 409 | დორტმუნდი-კოპენჰაგენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 21.00 | 410 | როდა-ბორდო | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 21.00 | 411 | ლოკომოტივი-პაპოელი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 412 | ლილი-ფიორენტინა | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.30 | 413 | ბრიონდბიუ-პარმა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 414 | ჰერტა-სერვეტი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 415 | ლიტექსი-აეკი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 22.30 | 416 | ლიონი-ბრიუგე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 417 | პსვ-პაოკ | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 23.30 | 418 | ფრაიბურგი-ფეიენოორდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 23.30 | 419 | სელტიკი-ვალენსია | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.45 | 420 | მალიორკა-ლიბერეცი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 24.00 | 421 | ლიდსი-გრასჰოპერი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 24.00 | 422 | ინტერი-იფსვიჩი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 24.00 | 423 | სპორტინგი-მილანი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 24.00 | 424 | პსჟ-რეინჯერსი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**კალათბურთი.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 501 | კლივლენდი-დეტროიტი | 1,9 | 12,0 | 1,55 |
| 04.00 | 502 | ინდიანა-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 503 | მინესოტა-სიეტლი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 05.00 | 504 | მილუოკი-ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 505 | საკრამენტო-ფილადელფია | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 506 | ჩიკაგო-ჰიუსტონი | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 05.30 | 507 | სან ანტონიო-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 06.00 | 508 | იუტა-შარლოტი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 07.30 | 509 | კლიპერსი-მაიამი | 1,25 | 12,0 | 2,8 |

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 510 | ბოსტონი-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 511 | ატლანტა-სან ანტონიო | 2,1 | 12,0 | 1,45 |
| 04.30 | 512 | დეტროიტი-სიეტლი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 04.30 | 513 | ორლანდო-ჩიკაგო | 1,05 | 12,0 | 5,0 |
| 05.00 | 514 | ნიუ ჯერსი-ფინიქსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 07.30 | 515 | გოლდენ სტეიტი-ფილადელფია | 1,8 | 12,0 | 1,5 |
| 07.30 | 516 | ლეიკერსი-დალასი | 1,25 | 12,0 | 3,1 |

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 517 | მემფისი-მინესოტა | 2,3 | 12,0 | 1.35 |
| 05.30 | 518 | ჰიუსტონი-ვაშინგტონი | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 06.00 | 519 | მილუოკი-ტორონტო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 07.00 | 520 | პორტლენდი-შარლოტი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

**კალათბურთი. ევროლიგა. VII ტური**

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 547 | აეკ-ციბონა | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| 21.00 | 548 | შლიონსკი-უნიკახა | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.00 | 549 | ოლიმპიაკოსი-ბენეტონი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 23.00 | 550 | ალბა-შარლერუა | 1,1 | 12,0 | 4,0 |
| 23.30 | 551 | ბარსელონა-ოლიმპია | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 23.30 | 552 | ვილერბანი-პარტიზანი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 553 | ტაუ-ურალი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 23.30 | 554 | სკავოლინი-ოსტენდე | 1,05 | 12,0 | 6,0 |

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.15 | 555 | კრკა-პო ორტეზი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 21.30 | 556 | ეფესი-მაკაბი ტელ ავივი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 557 | პრისტერი-ულქერი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 22.30 | 558 | ლიონდონი-ჟალგირისი | 2,0 | 12,0 | 1,5 |
| 23.30 | 559 | სკაილაინერსი-კინდერი | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 23.30 | 560 | ზადარი-ბუდუჩნოსტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 23.30 | 561 | რეალი-პანათინაიკოსი | 1,6 | 12,0 | 1,8 |
| 23.30 | 562 | სკიპერი-ცსკა | 1,4 | 12,0 | 2,3 |

**ჰოკეი.**

4 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 563 | კაროლინა-ბუფალო | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.00 | 564 | აილენდერსი-ფილადელფია | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 565 | ტორონტო-პიტსბურგი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 04.30 | 566 | ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 04.30 | 567 | ატლანტა-ბოსტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 05.00 | 568 | ვაშინგტონი-რეინჯერსი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 07.30 | 569 | სან ხოსე-კალგარი | 1,9 | 4,0 | 2,1 |

5 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 570 | მონრეალი-ნიუ ჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 571 | ფლორიდა-კოლუმბუსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 05.00 | 572 | დეტროიტი-კოლორადო | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 05.30 | 573 | ჩიკაგო-მინესოტა | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 05.30 | 574 | დალასი-ოტავა | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 575 | ედმონტონი-ანაჰაიმი | 1,5 | 4,0 | 3,0 |
| 06.00 | 576 | ფინიქსი-სტ. ლუისი | 1,9 | 4,0 | 2,1 |

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 577 | რეინჯერსი-ტორონტო | 1,8 | 4,0 | 2,2 |
| 04.30 | 578 | ფილადელფია-აილენდერსი | 1,9 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 579 | ბოსტონი-პიტსბურგი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 580 | ატლანტა-ვაშინგტონი | 2,0 | 4,0 | 2,0 |
| 04.30 | 581 | ტამპა ბეი-კოლუმბუსი | 1,7 | 4,0 | 2,4 |
| 05.00 | 582 | ნეშვილი-ოტავა | 2,1 | 4,0 | 1,9 |
| 06.00 | 583 | კალგარი-სან ხოსე | 1,65 | 4,0 | 2,5 |
| 07.00 | 584 | ვანკუვერი-ანაჰაიმი | 1,6 | 4,0 | 2,7 |
| 07.30 | 585 | ლოს ანჯელესი-სტ. ლუისი | 2,0 | 4,0 | 2,0 |

# თასის აღება

| 902 ჩემპიონთა თასი | | | |
|---|---|---|---|
| რეალი | 3,5 | ინტერი | 3,5 |
| მანჩესტერი | 3,5 | ლიდსი | 3,5 |
| იუვენტუსი | 4,0 | ვალენსია | 4.0 |
| რომა | 5,0 | პარმა | 6,0 |
| ლივერპული | 5,0 | დორტმუნდი | 8,0 |
| ბაიერნი | 5,0 | ჰერტა | 12,0 |
| ბარსელონა | 5,0 | მალიორკა | 15,0 |
| არსენალი | 7,0 | ფიორენტინა | 20,0 |
| დეპორტივო | 7,0 | პსჟ | 20,0 |
| ლევერკუზენი | 15,0 | ბორდო | 20,0 |
| გალათასარაი | 30,0 | რეინჯერსი | 20,0 |
| ნანტი | 30,0 | ფრაიბურგი | 20,0 |
| ბოავიშტა | 30,0 | იფსვიჩი | 20,0 |
| პორტუ | 30,0 | პსვ | 20,0 |
| პანათინაიკოსი | 30,0 | სელტიკი | 20,0 |
| სპარტა | 30,0 | ლიონი | 20,0 |
| **901 უეფას თასი** | | ლილი | 20,0 |
| მილანი | 3,5 | ფეიენოორდი | 20,0 |
| | | სპორტინგი | 30,0 |
| | | ბრიუგე | 30,0 |

**მერკონორტეს თასი. ნახევარფინალი. II წრე.**

6 დეკემბერი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.00 | 425 | ემელეკი (ეკვადორი)-ლაგუნა (მექსიკა) | 2,1 | 3,2 | 3,1 |

**უეფას თასი. შემდეგ ეტაპზე გასვლა.**

4 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | დორტმუნდი-კოპენჰაგენი | 1,01-10,0 |
| 21.00 | 802 | როდა-ბორდო | 4,0-1,15 |
| 21.00 | 803 | ლოკომოტივი-პაპოელი | 1,35-2,5 |

6 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.30 | 804 | ლილი-ფიორენტინა | 1,1-4,0 |
| 20.30 | 805 | ბრიონდბიუ-პარმა | 1,7-1,7 |
| 21.00 | 806 | ჰერტა-სერვეტი | 1,1-4,0 |
| 21.00 | 807 | ლიტექსი-აეკი | 2,5-1,35 |
| 22.30 | 808 | ლიონი-ბრიუგე | 4,0-1,1 |
| 23.00 | 809 | პსვ-პაოკ | 1,4-2,3 |
| 23.30 | 810 | ფრაიბურგი-ფეიენოორდი | 2,1-1,45 |
| 23.30 | 811 | სელტიკი-ვალენსია | 2,8-1,25 |
| 23.45 | 812 | მალიორკა-ლიბერეცი | 1,75-1,65 |
| 24.00 | 813 | ლიდსი-გრასჰოპერი | 1,01-10,0 |
| 24.00 | 814 | ინტერი-იფსვიჩი | 1,45-2,0 |
| 24.00 | 815 | სპორტინგი-მილანი | 6,5-1,05 |
| 24.00 | 816 | პსჟ-რეინჯერსი | 1,5-2,0 |

| | | I ტაიმი/მირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 701 | პორტუ-სპარტა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,7 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 23.45 | 702 | არსენალი-იუვენტუსი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 23.45 | 703 | რეალი-პანათინაიკოსი | 1,5 | 15,0 | 30,0 | 2,8 | 5,6 | 15,0 | 30,0 | 15,0 | 15,0 |
| 23.45 | 704 | ლევერკ.-დეპორტივო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 21.00 | 705 | დორტმუნდი-კოპენჰაგენი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 2,9 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 12,0 |
| 21.00 | 706 | როდა-ბორდო | 4,2 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 21.00 | 707 | ლოკომოტივი-პაპოელი | 1,9 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 4,7 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| | | 5 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 23.45 | 708 | მანჩესტერი-ბოავიშტა | 1,7 | 12,0 | 25,0 | 2,9 | 5,0 | 12,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 709 | ბარსელონა-გალათას. | 1,6 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,3 | 14,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 23.45 | 710 | ნანტი-ბაიერნი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,7 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 23.45 | 711 | რომა-ლივერპული | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| | | 6 დეკემბერი | | | | | | | | | |
| 20.30 | 712 | ლილი-ფიორენტინა | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,0 |
| 20.30 | 713 | ბრიონდბიუ-პარმა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 4,7 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 21.00 | 714 | ჰერტა-სერვეტი | 1,6 | 12,0 | 25,0 | 2,8 | 5,0 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 12,0 |
| 21.00 | 715 | ლიტექსი-აეკი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,7 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 22.30 | 716 | ლიონი-ბრიუგე | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,2 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 23.00 | 717 | პსვ-პაოკ | 1,9 | 10,0 | 20,0 | 3,0 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 23.30 | 718 | ფრაიბურგი-ფეიენოორდი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,7 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,0 |
| 23.30 | 719 | სელტიკი-ვალენსია | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 23.45 | 720 | მალიორკა-ლიბერეცი | 1,7 | 10,0 | 20,0 | 2,9 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 11,0 |
| 24.00 | 721 | ლიდსი-გრასჰოპერი | 1,5 | 12,0 | 25,0 | 2,7 | 5,3 | 15,0 | 25,0 | 12,0 | 14,0 |
| 24.00 | 722 | ინტერი-იფსვიჩი | 1,7 | 10,0 | 20,0 | 2,9 | 4,7 | 12,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 24.00 | 723 | სპორტინგი-მილანი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,7 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 24.00 | 724 | პსჟ-რეინჯერსი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |

გაიხსნა «კროკოს» ახალი ბიურო
ბოლნისი სულხან საბას გამზირი №104

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# უჭირისუფლო გასვენება



მაიამი — ვაშინგტონი. ამ მატჩში ჩვენთვის ღირსშესანიშნავი ის იყო, რომ ქართველი ვლადიმერ სტეფანია მაიკლ ჯორდანს ეთამაშა

30 ნოემბერი

**მაიამი 75:84 ვაშინგტონი**

მაიამი: კარტერი (11), ჯონსი (13), ელისი (24), ალენი (2), მურნინგი (4); გეტლინგი (9), სტრიკლენდი (7), ბოუსი (5), სტეფანია (10 წუთი, 4 მოხსნა)

ვაშინგტონი: ვიტნი (14), ჰამილტონი (19), ჯორდანი (22), ლეიტნერი (9), ვაიტი (2); დევისი (8), ჰეივუდი (4), ლუ (4), ბრაუნი (2), ჯონსი

პარასკევ საღამოს „მაიამი ჰითის“ შინაურ სარბიელ „ემერიკან ეალაინზ არენას“ ტრიბუნებზე ოცი ათასზე მეტმა კაცმა მოიყარა თავი. არადა, „მაიამი“ ქომაგთა თვალში ლამის არარაობად ქცეულა და ამხელა აუდიტორიის შეყრა გასაკვირი გახლდათ.

თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. უბრალოდ, მოგებადავიწყებული „მაიამი“ მაიკლ ჯორდანის „ვაშინგტონს“ მასპინძლობდა და მარად მზიური ქალაქის მცხოვრებთა ინტერესიც ბებერმა ლეგენდამ გააცხოველა. აქვე ისიც ვთქვათ, რომ თუკი ვინმე ახლა მოინდომებს 38 წლის მაიკლის ცოცხლად ხილვას, სურვილის დაკმაყოფილება გა[illegible]ანად გაუჭირდება, რადგან „ვაშინგტონის“ თამაშებზე დასასწრები ბილეთები ნბა-ს ყველა გუნდის დარბაზმა კარგა ხანია, დიდი სარფით გაასაღა.

ჯორდანს არ გაუწბილებია მაიამელები. მოედანზე შესულმა მოწინააღმდეგეთ თვალებში შეხედა და უსიტყვოდ ჰკითხა, მზად ხართ თუ არაო, მერე კი თამაშიც დაიწყო. ჯორდანმა პირველი ბურთი ორი მაიამელის გარემოცვაში ჩააგდო, შემდეგ კიდევ და კიდევ, პირველ მეოთხედში 12 ქულა მოიხვეჭა და „ვაშინგტონს“ ეს მონაკვეთი 24:21 მოაგებინა.

მეორე-მესამე მეოთხედებში დიადი კალათბურთელი უფრო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებით ერთობოდა: ამზადებდა შეტევებს, მუშაობდა ფარზე და დაცვაში და მხოლოდ ორი ქულა გააკეთა. უსუსურმა მასპინძლებმა დიადი მოწინააღმდეგის ერთგვარი უმოქმედობა შეძლებისდაგვარად გამოიყენეს, მესამე მეოთხედის შუაწელში 56:43 დაწინაურდნენ, მაგრამ შემდეგ ტრადიციულად გამოეთიშნენ თამაშს და „ვაშინგტონმა“ ბოლო მეოთხედის დაწყებამდე სრულიად აღმოფხვრა დეფიციტი. ისედაც არეული მაიამური მონასტერი ჯორდანმა ბოლო მეოთხედში კიდევ უფრო არია — თამაშიდან ოთხი ბურთი ჩააგდო, რაც ერთით მეტია სრულიად მაიამურ მონაგარზე. „ჰითმა“ დასკვნით 12 წუთში 9 ქულა (!) ჩაუგდო მთლიანობაში არცთუ ძლიერ მეტოქეს და ზედიზედ მეთერთმეტე მარცხნაჭამმა მასპინძელმა ვაიკალათბურთელებმა თავჩახრილებმა საკუთარი თავმოყვარეობა წაასვენეს მოედნიდან გასახდელში, იქიდან კი სახლებს მიაშურეს, რომლებიც კალათში ბურთის ჩაგდებით ნაშოვნი მილიონებით აქვთ შეძენილი.

მაყურებელმა კი კმაყოფილმა დატოვა დარბაზი. „ჰითის“ მარცხს ქომაგი, ცხადია, ელოდა, უწინ საყვარელი გუნდისგან ბოლო ხანებში სხვაც არაფერი ახსოვს. მაიამელებს ის უხაროდათ, რომ კიდევ ერთხელ იხილეს ნამდვილი კალათბურთელი.

„მაიკლმა მშვენივრად ითამაშა, რამდენიმე კარგი ბურთი ჩააგდო. დარწმუნებული ვარ, პატი შეიძულებს მას“ — თქვა მატჩის შემდეგ სტუმართა დამრიგებელმა დუგ კოლინზმა.

ძნელი სათქმელია, შეიძულებს თუ არა „მაიამის“ მწვრთნელი პატ რაილი მაიკლ ჯორდანს, მაგრამ უეჭველია, ამ კომმარს ის სიცოცხლის ბოლომდე ვერ დაივიწყებს. პატ რაილის, ყველა დროის ერთ-ერთ ყველაზე გამოჩენილ მწვრთნელს, არასოდეს წაუგია ზედიზედ 11 მატჩი. ეს დიდ ლაქად დააჩნდება მის ბრწყინვალე კარიერას.

ნამატჩევს რაილი სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა. ჟურნალისტებს უთხრა, რომ ეს კრიზისი ტრავმების ბრალია, ხოლო მარცხის გამომწვევი მიზეზი ცუდად შესრულებული სროლებია. „ჩვენ, უბრალოდ, არ წაგვივიდა სროლა“ — თქვა მან. სხვათა შორის, „მაიამის“ ბოლო სამი კვირაა, სროლა არ მისდის. ახლაც იგივე განმეორდა. ბეჩავი „ჰითის“ იმედის მთავარმა წყარომ, ალონზო მურნინგმა შეხვედრა სულ 4 ქულით დაასრულა. პატ რაილიმ ჟურნალისტთა აგრესიული შემოტევისგან დაიცვა იგი — „ალონზოს მუდმივად ორი კაცი მეურვეობდა“. კოლეგას არ ეთანხმება დუგ კოლინზი: „კრისტიან ლეიტნერი დღეს საზიზღრად თამაშობდა და ალონზოს ვერ იჭერდა. შეშფოთებული ველოდი იმ მომენტს, როცა მურნინგი აფეთქდებოდა“.

რაილი ცდილობს, არ დაკარგოს იმედი და გამოსავალს ეძებს. ვინ იცის, იქნებ მიაგნო კიდეც. ამ უქმეებზე „ჰითმა“ 198-სანტიმეტრიანი მსროლელი, მანამდე უგუნდოდ მყოფი ჯიმ ჯეკსონი დაიმატა. ჯეკსონი კარგ შემტევად ითვლება, ნბა-ში თამაშის ათი წლის მანძილზე საშუალოდ მატჩში 16.8 ქულა მოუხვეჭია და რაილი იმედოვნებს, რომ ახალწვეული საშუალოდ ყოველ მატჩში თხუთმეტიოდ ქულას შეაშველებს მაიამელებს.

30 ნოემბერი

**მემფისი 102:85 ჰიუსტონი**

მემფისი: ჯ. ვილიამსი (38 ქულა, 11 პასი), ბეტიე (18), გასოლი (17)

ჰიუსტონი: ვ. ვილიამსი (15)

**შარლოტი 105:110 დეტროიტი**

შარლოტი: დევისი (23 ქულა, 14 პასი), კემბელი (17), ნეილონი (17)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (31), ეტკინსი (24), ვილიამსონი (19)

**სიეტლი 92:107 ლეიკერსი**

სიეტლი: პეიტონი (21), ლუისი (19)

ლეიკერსი: ბრაიანტი (30)

**პორტლენდი 101:95 მილუოკი**

პორტლენდი: დევისი (25 ქულა, 16 მოხსნა), ვოლესი (24 ქულა, 12 მოხსნა), სტუდემაიერი (18)

მილუოკი: ალენი (25), კასელი (23), რობინსონი (23)

**სან ანტონიო 106:109 საკრამენტო**

(ძირითადი დრო 97:97)

სან ანტონიო: დანკანი (38 ქულა, 11 მოხსნა)

საკრამენტო: თურქოღლუ (24), ბიბი (22), ფანდერბურკი (16)

**დენვერი 96:93 კლიპერსი**

დენვერი: ლაფრენცი (26 ქულა, 15 მოხსნა), ვან ექსელი (18)

კლიპერსი: რიჩარდსონი (26), ბრენდი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**ფინიქსი 98:76 იუტა**

ფინიქსი: როჯერსი (23), ჰარდევეი (17), მარიონი (16)

იუტა: მელოუნი (15)

1 დეკემბერი

**ჰიუსტონი 75:85 სან ანტონიო**

ჰიუსტონი: ტომასი (21), ტეილორი (21)

სან ანტონიო: დანკანი (25 ქულა, 12 მოხსნა)

**ნიუ იორკი 97:100 დეტროიტი**

ნიუ იორკი: სპრიუელი (26), ჰიუსტონი (22)

დეტროიტი: სტეკჰაუზი (25), რობინსონი (21), ეტკინსი (20), რებრაჩა (17)

**კლივლენდი 93:81 შარლოტი**

კლივლენდი: მილერი (19 ქულა, 10 პასი), პერსონი (19), მიურეი (18)

შარლოტი: ნეილონი (20), კემბელი (18), ვესლი (18)

**ვაშინგტონი 87:96 ორლანდო**

ვაშინგტონი: ჰამილტონი (21), ჰეივუდი (18), ჯორდანი (15)

ორლანდო: მაკგრეიდი (26), იუინგი (18 ქულა, 12 მოხსნა), არმსტრონგი (17 ქულა, 12 პასი, 8 მოხსნა)

**ატლანტა 103:104 ტორონტო**

ატლანტა: გლოვერი (25), აბდურ-რაჰიმი (22), კუკოჩი (16)

ტორონტო: კარტერი (19 ქულა, 10 მოხსნა, 8 პასი), ოლაჯუონი (16)

**ნიუ ჯერსი 98:105 ბოსტონი**

(ძირითადი დრო 90:90)

ნიუ ჯერსი: კიდი (20 ქულა, 19 პასი, 9 მოხსნა), კიტლზი (17), ვან ჰორნი (17)

ბოსტონი: პირსი (48 ქულა, 12 მოხსნა), უოლკერი (25 ქულა, 17 მოხსნა)

**გოლდენ სტეიტი 82:111 დალასი**

გოლდენ სტეიტი: ფორტსონი (17 ქულა, 11 მოხსნა)

დალასი: ნოვიცკი (21)

**ლეიკერსი 102:76 მინესოტა**

ლეიკერსი: ონილი (23), ბრაიანტი (18), ჯორჯი (15)

მინესოტა: შჩერბიაკი (19)

**პორტლენდი 83:97 ფინიქსი**

პორტლენდი: კერი (16), ვოლესი (15 ქულა, 11 მოხსნა)

ფინიქსი: ჰარდევეი (23), მარბერი (21), გულიოტა (18), მარიონი (15 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი)

**იუტა 97:100 ინდიანა**

იუტა: მელოუნი (18), სტოქტონი (13 ქულა, 11 პასი, 6 მოხსნა)

ინდიანა: როუზი (25), მილერი (18), ონილი (15 ქულა, 12 მოხსნა)

**ჩიკაგო 76:93 ფილადელფია**

ჩიკაგო: გაიტონი (14)

ფილადელფია: აივერსონი (30), მუტომბო (16 ქულა, 19 მოხსნა, 10 დაფარება), ჰარპრინგი (16)

2 ნოემბერი

**საკრამენტო 114:120 დალასი**

(ძირითადი დრო 105:105)

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (31), დივაცი (25 ქულა, 17 მოხსნა, თურქოღლუ (18), ჯეკსონი (16)

დალასი: ნოვიცკი (32 ქულა, 14 მოხსნა), ნეში (31), ფინლი (19)

**ფილადელფია 87:93 მემფისი**

ფილადელფია: აივერსონი (30 ქულა, 10 პასი), კოულმენი (16), მუტომბო (14 ქულა, 14 მოხსნა, 9 დაფარება)

მემფისი: გასოლი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ტორონტო 69:85 ბოსტონი**

ტორონტო: კარტერი (17)

ბოსტონი: უოლკერი (17)

**კლიპერსი 103:72 ინდიანა**

კლიპერსი: რიჩარდსონი (21), მაგინისი (17), ოლოვოკანდი (12 ქულა, 11 მოხსნა, 5 დაფარება)

ინდიანა: მილერი (12), კროშერი (12)

**სიეტლი 97:83 მილუოკი**

სიეტლი: პეიტონი (21), ბეიკერი (19), მეისონი (16), ბერი (13 ქულა, 10 პასი)

მილუოკი: ალენი (26), ტომასი (25)

**ირაკლი ფირცხვილი**



REUTERS

სიეტლი — ლეიკერსი. სიეტლელმა ვინ ბეიკერმა შაკილ ონილს ვერა დააკლო

---



საქართველოს მე-12 ჩემპიონატი. ვაჟები

## ცივი და ბნელი ეროვნული

**სტუ-შევარდენი 46:31 მართვე**

**თბილისი 35:19 გლდანი**

**საუ-მამული 38:28 ცერო**

**გუშინ** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში დაიწყო ვაჟ ხელბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე. წლის ასეთ დროს ჩვენში სადარბაზო ღონისძიების (სპორტული შეჯიბრებას ვგულისხმობთ) გამართვა რამდენად მართებულია, ყველას მშვენივრად მოეხსენება. სიცივეს ისიც დაერთო, რომ ტურის დაწყება ერთი საათით დაგვიანდა, რის გამოც დასკვნითი თამაშისას ისე ჩამობნელდა, მოთამაშეები ბურთს ძლივს ხედავდნენ.

რაც შეეხება ასპარეზობის წმინდა სპორტულ მხარეს, მოულოდნელობა არ მომხდარა — ფავორიტების უპირატესობა სამივე შეხვედრაში აშკარა იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტუ-შევარდენი | 6 | 6 | 0 | 0 | 239:151 | 18 |
| საუ-მამული | 6 | 5 | 0 | 1 | 181:155 | 15 |
| თბილისი | 6 | 4 | 0 | 2 | 156:154 | 12 |
| მართვე | 6 | 2 | 0 | 4 | 159:179 | 6 |
| გლდანი | 6 | 1 | 0 | 5 | 117:166 | 3 |
| ცერო | 6 | 0 | 0 | 6 | 170:217 | 0 |





ლი ჰუი

## რეკორდებს მეხუთე სართულზეც ამყარებენ

**მოცურავეთა** მსოფლიოს თასის მეოთხე ეტაპი ჩინელთათვის უხვმოსავლიანი გამოდგა. შანხაის „ჯინგ ენის“ სპორტული ცენტრის მეხუთე სართულზე განთავსებულმა საცურაო აუზმა ამ უქმეებზე 18 ქვეყნის 60 მოცურავეს მოუყარა თავი, მასპინძლები კი ყველაზე დიდი გუნდით წარდგნენ. 240 ჩინელი მოცურავის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გააკეთა და გუნდურ პირველობაში ათ-ათი ოქრო-ვერცხლითა და რვა ბრინჯაოთი დაწინაურდნენ კიდეც, თუმცა მარტო საპრიზო ადგილები როდი იკმარეს. შინაურ კედლებში გალაღებულებმა თავი მსოფლიოს რეკორდებითაც გამოიჩინეს და ამით ასპარეზობას მეტი ხიბლი შესძინეს. ცურვის მოყვარულები ისტორიული გაცურვის მოწმენი ჯერ 50 მეტრზე გულაღმა პაექრობისას გახდნენ, როდესაც ყველასთვის უცნობმა 16 წლის შანხაელმა ლი ჰუიმ კარგი ტექნიკითა და ეფექტური წყალქვეშა სტარტით საკუთარი საუკეთესო მაჩვენებელი (28,61) თითქმის ორი წამით გააუმჯობესა. ეს კი საკმარისი აღმოჩნდა ამერიკელი ჰეილი კოუპის მსოფლიოს რეკორდის — 27,25 დასამხობადაც — 26,83.

ჩინელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც თვისტომს 17 წლის ჩენ ჰუაც ამოუდგა მხარში, თუმცა ჩენის მიღწევა უფრო თვალში საცემია. მან 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში 14 წლის წინანდელი მსოფლიოს რეკორდი — 8.15,34 რვა წუთსა და 15,15 წამში დაამხო და ამით აღმოსავლეთგერმანელი ასტრიდ შტრაუსის 1987 წლის მიღწევა არქივში გადაუძახა.

**გიგა გურასაშვილი**

დევისის თასის ფინალი

# ბოლო წუთის შეცდომა

## ფრანგებს დაუგეგმავი ზეიმი ეწვიათ

მელბურნი (ავსტრალია). ბალახი

**საფრანგეთი — ავსტრალია 3:2**

**პირველი დღე. ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) 4:6, 6:3, 3:6, 6:3, 6:4; პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — სებასტიენ გროჟანი (საფრანგეთი) 6:3, 7:6 (8:6), 7:5**
**მეორე დღე. ფაბრის სანტორო და სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ლეიტონ ჰიუიტი და პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) 2:6, 6:3, 7:6 (7:5), 6:1**
**მესამე დღე. ლეიტონ ჰიუიტი — სებასტიენ გროჟანი 6:3, 6:2, 6:3**
**ნიკოლა ესკუდე — უეინ არტურსი (ავსტრალია) 7:6 (7:3), 6:7 (5:7), 6:3, 6:3**





REUTERS მელბურნიდან

სასოწარკვეთილი რაფტერი და გახარებული ფრანგები

ავსტრალიის ნაკრებს დევისის თასის მოსაგებად ყველა პირობა ჰქონდა. ჩამოვთვალოთ:

ოზთა ნაკრებში მსოფლიოს მოქმედი და ყოფილი პირველი ჩოგნები თამაშობდნენ, ვგულისხმობთ ლეიტონ ჰიუიტს და პატრიკ რაფტერს. ეს ერთი. „მელბურნ პარკში“, სადაც ფინალი ჩატარდა, ბალახის ზაფარი დააგეს (ისე ჰარდია) და ჰიუიტს და რაფტერს მეტი რაღა უნდოდათ, „სერვ ენდ ვოლის“ (ჩააწოდე და გაიქეცი) ოსტატია ორივე. ესეც ორი და ბოლოს, რა ძნელი გამოსაცნობია, მელბურნში მრავლად შეგროვილი ქომაგები ვის მხარეს დაიჭერდნენ? საზოგადოება ალჭურვილი გახლდათ უამრავი გასაბერი კენგურუთი და ხმაურსაც არ აკლებდა თავისიანებს გასამხნევებლად, მაგრამ ზემორე ანგარიში უჩვენებს, რომ ავსტრალიელებს ვერაფერმა უშველა.

განტევების ვაცი ოზებს მაინცდამაინც არ უძებნიათ, არც მას მედიას გადაუტეხია კონკრეტულ პიროვნებაზე ჯოხი. მიუთითებენ მხოლოდ, რომ დევისის თასის ბედი უფრო ფინალის მეორე დღეს გადაწყდა და მერე გარემოებებიც ავსტრალიის საზიანოდ გადაება ერთმანეთს. ოზთაგან ყველაზე ცოდვილი ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი ჯონ ფიცჯერალდია, რომელმაც ზედ წყვილთა მატჩის წინ მოხსნა უეინ არტურსის და ტოდ ვუდბრიჯის ნაცადი დუეტი და სამაგიეროდ, ჰიუიტი და რაფტერი შეუშვა კორტზე. ძნელი სათქმელია, რა მოსაზრებით იხელმძღვანელა ფიცჯერალდმა, იქნებ უფრო ტიტულიანთა ავტორიტეტს ენდო, მაგრამ შედეგი ცუდი გამოვიდა — რაფტერმა და ჰიუიტმა ერთობლივი თამაში ვერაფრითააწყვეს. ფაბრის სანტოროსა და სედრიკ პიოლინს წყვილად თამაში დიახაც ეხერხებათ და პირველი სეტის ჩაგდებას თუ არ ჩავთვლით, მომდევნო სამ პარტიაში, განსაკუთრებით კი ბოლოს, მათი უპირატესობა შესამჩნევი იყო. შედეგად კი 2:1 ბოლო დღის წინ, რადგან საწყის ერთეულთა მატჩებში მეტოქეებმა თითო მოგება გაცვალეს.

ფრანგთა გამარჯვება იმითაც გასაკვირია, რომ მათი ლიდერი სებასტიენ გროჟანი საუკეთესოდ არ გარჯილა. პირველ დღეს მას რაფტერმა დააყარა და დააყარა თავის ყუმბარები და სეტიც არ მოაგებინა. მეორე წყვილი გახლდათ მსოფლიოს პირველი ნომერი ჰიუიტი და 27-ე ნიკოლა ესკუდე. ბრძოლის შედეგი თითქოს ადვილად განსაჭვრეტი იყო, მაგრამ სენსაციები მაშინ დაიწყო.

ესკუდემ დათმო პირველი პარტია, მაგრამ მოიგო მეორე. შემდეგ ჰიუიტმა კვლავ იმძლავრა და სეტებში 2:1 დაწინაურდა, მაგრამ ფრანგმა უტეხი თამაში განაგრძო და გაიმარჯვა კიდეც.

წყვილებში გამარჯვებით ფრანგთა შანსი გაიზარდა, მაგრამ ავსტრალიამ აღადგინა თანაბარი მდგომარეობა, როცა ჰიუიტი გონს მოეგო და გროჟანი გაანადგურა. რჩებოდა ბოლო წყვილი, რაფტერი — ესკუდე. გამოცდილ ოზს 25 წლის ფრანგისთვის უნდა მოეგო მხოლოდ ერთი შეხვედრა და აისრულებდა უდიდეს მიზანს (თვითონ თქვა ერთხელ, დევისის თასი „დიდ სლემს“ [illegible] კმაყოფილი დაასრულებდა თავის პროფესიულ კარიერას).

მაგრამ [illegible] ლა, წყვილებში მატჩის შემდეგ ექიმებმა მკლავის ტრავმა დაუდგინეს და გასაჭირში ჩავარდნილმა ფიცჯერალდმა უეინ არტურსს უხმო. ახლა კი დაუდგა ესკუდეს ლაღობის ჟამი, ჩოგბურთის რანგთა ტაბელში არტურსის პოზიცია 67-ეა, ხოლო ესკუდე, ვინც ბოლო 4 ტურნირში პირველ წრეს ვერ გასცდა, სწორედ დევისის თასზე უჩვენებს ხოლმე თავის მაქსიმუმს. მათ, ვისაც ესკუდესი არ სჯეროდა, დაავიწყდათ, რომ ფრანგმა დევისის თასზე ბოლო 8 მატჩი მოიგო.

ერთი პარტიის დათმობის მიუხედავად, გადამწყვეტ მატჩში ესკუდე დომინირებდა და გეიმიდან გეიმამდე ცხადი ხდებოდა, რომ მნიშვნელოვანი ჯილდო ჩრდილოეთ ნახევარსფეროში დაიდებდა ბინას. ფრანგმა გაიმარჯვა და მხიარული ღრიალი ამოუშვა ფრიადი სიჩუმის ფონზე.

გამოხმაურებები მაშინვე გაისმა. თვით ფრანგთა პრემიერი, ლიონელ ჟოსპენი არ მალავდა ემოციებს. „ბრავო, ბიჭებო! ეს შესანიშნავი წარმატებაა — განაცხადა საფრანგეთის მეორე კაცმა — მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებთან თქვენ გამოამჟღავნეთ დიდი ნიჭი, გუნდური სული და საფრანგეთს ბრწყინვალე გამარჯვება მოუტანეთ“.

დიახ, ორი წლის წინათ ავსტრალიამ მოიგო დევისის თასი, მაგრამ იმ ნაკრებში არ იყო პატრიკ რაფტერი (ცხადია, ტრავმის გამო). შარშან ავსტრალიამ ფინალი წააგო ესპანეთთან და რაფტერი მაშინ თამაშობდა, წლეულს კი მორიგი მარცხი ისევ რაფტერის მონაწილეობით. ეტყობა, ქომაგთა დიდად მოსაწონი, ამერიკის ღია პირველობის ორგზის მომგები და უიმბლდონის ორგზის ფინალისტი დევისის თასის გარეშე წავა ჩოგბურთიდან. ცნობილია რაფტერის გადაწყვეტილება, ტრავმებით დალარული სხეული მინიმუმ ერთი სეზონით დაასვენოს, შესაძლოა მან კარიერა საერთოდაც დაასრულოს. მელბურნში ავსტრალიელმა პრესკონფერენციის გამართვა აღარ ისურვა.

„ძალიან განვიცდით დამარცხებას. იგი ჩვენ კიდევ დიდხანს დაგვტანჯავს“ — შეაჯამა ანტიგმირმა ჯონ ფიცჯერალდმა მომხდარი და ჩვენც მეტი არაფერი გვეთქმის.

**დავით გულუა**

ჭადრაკი

# კარპოვი ოფიციალური ვეტერანი გახდა

## ქართველთა მოწინავენი გზას განაგრძობენ

**ვაჰ**, ეს რა იყო, მეგობრებო: ანატოლი კარპოვი ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) მსოფლიოს ჩემპიონატის პირველივე წრიდან გამოვარდა. ტიტულებით დახუნძლული გენიოსი ვინმე ჩინელმა, ძანგ ფენკსიანგმა გამოაგდო, ვისი რეიტინგული მაჩვენებელი კარპოვისას 207 პუნქტით ჩამორჩება და ეს გახლდათ არა მარტო პირველი წრის მთავარი სენსაცია: სხვა ფავორიტები ვაჟთა შეჯიბრში ჯერჯერობით ყოჩაღად მოძრაობენ, თუ გამონაკლისებს არ ჩავთვლით.

გარი კასპაროვის ბანაკიდან ბოროტი ხითხითი ისმის. მას შემდეგ, რაც კარპოვმა ბოტვინიკის მემორიალს უგანა, კასპაროველები მაგრად დაიბოღმნენ და ახლა კი გულზე მოეშვათ. სხვათა შორის, ჭადრაკის დიდი მაესტროს ხსოვნის ტურნირიც უკვე დაიწყო მოსკოვში და კასპაროვმა და კრამნიკმა ორი პარტიის თამაში მოასწრეს. პირველი ბრძოლა მე-18 სვლაზე სწრაფი ყაიმით დასრულდა, სამაგიეროდ, მეორეში იყო დიდი ჩხუბი და დაკადაკა. შეცდომებით მდიდარ პარტიაში კასპაროვი თეთრებით თამაშობდა და მე-20 სვლაზე თვალსაჩინო უპირატესობას მიაღწია, მაგრამ კრამნიკმა წარმატებით დაიცვა თავი და ენდშპილში ბრძოლის სასწორი უკვე მისკენ გადაქანდა. „ბრაიანგეიმზ ნეტუორკის“ ჩემპიონი ზედმეტი ხარისხით დიდხანს უჩხიკინებდა ექსჩემპიონის პოზიციას, მაგრამ ამაოდ.

„ცაიტნოტში ჩვენი წილი ორივემ შევცოდეთ — თქვა კასპაროვმა პრესკონფერენციაზე — ენდშპილი უხარისხოდ, რა თქმა უნდა, საყაიმოა, მაგრამ მე მახსოვდა ორი პარტია ამგვარი მატერიალური თანაფარდობით, მაგალითად, ვიდმარი — ალიოხინი, რომელშიც სუსტმა მხარემ წააგო. ჩემს სპორტულ ფორმაზე ახლა ვერაფერს ვიტყვი, ვეთანხმები ვალოდიას (კრამნიკს), რომ ამაზე საუბარი მატჩის შემდეგ უფრო უპრიანი იქნება“.

„გარი კიმოვიჩი ენდშპილში არცთუ ზუსტი იყო — თქვა ახლა კრამნიკმა — თუმცა ვფიქრობ, ჩემი მხრიდან აბსოლუტურად ზუსტი თამაშიც წარმატებას ვერ მომიტანდა“.



ვლადიმირ კრამნიკი

REUTERS მოსკოვიდან



გარი კასპაროვი

დავუბრუნდეთ ფიდეს ჩემპიონატს. პირველ წრეში კარპოვზე უარესი სენსაცია მწიფდებოდა, როცა ფრანგმა ჭადრაკის მასწავლებელმა ოლივიე ტუზანმა (იგი მოსკოვში მხოლოდ ინტერნეტში მიღწეულ წარმატებათა გამო მოხვდა) ვიშვანათან ანანდს ერთი პარტია მოუგო. ისე ჩანდა, რომ ანანდს პარტია იოლად უნდა მოეგო, თამაშობდა ლაღად, უტევდა თავის გემოზე, მაგრამ ტუზანმა ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პარტია დაინარჩუნა და შეშფოთებული ანანდი კარგახანს დააბიჯებდა ნერვიულად კრემლის კოშკებს შუა, მწვრთნელ ელიზბარ უბილავასა და მეუღლე არუნას თანხლებით. ანანდი „საგანგებო მდგომარეობის“ რეჟიმში გადავიდა, გაიმარჯვა შავებით, სწრაფ პარტიებში ტუზანი გააგდო კიდეც და შემდეგ წრეებშიც კარგა გაჭირვებით იკაფავდა გზას, მოერია დანიელ ნილსენს და საფრანგეთის მოქალაქე ტკაჩოვს.

როგორც აღვნიშნეთ, დანარჩენ ფავორიტებს არაფერი უჭირთ. პირველი წრე ერთხმად გაიარეს მაიკლ ადამსმა, ალექსანდრ მოროზევიჩმა, ვასილი ივანჩუკმა, პეტერ ლეკომ, ევგენი ბარეევმა, ბორის გელფანდმა, ვესელინ ტოპალოვმა, ალექსეი შიროვმა, პიოტრ სვიდლერმა და ალექსეი დრეევმა, რომელმაც ქართველ ხვიჩა სუპატაშვილს მოუგო.

წარმატებით დაიძრა ორი მანდილოსანიც, რომლებმაც ქალებთან თამაში იუკადრისეს და მამაკაცებში გაერივნენ. იუდით პოლგარმა საჭადრაკო ოლიმპიადების „მცირე ოქროთა“ რეგულარული მფლობელი, ყატარელი მოჰამედ ალ-მოდიაყი გააგდო ორივე პარტიის მოგებით, როცა სიე ჟუნმა ერთი მოგება აკმარა ბოსნიელ სუატ ატალიკს. ქართველებისთვის უაღრესად სასიამოვნო ამბავი ის არის, რომ მოსკოვში მთავარი ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ირჯება სოლიდურად. მან ზედიზედ გააგდო უზბეკი საიდალი იულდაშევი, მერე ძლიერი სერგეი მოვსესიანი ჩეხეთიდან და ბოლოს, კიდევ უზბეკი რუსტამ კაზიმჯანოვი — მიღწევა თავისთავად ჩინებულია და ახლა აზმაიფარაშვილი 16 საუკეთესოს მარაქაში ურევია, ცხადია, წარმატების შემდგომ შანსებით.

მაია ჩიბურდანიძე ძველ დროს იხსენებს, სამი წრე მანაც გაიარა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი ბოლო გამარჯვება გახლდათ, რადგან ჩვენმა ექსჩემპიონმა ლიტველი დაგნე სიუკსიტე გააგდო, რაც შურისძიება გახლდათ: ლიტველმა პირველ წრეში ქეთევან არახამიაგრანტს მოუგო.

მოეთხედფინალშია ნინო ხურციძეც, რომელმაც რუსთა იმედს, ეკატერინა კოვალევსკაიას აუგო ანდერძი, ხოლო ნანა იოსელიანმა ჩემპიონატი მეორე წრიდან დატოვა პოლონელ მეტოქესთან მარცხის შემდეგ.

**დავით გულუა**

საქართველოს ჩემპიონატი. ნახევარფინალი

# დათვები ფინალში გადი-გამოდიან

2 დეკემბერი. ბათუმი. ანგისა.

**დათვები 14:10 ყოჩები**

ბათუმის „დათვების“ მთავარი მწვრთნელი ლევან მგელაძე კი ამბობდა, 2 დეკემბერს „ყოჩებს“ არ ვეთამაშებითო, მაგრამ, ეტყობა, ბათუმური კლუბის უფროსობა ბოლო მომენტში მაინც დათანხმდა რაგბის კავშირის შეთავაზებულ თარიღს და კვირას ეს შეხვედრაც გაიმართა.

არადა, „დათვებმა“ ერთი კვირის წინ მოიპოვეს ფინალში თამაშის უფლება, როდესაც შინ თბილისის „ლოკომოტივს“ სძლიეს, მაგრამ კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა სხვაგვარად გადაწყვიტა. საქმე ის იყო, რომ ლევან მგელაძე დისკვალიფიცირებული გახლდათ და მატჩის მსვლელობაში ჩარევის უფლება არ ჰქონდა. თუმცა ემოციურმა მწვრთნელმა თავი ვერ მოთოკა და დამრიგებლურად მაინც იაქტიურა. თანაც ერთი-ორჯერ მსაჯებსაც შემოსწყრა და მათი მოქმედებით უკმაყოფილომ ხმამაღლა გამოთქვა აღშფოთება.

რაგბის კავშირის სადისციპლინო კომიტეტმა მწვრთნელის ამ საქციელის გამო „დათვებს“ წაგება ჩაუთვალა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ზღვისპირელებს „აიას“ მძლეველ „ყოჩებთან“ უწევდათ ფინალში გასასვლელად ბრძოლა. ამასთან, ბათუმელებმა დაკარგეს ფინალური მატჩის მასპინძლობის უფლებაც, რომელიც „ლოკომოტივს“ ერგო.

„დათვები“ — „ყოჩების“ ნახევარფინალი ანგისას მოედანზე გაიმართა. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა. „დათვ“ კახა კობახიძის ორი საჯარიმოთი პირველი ტაიმი ზღვისპირელებმა მოიგეს. მეორე ორმოცწუთეულში „ყოჩებმა“ ორი ლელო კი გაიტანეს, მაგრამ მატჩის გადარჩენა მაინც ვერ შეძლეს. იმავე კობახიძემ ისევ საჯარიმოთი, გოჩა ხონელიძემ კი ლელოთი მოუმთავრეს საქმე სტუმრებს.

ასე რომ, შარშანდელი ფინალი აღარ განმეორდება. მაშინ „ლოკომოტივმა“ „ყოჩებს“ აჯობა და ბზის თასიც დაისაკუთრა.

წლევანდელი ბზის თასის ფინალი 9 დეკემბერს გაიმართება და მას „ლოკომოტივი“ უმასპინძლებს. თუ სად, ეს ჯერ გაურკვეველია. სტადიონის არჩევის უფლება მასპინძელი გუნდის პრეროგატივაა. რკინიგზელებს კი ამის თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამთ.

„დათვებს“ და „ლოკომოტივს“ 5 ნოემბერსაც უნდა ეთამაშათ ერთი ფინალი. მაშინ ქუთაისში საქართველოს თასის მფლობელის ვინაობა უნდა გარკვეულიყო, მაგრამ მატჩი ჩაიშალა. „ლოკომოტივი“ შეხვედრაზე არ გამოცხადდა. დებულების თანახმად, რკინიგზელებს წაგება ჩაეთვალათ და თასი ზღვისპირელებს გადაეცათ. „დათვებმა“ საქართველოს თასი უკვე მოიპოვეს. მაგრამ შეძლებენ თუ არა ამ სეზონში დუბლის გახერხებას, ამას საქართველოს ჩემპიონატის ფინალი გვიჩვენებს.

**ბაჩო სვანიძე**

## ტესტ მატჩები

**ჰიუსტონი**

**აშშ 20:43 სამხრეთ აფრიკა**

აშშ: 1 ლ: მაკდონალდი; 4 ს: ვილფლეი; 1 ა: კეიტერი

სამხრეთ აფრიკა: 6 ლ: კონრადი (2), ბილჯონი, ჰოსი, როსოუ, ჰოლი; 5 გ: კოენი; 1 ს: კოენი

**ბუენოს აირესი**

**არგენტინა 20:24 ახალი ზელანდია**

არგენტინა: 2 ლ: არბისუ, 2 გ. კონტეპომი; 2 ს: კონტეპომი

ახალი ზელანდია: 2 ლ: რობინსონი, ლომუ; 1 გ: მერთენსი; 4 ს: მერთენსი






პეტრა ჰალტმაიერი

REUTERS ლეიკ ლუისიდან

# ჯონსონი საიქიოდან თხილამურებს დაუბრუნდა

**მარტის** ბოლოს ვწერდით საშინელი სათხილამურო ავარიის შესახებ, რომლის დროსაც 1984 წლის სარაევოს ზამთრის ოლიმპიადის ჩემპიონი ბილ ჯონსონი კარგა ხანს თავით მიანგრევდა სამთოსათხილამურო ტრასის დამცავ ღობურებს, რის შემდეგაც სამი კვირა კომაში იყო და სამი დღის წინ, ჰოი, საოცრებავ — ისევ თხილამურებზე შედგა. ეს მოხდა ორეგონის შტატში, ტიმბერლაინ ლოჯის ტრასაზე, სადაც ჯონსონმა ისრიალა ფრთხილად, არასპორტულად, მაგრამ ისრიალა და შემდეგ მოკლედ განაცხადა, თავს გენიალურად ვგრძნობდიო. ჯონსონს კიდევ სურდა სრიალი, მაგრამ დაუშალეს, ჯერ უნდა მომაგრდეო.

მოკლედ, გადარჩა კაცი. მისი სამთო ფათერაკი ბედნიერად დასრულდა, რაც, სამწუხაროდ, არ მოხდა რეჟინ კავანიუს შემთხვევაში. ნომერ პირველი ფრანგი მოთხილამურე ერთი თვის წინ დაიღუპა ტრაგიკულად და მისი ხსოვნაა, თუ სხვა რამ მიზეზი, წლევანდელ მსოფლიოს თასზე ფრანგები ყველა ადრინდელ სეზონებზე კარგად გამოდიან. ერთი ეტაპი ლაურე პეკენიომ ხომ მოიგო, ახლა კაროლ მონტიემ სუპერგიგანტში დაიკავა მეორე ადგილი და ვაჟებშიც ჟან პიერ ვიდალი კარგად გამოჩნდა.

„ბედნიერი ვარ, როცა ვხედავ, რომ საფრანგეთის ნაკრები იბრძვის და მზადაა, დაამტკიცოს, რომ მას აქვს მოტივაცია და შესაძლებლობები“ — განაცხადა მონტიემ სუპერგიგანტის ეტაპის შემდეგ. ახლა ფრანგებს მშობლიური ტრასები ელით, მსოფლიოს თასმა დატოვა ამერიკის კონტინენტი და ფრანგულ ვალ დიზერში გააგრძელებს არსებობას, მანამდე კი ამერიკულ ბივერ კრიკში ვაჟთა ეტაპები უთოვლობის გამო მოიხსნა და ქალებმა, როგორც აღვნიშნეთ, სუპერგიგანტის ეტაპი ჩაატარეს.

ეტაპი კანადის ალბერტას პროვინციაში შედგა, კურორტ ლეიკ ლუისის ტრასაზე და გერმანელი პეტრა ჰალტმაიერის დამაჯერებელი გამარჯვებით დასრულდა. ლეიკ ლუისში სხვა რამ იყო უფრო მნიშვნელოვანი: სამთო თხილამურობას ამერიკელი პიკაბო სტრიტი უბრუნდება. სწრაფდაშვების ორი საწყისი ეტაპი მან ჩინებულად ჩაატარა, მე-5 და მე-6 ადგილები დაიკავა და სუპერგიგანტში ნაგანოს ოლიმპიადის ჩემპიონს სოლტ ლეიკ სიტის ოლიმპიადისაც დიდი იმედი აქვს.

„დავბრუნდი, ბავშვებო!“ — განუცხადა სტრიტმა მასმედიას. წლევანდელი სეზონი მისთვის პირველი სრული წერტილია 1998 წლის ბოლოდან, როცა მწარედ წაიქცა და სხეულზე ადგილი არ დარჩა დაუზიანებელი. სტრიტის დაბრუნება დადებითად შეაფასა იტალიელმა იზოლდე კოსტნერმაც, რომლის სეზონის საწყისი შედეგებიც იმის დასტურია, რომ სადღეისოდ მსოფლიოს საუკეთესო სწრაფდამშვებია.

„წლების წინ პიკაბო უდიდესი სწრაფდამშვები იყო — თქვა კოსტნერმა მეგობრულად — და მე ვიცოდი, მისი ტრავმითაც ყველაფერი არ იყო დაკარგული. პიკაბო თავის სიტყვას ჯერ კიდევ იტყვის“.

**დავით გულუა**

**ქალები**

**სუპერგიგანტი**

1. პეტრა ჰალტმაიერი (გერმანია) 1.15,09;
2. კაროლ მონტიე (საფრანგეთი) 1.15,77;
3. კეროლაინ ლალივი (აშშ) 1.15,88




ბილ ჯონსონი



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



REUTERS ტორონტოდან

ტორონტო — ჩიკაგო. ტორონტოელმა კერტის ჯოზეფმა შაიბის ნაცვლად ჩიკაგოელი ალექსეი ჟამნოვი დაიჭირა

30 ნოემბერი

**ანაჰაიმი 2:5 სან ხოსე (0:2 2:0 0:3)**
**ვანკუვერი 2:5 კოლორადო (0:3 2:2 0:0)**
**ჩიკაგო 1:2 ტორონტო (0:0 0:1 1:1)**
**დეტროიტი 4:2 ნიუ ჯერსი (1:0 2:1 1:1)**
**ვაშინგტონი 6:2 კაროლინა (4:2 2:0 0:0)**

1 დეკემბერი

**ედმონტონი 4:6 დალასი (3:3 0:1 1:2)**
**კალგარი 2:2 კოლორადო (0:0 1:1 1:1 0:0)**
**ფინიქსი 5:2 პიტსბურგი (2:1 1:1 2:0)**
**სენტ ლუისი 4:3 კოლუმბუსი (2:0 1:2 1:1)**
**აილენდერსი 2:4 ბუფალო (2:1 0:2 0:1)**
**ნიუ ჯერსი 4:1 დეტროიტი (1:1 3:0 0:0)**
**მონრეალი 1:3 რეინჯერსი (0:1 1:1 0:1)**
**ტორონტო 4:1 ჩიკაგო (1:0 2:1 1:0)**
**ოტავა 2:1 ბოსტონი (0:0 0:0 1:1 1:0)**
**ფილადელფია 2:0 ტამპა (1:0 1:0 0:0)**
**ლოს ანჯელესი 4:2 ნეშვილი (1:1 2:0 1:1)**
**ფლორიდა 2:5 ატლანტა (0:0 1:2 1:3)**

2 დეკემბერი

**კაროლინა 3:4 ვაშინგტონი (3:1 0:0 0:2 0:1)**
**რეინჯერსი 1:0 ტამპა (0:0 0:0 1:0)**
**ვანკუვერი 2:4 დალასი (1:0 0:2 1:2)**
**მინესოტა 4:4 სენტ ლუისი (2:0 1:3 1:1 0:0)**
**ანაჰაიმი 4:2 ნეშვილი (0:2 3:0 1:0)**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ჩრდილო აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ტორონტო | 27 | 15 | 2 | 3 | 7 | 75:60 | 35 |
| ბოსტონი | 26 | 13 | 3 | 3 | 7 | 64:59 | 32 |
| ოტავა | 24 | 13 | 3 | 0 | 8 | 78:60 | 29 |
| მონრეალი | 25 | 12 | 3 | 1 | 9 | 62:62 | 28 |
| ბუფალო | 28 | 12 | 2 | 1 | 13 | 76:70 | 27 |
| **ატლანტიკა** | | | | | | | |
| რეინჯერსი | 29 | 17 | 2 | 1 | 9 | 84:75 | 37 |
| აილენდერსი | 26 | 15 | 4 | 1 | 6 | 77:65 | 35 |
| ფილადელფია | 24 | 11 | 5 | 1 | 7 | 68:53 | 28 |
| პიტსბურგი | 26 | 10 | 3 | 2 | 11 | 55:67 | 25 |
| ნიუჯერსი | 24 | 10 | 2 | 2 | 10 | 60:68 | 24 |
| **სამხრეთ აღმოსავლეთი** | | | | | | | |
| კაროლინა | 30 | 12 | 4 | 3 | 11 | 72:84 | 31 |
| ვაშინგტონი | 27 | 11 | 3 | 0 | 13 | 77:85 | 25 |
| ტამპა | 26 | 10 | 1 | 1 | 14 | 53:58 | 22 |
| ფლორიდა | 26 | 6 | 2 | 3 | 15 | 52:80 | 17 |
| ატლანტა | 25 | 6 | 2 | 2 | 15 | 56:96 | 16 |
| **ცენტრი** | | | | | | | |
| დეტროიტი | 28 | 22 | 1 | 1 | 4 | 97:66 | 46 |
| სენტ ლუისი | 26 | 13 | 4 | 1 | 8 | 71:61 | 31 |
| ჩიკაგო | 28 | 12 | 7 | 0 | 9 | 80:79 | 31 |
| ნეშვილი | 27 | 9 | 3 | 0 | 15 | 69:77 | 21 |
| კოლუმბუსი | 27 | 7 | 5 | 1 | 14 | 54:75 | 20 |
| **ჩრდილო დასავლეთი** | | | | | | | |
| ედმონტონი | 28 | 16 | 3 | 1 | 8 | 78:56 | 36 |
| კალგარი | 26 | 13 | 5 | 2 | 6 | 73:62 | 33 |
| მინესოტა | 27 | 11 | 5 | 2 | 9 | 75:77 | 29 |
| კოლორადო | 27 | 13 | 2 | 0 | 12 | 61:56 | 28 |
| ვანკუვერი | 30 | 11 | 3 | 0 | 16 | 77:81 | 25 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | | |
| სან ხოსე | 26 | 12 | 4 | 3 | 7 | 73:62 | 31 |
| დალასი | 27 | 11 | 6 | 3 | 7 | 73:72 | 31 |
| ფინიქსი | 26 | 11 | 3 | 3 | 9 | 63:66 | 27 |
| ლოს ანჯელესი | 25 | 8 | 3 | 2 | 12 | 67:68 | 21 |
| ანაჰაიმი | 27 | 8 | 3 | 0 | 16 | 59:79 | 19 |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge